

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გიორგი კრავეიშვილი

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო
პოლიტიკა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ირინა გოგორიშვილი

თბილისი

2023

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ცხოვრების დონე, საქართველოს ეკონომიკა, ბალტიისპირეთის ქვეყნები.

ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის ქვეყნის პროგრესი და მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ეკონომიკური ზრდა წარმოდგენს აღნიშნული მიზნის მიღწევისა და მოსახლეობისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენის მნიშვნელოვან საწინდარს. თუმცა, ეს უკანასკნელი არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი წინაპირობა, რათა ეკონომიკურ ზრდას თან ახლდეს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მსოფლიოში არსებულ უთანასწორობასა და სიღარიბესთან გასამკლავებლად, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ფენომენი. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოიაზრებს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელშიც ჩართულია ქვეყნის მოქალაქეთა დიდი ნაწილი და რომელიც გავრცელებულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. აღნიშნული ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი უნდა ნაწილდებოდეს მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე და სხვადასხვა სოციალურ ფენებზე, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მიგვიყვანოს ცხოვრების დონის შეუქცევად პროგრესთან, უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოფხვრასთან.

მოცემული ნაშრომის მიზანია დავასაბუთოთ საქართველოსთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა და შევიმუშაოთ მისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და თანმიმდევრული გაუმჯობესებისთვის სათანადო რეკომენდაციები. დასახული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: მსოფლიო ეკონომიკაში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აქტუალობის შესწავლა; საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გაანალიზება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარების კუთხით; ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი ინდიკატორების შერჩევა; საქართველოსა და სხვა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესადარებლად ინდექსის შემუშავება; საქართველოსთან

შესადარი ქვეყნების შერჩევა და შედარებითი ანალიზის განხორციელება საქართველოს შედეგების შეფასებისა და მოწინავე ქვეყნების გამოვლენის მიზნით; ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ გამოვლენილი წარმატებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმებისა და განვლილი გზის ანალიზი; საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის პროგრამების ანალიზი; საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი, მათ შორის მოსახლეობის გამოკითხვა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებთან მიმართებაში მოქალაქეთა დამოკიდებულების გამოსავლენად; საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი და მათი დაძლევის შესაძლებლობათა განხილვა.

დასახული მიზნის და ამოცანების მისაღწევად ნაშრომში განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-მკვლევართა ანგარიშები. წარმოდგენილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი სტატისტიკური მონაცემები. ყურადღება არის გამახვილებული როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე, ასევე იმ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც რეკომენდირებულია მდგრადი და შეუქცევადი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. გაანალიზებულია იმ ინდექსების ნაკრებები, რომელთაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად. განხილულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი და წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და მოწინავე ქვეყნების შედეგების გამოსავლენად. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა ბალტიისპირეთის ქვეყნების მოწინავე პოზიციები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კუთხით, რაზე დაყრდნობითაც ნაშრომში დეტალურად არის განხილული ესტონეთის, ლიეტუვასა და ლატვიას განვლილი გზა და განხორციელებული რეფორმები, რამაც შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა, მიმდინარე თუ განხორციელებული რეფორმები და პროგრამები. საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის

შესაფასებლად ჩატარდა მოქალაქეთა გამოკითხვა, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვენახა თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელ ფაქტორებს და გამოგვევლინა ის მიმართულებები, რომლებიც მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილებას საჭიროებენ.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საკვანძო მიმართულებები. განვსაზღვრეთ და ჩამოვაყალიბეთ ის ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, რომელთა მხარდაჭერაც და განხორციელებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოსთვის შეუქცევადი და მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მიგვიყვანოს ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებასა და საერთო კეთილდღეობის ზრდასთან.

Abstract

Key Words: Economic policy, Inclusive economic growth, Standard of living, Georgian Economy, Baltic states.

The ultimate goal of economic policy is the progress of the country and the improvement of the standard of living of the citizens. Economic growth represents an important prerequisite to achieving the mentioned goal and creating new opportunities for the population. However, economic growth is a necessary but not sufficient condition for economic growth to be accompanied by an improvement in the living conditions of a significant part of the population.

To deal with the existing inequality and poverty in the world, the phenomenon of inclusive economic growth is gaining more and more relevance in the world economic policy agenda. Inclusive economic growth means economic growth that involves a large part of the country's citizens and is spread throughout the country. The benefits obtained from this economic growth should be distributed among the majority of the population and various social groups, which should ultimately lead to irreversible progress in the standard of living, and eliminating inequality and poverty.

The aim of the work is to determine the necessity of inclusive economic growth for Georgia and to develop appropriate recommendations for the formation and consistent improvement of economic policies that contribute to inclusive economic growth. In order to achieve the set goal, the following tasks have been established: Examining the relevance of inclusive economic growth in the world economy; Analyzing the recommendations of international organizations in terms of implementing a policy promoting inclusive economic growth; Selection of indicators to evaluate inclusive economic growth; Developing an index to compare the inclusive economic growth of Georgia and other countries; Selection of countries comparable to Georgia and implementation of comparative analysis in order to evaluate the results of Georgia and identify advanced countries; Analysis of economic policy reforms and the path taken by countries with successful inclusive economic growth; Analysis of current and implemented economic growth policy programs in Georgia; Analysis of the

current condition of inclusive economic growth in Georgia, including a population survey to reveal citizens' attitudes towards the determinants of inclusive economic growth; Analysis of the problems facing the inclusive economic growth of Georgia and discussion of the possibilities to overcome them.

To achieve the set goal and tasks, the reports of various international organizations and scientists are discussed in the paper. The statistical data for evaluating inclusive economic growth are presented. Attention is focused both on the need for inclusive economic growth and on the economic policy measures that are recommended to be implemented to achieve sustainable and irreversible inclusive economic growth. The sets of indexes proposed by various international organizations for evaluating inclusive economic growth are analyzed. Based on the presented recommendations, an index of inclusive economic growth of post-Soviet countries has been developed and a comparative analysis of post-Soviet countries has been presented to reveal the results of Georgia and advanced countries. Based on the conducted research, the advanced positions of the Baltic countries in terms of inclusive economic growth were identified, based on which, the path of Estonia, Lithuania, and Latvia and the implemented reforms are discussed in detail in the paper, which allowed us to draw appropriate conclusions. Within the framework of the research, the current situation of Georgia, and current or implemented reforms and programs are analyzed. To assess the inclusive economic growth of Georgia, a citizen survey was conducted, which allowed us to see how the population perceives the factors necessary for inclusive economic growth and identified the directions that require significant attention.

Based on the conducted research, we have identified the key directions for the inclusive economic growth of Georgia. We have defined and formulated those economic policy measures, the support, and implementation of which are important for Georgia to achieve irreversible and highly inclusive economic growth, which should ultimately lead to raising the standard of living of the country's citizens and increasing the overall well-being.

შინაარსი

შესავალი.....	1
თავი I. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ემპირიული ანალიზი	12
1.1. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აქტუალობა მსოფლიოში	12
1.2. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი პოლიტიკის გასატარებლად	22
1.3. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი ინდიკატორების განხილვა.....	33
თავი II. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება	47
2.1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შედარებითი ანალიზი.....	47
2.2. ბალტიისპირეთის ქვეყნებში განხორციელებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი რეფორმები	70
თავი III. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება საქართველოში	97
3.1. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის პროგრამები	97
3.2. საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი.....	110
3.3. საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობათა განხილვა.....	142
დასკვნები და რეკომენდაციები	166
გამოყენებული ლიტერატურა	171
დანართები	186

დიაგრამები

დიაგრამა 1.1.1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი მსოფლიოში, 1990-2018 წწ.	20
დიაგრამა 1.1.2. მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების დინამიკა, 1980-2020 წწ.	21
დიაგრამა 2.2.1. ესტონეთის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით).....	78
დიაგრამა 2.2.2. ლიეტუვას მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით)	80
დიაგრამა 2.2.3. ლატვიის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით)	87
დიაგრამა 3.2.1. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა, 2010-2019 წწ. (მლრ. ლარი).....	111
დიაგრამა 3.2.2. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, 2010-2019 წწ. (2015 წლის ფასებში).....	111
დიაგრამა 3.2.3. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტის გადანაწილება მიმდინარე ფასებში რეგიონების მიხედვით, 2019 წ.	112
დიაგრამა 3.2.4. საქართველოში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი ხარჯების მიხედვით, 2006-2019 წწ.	114
დიაგრამა 3.2.5. საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2010-2019 წწ. (%).....	115
დიაგრამა 3.2.6. საქართველოში საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილში, 2010-2019 წწ.	116
დიაგრამა 3.2.7. საქართველოს შრომის ბაზრის დინამიკა, 2010-2019 წწ.	117
დიაგრამა 3.2.8. საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა, 2013-2019 წწ.....	118
დიაგრამა 3.2.9. რესპონდენტთა მიერ დასრულებული განათლების საფეხური	126
დიაგრამა 3.2.10. რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა	127
დიაგრამა 3.2.11. რესპონდენტთა სამუშაო და სასწავლო მდგომარეობა.....	128
დიაგრამა 3.2.12. რესპონდენტთა ყოველთვიური შემოსავალი.....	128

დიაგრამა 3.2.13. გამოკითხული რესპონდენტები შემოსავლის დამატებითი წყაროს მიხედვით.....	129
დიაგრამა 3.2.14. რესპონდენტთა შემოსავლის ცვლილება კორონავირუსის პანდემიის ფონზე.....	130
დიაგრამა 3.2.15. აუცილებელი ხარჯების (ქირა, საკვები, კომუნალურები, მედიკამენტები, ტრანსპორტი) წილი რესპონდენტთა შემოსავლებში	130
დიაგრამა 3.2.16. დანაზოგის წილი რესპონდენტთა შემოსავლებში	131
დიაგრამა 3.2.17. რესპონდენტთა ფინანსური ვალდებულებები	131
დიაგრამა 3.2.18. რესპონდენტთა ფინანსური ვალდებულებების ცვლილება კორონავირუსის პანდემიის შემდეგ.....	132
დიაგრამა 3.2.19. რესპონდენტთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება	133
დიაგრამა 3.2.20. რესპონდენტთა ცხოვრების დონის ზეგავლენა ჯანმრთელობაზე...	133
დიაგრამა 3.2.21. რესპონდენტთა მიერ კორუფციის დონის შეფასება	136
დიაგრამა 3.2.22. ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები რესპონდენტთა შეფასებით	137
დიაგრამა 3.3.1. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველოს მაჩვენებლები, 2002-2020 წწ.....	161
დიაგრამა 3.3.2. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები ანგარიშვალდებულების მიხედვით, 2020 წ.....	162
დიაგრამა 3.3.3. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები პოლიტიკური სტაბილურობის მიხედვით, 2020 წ.....	162
დიაგრამა 3.3.4. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები მთავრობის ეფექტიანობის მიხედვით, 2020 წ.	163
დიაგრამა 3.3.5. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები რეგულირების ხარისხის მიხედვით, 2020 წ.	163
დიაგრამა 3.3.6. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები კანონის უზენაესობის მიხედვით, 2020 წ.	164
დიაგრამა 3.3.7. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები კორუფციის კონტროლის მხრივ, 2020 წ.	164

ცხრილები

ცხრილი 1.3.1. ინკლუზიური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები	41
ცხრილი 1.3.2. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინკლუზიური განვითარების ინდექსის ინდიკატორები.....	46
ცხრილი 2.1.1. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ ინდიკატორთა ნაკრები	52
ცხრილი 2.1.2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარში).....	55
ცხრილი 2.1.3. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დასაქმების დონე (%).....	56
ცხრილი 2.1.4. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი).....	57
ცხრილი 2.1.5. ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.....	58
ცხრილი 2.1.6. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლებთან	59
ცხრილი 2.1.7. სიღარიბის მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (%)	60
ცხრილი 2.1.8. კორუფციის აღქმის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.....	61
ცხრილი 2.1.9. ინდექსი „ხმა და ანგარიშვალდებულება“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.....	62
ცხრილი 2.1.10. მთავრობის ეფექტიანობის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში	64
ცხრილი 2.1.11. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განათლებაზე გაწეული მთავრობის ხარჯები, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი (%)	65
ცხრილი 2.1.12. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მსკ-ს პროცენტული წილი (%).....	66
ცხრილი 2.1.13. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ცენტრალური მთავრობის ვალი, როგორც მსკ-ს პროცენტული წილი (%).....	67
ცხრილი 2.1.14. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ქვეყნების, ქვეყნის ჯგუფების და ინდიკატორების მიხედვით	68
ცხრილი 2.1.15. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ქვეყნების, ქვეყნის ჯგუფების და ინდიკატორთა ჯგუფების მიხედვით.....	69

ცხრილი 3.1.1. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ ინდუსტრიული მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებები, სესხის მოცულობა და ინვესტიცია, 2019 წ.	103
ცხრილი 3.1.2. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ საწარმო პროექტებზე გაცემული თანხა და ბენეფიციარების რაოდენობა რეგიონალურ ჭრილში, 2019 წ.	104
ცხრილი 3.2.1. საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე რეგიონების მიხედვით, 2019 წ.	113
ცხრილი 3.2.2. საქართველოს საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიში, 2015-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი).....	119
ცხრილი 3.2.3. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2015-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი).....	120
ცხრილი 3.2.4. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი).....	121
ცხრილი 3.2.5. საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი).....	122
ცხრილი 3.2.6. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი).....	123
ცხრილი 3.2.7. რესპონდენტთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.....	127
ცხრილი 3.2.8. რესპონდენტთა მიერ ცხოვრების დონის შეფასება.....	132
ცხრილი 3.2.9. რესპონდენტთა კმაყოფილების დონის კვლევა	134
ცხრილი 3.2.10. რესპონდენტთა მიერ საცხოვრებელი გარემოს შეფასება	135
ცხრილი 3.2.11. კვლევის კითხვარის შეფასება.....	138
ცხრილი 3.2.12. კვლევის ხი-კვადრატ ტესტის შედეგები	140
ცხრილი 3.3.1. TIMSS 2019-ის კვლევის შედეგები	146
ცხრილი 3.3.2. PISA 2018-ის კვლევის შედეგები	147
ცხრილი 3.3.3. საქართველოში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, მიღებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე, 2011-2019 წწ. (ერთეული)	148

ცხრილი 3.3.4. საქართველოში სტუდენტთა მიღება და გამოშვება საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2013-2020 წწ. (ერთეული).....	149
ცხრილი 3.3.5. საქართველოში სტუდენტთა მიღება და გამოშვება დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე, 2011-2020 წწ. (ერთეული)	150
ცხრილი 3.3.6. ხორბალი და მესლინის და სიმინდის იმპორტი საქართველოში, 2015-2019 წწ. (ათასი აშშ დოლარი).....	151
ცხრილი 3.3.7. ხორბალი და მესლინის და სიმინდის ექსპორტი საქართველოდან, 2015-2019 წწ. (ათასი აშშ დოლარი).....	152
ცხრილი 3.3.8. ხორბალი და მესლინის და სიმინდის იმპორტი საქართველოში, 2015-2019 წწ. (ტონა)	153
ცხრილი 3.3.9. ხორბლის და სიმინდის წარმოება საქართველოში, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)	153
ცხრილი 3.3.10. საქართველოში ხორბალზე მოთხოვნა, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)...	154
ცხრილი 3.3.11. საქართველოში სიმინდზე მოთხოვნა, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)	154
ცხრილი 3.3.12. საქართველოს ბიზნეს სექტორის მონაცემები (პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, დასაქმება, შრომითი დანახარჯები), 2019 წ.	157
ცხრილი 3.3.13. საქართველოში სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით 2019-2020 სასწავლო წელს (ერთეული)	158

აბრევიატურის ჩამონათვალი

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

მსპ - მთლიანი სამამულო პროდუქტი¹;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ADB - Asia Development Bank - აზიის განვითარების ბანკი;

EBRD - European Bank for Reconstruction and Development - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;

FIAS - Foreign Investment Advisory Service - უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო სამსახური;

GII - Global Innovation Index - ინოვაციის გლობალური ინდექსი;

IDFI - Institute for Development of Freedom of Information - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

IDI - Inclusive Development Index - ინკლუზიური განვითარების ინდექსი;

IEA - International Energy Agency - ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო;

IEA - The International Association for the Evaluation of Educational Achievement - საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია;

IMF - International Monetary Fund - საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

N/A - Not Available - მონაცემი არ არსებობს;

OECD - Organisation for Economic Co-operation and Development - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია;

PISA - Programme for International Student Assessment - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა;

TIMSS - Trends in International Mathematics and Science Study - მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა;

UN - United Nations - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

¹ ნაშრომში ვუერთდებით პროფესორ ვლადიმერ პაპავასა და პროფესორ ავთანდილ სილაგაძეს ინიციატივას და „Gross Domestic Product (GDP)“-ის ქართულ თარგმნად გამოვიყენებთ ტერმინს „მთლიანი სამამულო პროდუქტი“, რაც უფრო სწორ თარგმნად მიგვაჩნია, ვიდრე დამკვიდრებული „მთლიანი შიდა პროდუქტი“.

შესავალი

თემის აქტუალობა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მეტად აქტუალური ხდება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მეცნიერული შესწავლის საკითხი, რადგან იგი მსოფლიოში არსებული სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირების ყველაზე ეფექტიან გზად განიხილება. ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორც არის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე სრულყოფილ ინფორმაციას არ გვაძლევს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კეთილდღეობის შესახებ. ეკონომიკური ზრდისგან სარგებელს, როგორც წესი მოსახლეობის ის ნაწილი იღებს, რომელსაც უკვე აქვს დაგროვებული კაპიტალი და უკეთეს სასტარტო პირობებში იმყოფება მოსახლეობის სხვა დაბალშემოსავლიან ფენებთან შედარებით. შედეგად, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობის მდგომარეობა ზოგ შემთხვევაში არათუ უმჯობესდება, პირიქით უარესდება კიდევ. ეკონომიკური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში აქცენტს ეკონომიკურ ზრდაზე აკეთებს და ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის განაწილება. ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკის და მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი მოქალაქეთა კეთილდღეობაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მოსახლეობის უმრავლესობისა და სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რაც სწორედ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ამოცანაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა გლობალური მასშტაბის გამოწვევაა, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნებში. მაგალითად, გაეროს (UN) 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებში მერვე მიზანი მდგრადი ინკლუზიური ზრდაა, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობისთვის ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნაზე. პირველი და მეათე მიზანი კი სიღარიბის აღმოფხვრა და უთანასწორობის შემცირებაა, რაზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ამახვილებს ყურადღებას. (UN, 2015).

საქართველოში, ყოველწლიური სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიღარიბე და უთანასწორობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2021 წლისთვის მოსახლეობის 17.5% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყო², ხოლო ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სახსრების მიხედვით 0.38-ს შეადგენდა³. 2018 წლის პუბლიკაციაში პროფესორი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ ეკონომიკური ზრდა მეტ-ნაკლებად დადებითად აისახოს ადამიანების კეთილდღეობაზე, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკა გადავიდეს ინკლუზიური ზრდის მოდელზე“ (პაპავა, ვ., 2018). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხად მიგვაჩია, იმისათვის, რომ ეკონომიკის ზრდას თან ახლდეს მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის კეთილდღეობის ამაღლება.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი არის დავასაბუთოთ საქართველოსთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა და შევიმუშაოთ მისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და თანმიმდევრული გაუმჯობესებისთვის სათანადო რეკომენდაციები.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო ეკონომიკაში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აქტუალობის შესწავლა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გაანალიზება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარების კუთხით;
- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი ინდიკატორების შერჩევა;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესადარებლად ინდექსის შემუშავება;

² საქსტატი, https://geostat.ge/media/45465/302_absoluturi-sigaribe.xls (ბოლო ნახვის თარიღი: 12.12.2022)

³ საქსტატი, https://geostat.ge/media/45467/303_ginis-koefficientebi.xls (ბოლო ნახვის თარიღი: 12.12.2022)

- საქართველოსთან შესადარი ქვეყნების შერჩევა და შედარებითი ანალიზის განხორციელება საქართველოს შედეგების შეფასებისა და მოწინავე ქვეყნების გამოვლენის მიზნით;
- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ გამოვლენილი წარმატებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმებისა და განვლილი გზის ანალიზი;
- საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის პროგრამების ანალიზი;
- საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი, მათ შორის მოსახლეობის გამოკითხვა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებთან მიმართებაში მოქალაქეთა დამოკიდებულების გამოსავლენად;
- საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი და მათი დაძლევის შესაძლებლობათა განხილვა.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის წინაშე დასახული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, როგორცაა: რაოდენობრივი კვლევა, სტატისტიკური ანალიზის, ისტორიულის, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და მოწინავე სამეცნიერო კვლევები, მათ შორის მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარების მიმართულებით. განხილულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ ინდიკატორთა ფართო ნაკრები და სხვადასხვა ინსტიტუტების სტატისტიკური მაჩვენებლები.

ისტორიულ მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზებულია ესტონეთის, ლიეტუვასა და ლატვიის მიერ განვილი გზა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. განხილულია მათ მიერ განხორციელებული რეფორმები და გატარებული პროგრამები, აგრეთვე მიღებული კანონები და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

საქართველოს მოსახლეობის მიერ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორების შესაფასებლად და მოსახლეობაში არსებული დამოკიდებულებების გამოსავლენად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. იმისათვის, რომ შერჩევის ერთობლიობა დიდი ყოფილიყო, კვლევაში მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს და ობიექტური პასუხების მისაღებად დაცული ყოფილიყო რესპონდენტთა ანონიმურობა, ჩატარდა ონლაინ ანკეტით გამოკითხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. კვლევის კითხვარი ეფუძნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ მეთოდოლოგიებს. კვლევა მიმდინარეობდა ოთხი კვირის განმავლობაში 2022 წლის 21 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით. კითხვარი გაეგზავნა ათასზე მეტ ადამიანს. შევსებული ანკეტა მიღებული იქნა 385 რესპონდენტისგან. მიღებული შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით IBM SPSS Statistics. აღნიშნული პროგრამით ჩატარდა Chi-Square ტესტი ცვლადებს შორის კავშირის დონის დასადგენად.

თეორიული კვლევისას გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. მათ შორის წარმოდგენილია მეცნიერთა შემდეგი ნაშრომები: ვლადიმერ პაპავა („რატომ ვერ აღიქვამს დადებითად საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკურ ზრდას“ 2018, „საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“, 2018); რამაზ აბესაძე („ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“, 2014); თეიმურაზ ბერიძე („ეკონომიკური ზრდის გაგების საკითხისათვის“, 2018); სიმონ გელაშვილი („ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი“, 2018); სიმონ გელაშვილი, ირაკლი მაკალათია, გიორგი მიქელაძე („ცხოვრების დონის სტატისტიკა“, 2022); უშანგი სამადაშვილი („ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი“, 2014); ეთერ ხარაიშვილი („ქართული აგროსასურსათო

პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები“, 2013); რევაზ გველესიანი, ირინე გოგორიშვილი („ეკონომიკური პოლიტიკა“, 2012); გიორგი ღაღანიძე, ბადრი რამიშვილი („საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები“, 2018); ალფრედო სად-ფილიუ (Saad-Filho, A., (2010). „Growth, Poverty and Inequality: From Washington Consensus to Inclusive Growth“); ელენა ლანჩოვიჩინა და სუსანა ლუნდრსტრომი (Ianchovichina, E., Lundstrom, S. (2009). „Inclusive Growth Analytics Framework and Application“); აარტ კრეი (Kraay, A., (2006). „When is Growth Pro-Poor? Evidence from a Panel of Countries“); რალურამ რაჯან (Rajan, R., (2010). „Fault Lines: How Hidden Fractures Still Threaten the World Economy“); მარტ ლაარი (Laar, M., (2007). „The Estonian Economic Miracle“); სინე რაცო (Ratso, S., (2005). „Miracle of Estonia: Entrepreneurship and competitiveness policy in Estonia“); ლემეკ ბალცეროვიჩი (Balcerowicz, L., (1994). „Understanding Postcommunist Transitions“) და სხვა.

წამომში გაანალიზებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სამუშაო ჯგუფების ანგარიშები, როგორცაა: გაერო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აზიის განვითარების ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ზრდისა და განვითარების კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო უთანასწორობის ლაბორატორია. განხილული არის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული აღნიშნული ორგანიზაციების ანგარიშები, როგორცაა: „ინკლუზიური ზრდის ინდიკატორების სტრუქტურა“ („Framework of inclusive growth indicators“, ADB, 2011); „ინკლუზიური ზრდის გაზომვა და მონიტორინგი“ („Measuring and Monitoring Inclusive Growth“, ADB, 2010); „სტრატეგია 2020“ („Strategy 2020“, ADB, 2018); „სტრატეგია 2030“ („Strategy 2030“, ADB, 2018); „გარდამავალი ანგარიში 2019-2020“ („Transition Report 2019-2020“, EBRD, 2019); „ყოველწლიური ანგარიში 2017: ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა“ („Annual report 2017 Promoting inclusive growth“, IMF, 2017); „შემოსავლის უთანასწორობის მიზეზები და შედეგები: გლობალური პერსპექტივა“ („Causes and Consequences of Income Inequality: A Global Perspective“, IMF, 2015); „ინკლუზიური ზრდის პოლიტიკის სამოქმედო ჩარჩო“ („The framework for policy action on inclusive growth“, OECD, 2018);

„ფოკუსირება უთანასწორობაზე და ზრდაზე“ („Focus on Inequality and Growth“, OECD, 2014); „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ („The 2030 agenda for sustainable development“, UN, 2015); „ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიში“ („The inclusive growth and development report, World Economic Forum“, 2015, 2017) და სხვა.

ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების გასაზიარებლად განვიხილეთ აღნიშნულ ქვეყნებში განხორციელებული პროგრამები, სამინისტროების სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, როგორცაა: „აწარმოე ესტონეთში“ („Enterprise Estonia“), „ესტონეთის წარმატება 2014“ („Success Estonia 2014“); „ეროვნული რეფორმების პროგრამა ესტონეთი 2020“ („National Reform Programme ESTONIA 2020“, 2019); „ლიეტუვას ინოვაციური განვითარების პროგრამა 2014-2020 წლებში“ („The Lithuanian Innovation Development Programme 2014-2020“, 2013); „ლიეტუვას ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პროგრამა 2014-2020 წლებში“ („Information society development programme for 2014-2020“, 2014); „ლიეტუვას მთავრობის პროგრამა 2004-2008“ („Programme of the government of the republic of Lithuania for 2004-2008“, 2004); „ლატვიის ეროვნული ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები 2014-2020“ („Latvia: National Industrial Policy Guidelines 2014-2020“, 2018); „ლატვიის ეკონომიკური განვითარება 2019“ („Economic development of Latvia“, 2019) და სხვა.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შესაფასებლად ნაშრომში განხილულია საქართველოში განხორციელებული და მოქმედი სტრატეგიები და პროგრამები, როგორცაა: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“; „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“; „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021“; „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ“; „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025“; პროგრამა „აწარმოე საქართველოში“; პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ და სხვა.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მსოფლიო ბანკის და ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ინსტიტუტების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საშუალებას

გვამღევს შევავასოთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- ნაშრომში გაანალიზებულია აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული ის მეთოდოლოგია და ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად. განხილული მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის ავტორისეული ვერსია, რომელიც ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას აფასებს ცხოვრების დონის, უთანასწორობის, მმართველობის და სახელმწიფო ფინანსების კუთხით. (გვ. 47-54);
- დისერტაციაში გაანგარიშებული და შეფასებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის მაჩვენებლები ჩვენს მიერ შერჩეული 12 ინდიკატორის საფუძველზე. (გვ. 55-69);
- ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტის საფუძველზე განხორციელდა რესპონდენტთა გამოკითხვა სოციალურ ქსელებში. რესპონდენტების გამოკითხვის კვლევის შედეგების საფუძველზე დადგენილი და შეფასებულია მოსახლეობის დამოკიდებულება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორცაა: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, განათლების სისტემა, ჯანდაცვის სიტემა, სიღარიბე, უთანასწორობა, სამართლიანი და თანასწორი გარემო. ამ გამოკითხვის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი დასკვნები: რესპონდენტთა მიერ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა შეფასდა საშუალო დონეზე; გამოიკვეთა რესპონდენტთა უკმაყოფილება ისე საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, გარემოსდაცვითი მდგომარეობა, ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე და განათლების სისტემა. (გვ. 126-141);
- გამოვლენილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის ხელშემწყობი საკვანძო მიმართულებები, როგორცაა: განათლების სისტემის

პრიორიტეტულობა, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტექნოლოგიების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ინოვაციების მხარდაჭერა, ეფექტიანი მმართველობა და თანასწორი, სამართლიანი გარემო პირობების გაუმჯობესება. (გვ. 142-165);

- ჩატარებული კვლევების საფუძველზე განსაზღვრულია არაინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემები, როგორცაა: მოსახლეობაში უსამართლობის განცდა, რომელსაც იწვევს არაინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და სხვადასხვა შოკები, რაც მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია სოციალური სიმშვიდისთვის; სიღარიბე წარმოშობს ადამიანისეული კაპიტალის არაეფექტიანობას, კრიმინალურ აქტივობასა და გენდერულ პრობლემებს; ხანგრძლივი დროით არსებული უთანასწორობა იწვევს სამოქალაქო არეულობებს, რომელიც პოლიტიკურ ვნებათაღელვაში გამოიხატება და საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. განხილული ფაქტორების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და წარმოდგენილია მათი დაძლევისთვის სათანადო რეკომენდაციები. (გვ. 166-170).

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე არსებულ აქტუალურ საკითხები, წარმოდგენილია ბალტიისპირეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილება, შემუშავებული და გამოთვლილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი ინდიკატორები. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომში განხილული კვლევის მეთოდები, მიღებული შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა და ინსტიტუტებმა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერი პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისას.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან საკითხებზე ჩატარებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია მეცნიერთა მიერ შემდგომი კვლევების დასაგეგმად, განათლების სისტემის სრულყოფის, სიღარიბესთან ბრძოლის,

უთანასწორობის აღმოფხვრის და ნაშრომში წარმოდგენილი სხვა აქტუალური მიმართულებებით.

ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კურსებში და სტუდენტებისათვის დამატებით ლიტერატურის მასალად.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი A4 ფორმატის 170 გვერდისგან. ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები. განხილული მასალის საილუსტრაციოდ ნაშრომში წარმოდგენილია დიაგრამები და ცხრილები.

ნაშრომის პირველ თავში გაანალიზებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აქტუალობა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში. პირველი თავის პირველ ქვეთავში განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები და შეხედულებები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი არის მსოფლიოში არსებული უთანასწორობის საილუსტრაციო სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები. პირველი თავის მეორე ქვეთავში წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა მიმართულებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ და სტიმული მისცენ ქვეყანაში მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას. ნაშრომის პირველი თავის მესამე ქვეთავში განხილულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასების მეთოდოლოგია. წარმოდგენილია აზიის განვითარების ბანკის მიერ რეკომენდირებული ინკლუზიური ზრდის ინდიკატორთა სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ 8 ჯგუფში გაერთიანებულ 35 ინდიკატორს. აღნიშნულ ქვეთავში ასევე განხილულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული ინკლუზიური განვითარების ინდექსის ინდიკატორები, რომლებიც მოიცავს 3 ჯგუფში გაერთიანებულ 12 ინდექსს.

ნაშრომის მეორე თავის პირველ ქვეთავში, პირველ თავში წარმოდგენილი ინდექსებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავებულია პოსტსაბჭოთა

ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ 4 მიმართულებას და თითოეული ამ მიმართულების შესაფასებელ 3 ინდექსს, ჯამში 12 ინდიკატორს. აღნიშნული ინდიკატორების ანალიზისთვის გამოყენებულია მრავალმხრივი სტატისტიკური მონაცემები. შემუშავებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი და წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა ქვეყნების რანჟირება აღნიშნული ინდექსის საფუძველზე. ნაშრომის მეორე თავის მეორე ქვეთავში დეტალურად არის განხილული ბალტიისპირეთის, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში მოწინავე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყნების, განვლილი გზა და განხორციელებული რეფორმები. თავის ბოლოს ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები.

დისერტაციის მესამე თავში განხილულია საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა. აღნიშნული თავის პირველ ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სტრატეგიული გეგმები და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები. მეორე ქვეთავში წარმოდგენილია სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავანალიზოთ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევები. მოცემულ ქვეთავში ასევე წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლითაც ვაფასებთ მოქალაქეთა დამოკიდებულებას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან არაერთ მიმართულებასა და საკითხზე. ნაშრომის მესამე თავის მესამე ქვეთავში, წინა პარაგრაფებიდან გაკეთებული დასკვნებისა და ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდირებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები.

ნაშრომის ბოლოს, ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ნაშრომს თან ერთვის კვლევის პროცესში გამოყენებული და შესწავლილი ლიტერატურისა და წყაროების ნუსხა და დანართები.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის აპრობაცია შედგა 2022 წლის 20 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე (კათედრის სხდომის ოქმი N 5).

გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ნაშრომთან დაკავშირებული პუბლიკაციები გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებში და კონფერენციის მასალათა კრებულში:

1. Kraveishvili, G., Gogorishvili, I., (2022). „Research and Evaluation of Perceptions of Inclusive Economic Growth in Georgia“, *Estonian Discussions on Economic Policy*, Vol. 30 No. 1-2, 150-171.
2. კრავეიშვილი, გ., (2022). „საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფონზე“, *ჟურნალი „ეკონომისტი“*; ტომი XVIII, N3, 134-148.
3. კრავეიშვილი, გ., (2021). „ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება როგორც XXI საუკუნის გამოწვევა: არსი და მეთოდოლოგია, პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“. თბილისი 3-4 ივლისი 2021. გვ. 345-355.

თავი I. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ემპირიული ანალიზი

1.1. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აქტუალობა მსოფლიოში

მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არსებულ სიღარიბესა და უთანასწორობასთან გასამკლავებლად ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში შემოვიდა ე.წ. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პარადიგმა. (Saad-Filho, A., 2010).

ეროვნული ეკონომიკის საბოლოო მიზანი არის ცხოვრების სტანდარტების ფართო და შეუქცევადი პროგრესი. ეს ის მაჩვენებელია, რომლის მიხედვითაც საზოგადოება აფასებს ქვეყნის მმართველთა ეკონომიკურ პოლიტიკასა და მათ განხორციელებულ ცვლილებებს. ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად და არა საბოლოო მიზანს. ერთის მხრივ ეკონომიკური ზრდა მოცემული მიზნის მისაღწევად აუცილებელია, თუმცა მეორეს მხრივ ის არ უზრუნველყოფს იმას, რომ არსებული ზრდა თანაბრად აისახება ეკონომიკაში არსებულ სუბიექტებზე. (Kraay, A., 2006).

„ეკონომისტები პრაქტიკულად თანხმდებიან, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი უხეშად ასახავს ეკონომიკაში არსებულ ვითარებას და ადამიანთა კეთილდღეობის შესაფასებლად პრაქტიკულად ვერ გამოდგება“ (პაპავა, ვ., 2018). „მთლიანი სამამულო პროდუქტი სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან არ აჩვენებს ქვეყნის ცხოვრების ხარისხს და განაწილებითი ურთიერთობების ეფექტს“ (ბერიძე, თ., 2018). სწორედ ამიტომ მსოფლიო ეკონომიკაში აქტიურად იმკვიდრებს ადგილს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ფენომენი, როგორც მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ეკონომიკური ზრდა.

შეგვიძლია ეკონომიკური ზრდა ჩავთვალოთ ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელ მთავარ ინდიკატორად, ხოლო ინკლუზიურ ზრდაზე შეგვიძლია ვიფიქროთ, როგორც სტრატეგიაზე, რათა ეკონომიკური პროგრესის მთლიანმა შედეგმა ფართო და თანაბარი გავრცელება ჰპოვოს მთელს საზოგადოებაში, ანუ

შედეგად მივიღოთ ის, რასაც მოითხოვს საზოგადოება: ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება და საერთო კეთილდღეობა. (Rajan, R., 2010).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისკენ მოწოდება სულ უფრო მეტად გვხვდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში და მიზნებში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშების მიხედვით, მსოფლიოს სჭირდება უფრო მეტი თანასწორობა და ინკლუზიური ზრდა. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2015 წელს გამოაქვეყნა ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიში, რომელშიც განხილულია ინკლუზიური ზრდის მნიშვნელობა და მისი შეფასებისთვის შემოთავაზებულია ინდიკატორთა ფართო ნაკრები. (World Economic Forum, 2015).

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე ყურადღება 2008 წლიდან გაამახვილა. „სტრატეგია 2020“-ის 3 საკვანძო მიმართულებაში შედიოდა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდაც. (რეგიონალურ ინტეგრაციასა და მდგრად ეკოლოგიურ ზრდასთან ერთად). ასევე, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა „სტრატეგია 2030“-ის 4 ძირითად მიმართულებას შორისაც მოხვდა. ხოლო, 2011 წელს აზიის განვითარების ბანკმა შემოგვთავაზა ინკლუზიური ზრდის შესაფასებელ ინდიკატორთა ნაკრები. (ADB, 2008, 2011, 2018).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) თავის ანგარიშებში აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდა თვითმიზანი არ არის. უმთავრესი მიზანი ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაა. სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა და სიღარიბესთან ბრძოლა კი არის ის მიმართულებები, რაზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ამახვილებს ყურადღებას. (OECD, 2014).

2006 წელს ჩამოყალიბებული ზრდისა და განვითარების კომისიის (რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 21 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგებოდა) 2008 წლის ანგარიში: „ზრდის ანგარიში: მდგრადი განვითარების და ინკლუზიური ზრდის სტრატეგიები“, ყურადღებას ასევე უთანასწორობის და სიღარიბის დაძლევაზე და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე ამახვილებს და გვთავაზობს

რეკომენდაციებს აღნიშნული მიზნების მისაღწევად. (Commission on Growth and Development, 2008).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე იყო ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2017 წლის ყოველწლიური ანგარიში. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა და უთანასწორობის აღმოფხვრა აღნიშნული ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი მოწოდებაა. (IMF, 2017).

მსოფლიო ბანკი ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე, როგორც მისი გრძელვადიანი მიზნების: მსოფლიოში სიღარიბის დასრულების და საერთო კეთილდღეობის ამაღლების, მიღწევის საშუალებაზე. (The World Bank, 2018).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე საუბარი 2014 წელს მიღებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ის დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. რის გამოც საქართველოს მთავრობის მიზანი სწორედ გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა, რათა ამან მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყოს ხელი. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით ჩანაცვლდა ე.წ. 4 პუნქტიანი გეგმით და სამწუხაროდ მისი პრაქტიკაში სათანადო რეალიზება არ მომხდარა. (საქართველოს მთავრობა, 2014).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად თუ მდიდარი მოსახლეობის შემოსავალი იზრდება, ეს საშუალოვადიან პერსპექტივაში მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპის შემცირებას იწვევს. ასევე პირიქით, თუ მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენის შემოსავალი იზრდება, ეს მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპის მატებას იწვევს. ამის ერთ-ერთ ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ მდიდრები მათი დამატებითი შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს ხარჯავენ, მაშინ როდესაც ღარიბი და საშუალო ფენა დამატებითი შემოსავლის

დიდ ნაწილ ხარჯავს და აბრუნებს ეკონომიკაში, რაც თავისთავად ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას უწყობს ხელს. (IMF, 2015).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად უთანაბრობის გაზრდა ჯინის ინდექსში 3 ერთეულით, იწვევს ეკონომიკური ზრდის შემცირებას 0.35 პროცენტული პუნქტით ყოველწლიურად 25 წლის განმავლობაში. (OECD, 2014). ეს პირველ რიგში გამომდინარეობს იქედან, რომ უთანაბრობის გაზრდა ძირითადად აისახება დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებზე, რომელთათვისაც კიდევ უფრო რთული ხდება თანხების დაბანდება განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით, რითაც ამცირებს ეკონომიკაში შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებას. (Cingano, F., 2014).

როგორც ზემოთ მოცემული მაგალითებიდან ვხედავთ, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში საკმაოდ აქტუალურია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სწორედ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ერთიანი განმარტება არ არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციები მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ.

მსოფლიო ბანკის მიხედვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა განსაზღვრავს როგორც ეკონომიკის ზრდის ტემპს, ასევე მის სტრუქტურას. მაღალი ეკონომიკური ზრდა ერთის მხრივ აუცილებელია სიღარიბის შემცირებისთვის, თუმცა ეს ზრდა რომ იყოს გრძელვადიანი და მდგრადი, საჭიროა მასში ჩართული იყოს ქვეყნის სამუშაო ძალის დიდი ნაწილი და ის მოიცავდეს ეკონომიკის ბევრ სექტორს. ზრდა თავისთავად არ არის მიზანი, თუმცა ის გვეხმარება მივაღწიოთ ადამიანების და საზოგადოების წინაშე არსებულ სხვა მნიშვნელოვან მიზნებს, როგორცაა სიღარიბის დონის შემცირება ქვეყანაში, განათლების და ჯანდაცვის სფეროს განვითარება, ცხოვრების დონის ამაღლება თუ სხვა. სიღარიბის სწრაფი და მდგრადი შემცირება მოითხოვს

ინკლუზიურ ზრდას, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობის დიდ ნაწილს ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში და სარგებელი მიიღონ აღნიშნული ზრდისგან. (The world bank, 2009)

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა აქცენტს აკეთებს გრძელვადიან პერსპექტივაზე. მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა გამართლებული იყოს შემოსავლების უბრალო გადანაწილება და ამით მოსახლეობის ნაკლებად დაცული ფენების უზრუნველყოფა, თუმცა ეს ვერ მიგვიყვანს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებამდე, სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირებამდე. შემოსავლების გადანაწილება მხოლოდ ნეგატიური ასპექტების შესარბილებლად გამოდგება. ინკლუზიური ზრდის მთავარი არსი კი მდგომარეობს ეკონომიკურ პროცესებში მოსახლეობის ფართო ჩართულობაში, რამაც უნდა უზრუნველყოს მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

მდგრადი და მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, რომელსაც თან ახლავს სიღარიბის შემცირება შესაძლოა რეალიზებული იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ზრდის წყარო ფართოვდება, ანუ როდესაც სამუშაო ძალის უფრო მეტი ნაწილი არის ჩართული ზრდის პროცესში. იმისათვის კი, რომ მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ნაწილი ჩაერთოს ეკონომიკაში, საჭიროა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. (Ianchovichina, E., Lundstrom, S., The world bank, 2009).

აზიის განვითარების ბანკის მიხედვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოიცავს ორი მიმართულებით განვითარებას. ერთის მხრივ მაღალ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რათა მოხდეს ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოვება, ხოლო მეორეს მხრივ ამ შესაძლებლობებისადმი საზოგადოების ფართო ხელმისაწვდომობას, რათა ისინი მონაწილენი იყვნენ ეკონომიკური ზრდის და მისგან სარგებელი მიიღონ.

ინკლუზიური ზრდა ეს უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ ზრდა. ეკონომიკური ზრდა აუცილებელი წინაპირობაა ინკლუზიური ზრდისთვის, თუმცა ეს უკანასკნელი მოიაზრებს იმას, რომ ზრდის პროცესში ჩართული იყოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი. ამ კონტექსტში ინკლუზიური ზრდა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ფართოდ

გავრცელებული ანდა შრომინტენსიური ზრდა. აზიის განვითარების ბანკი ასევე განმარტავს ინკლუზიურ ზრდას, როგორც ფართოდ გავრცელებულ ზრდას, რომელიც მოიცავს არადისკრიმინაციულ მონაწილეობას. აღნიშნულმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ღარიბი ფენის, მათ შორის რეგიონებში მცხოვრებთა, თანაბარი წვდომა შრომის ბაზარზე, მათთვის სათანადო განათლების და ჯანდაცვის მომსახურებებით უზრუნველყოფა და ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში მიუხედავად სხვა ნებისმიერი გარემო ფაქტორებისა. (ADB, 2008).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ქმნის თანაბარ შესაძლებლობას მოსახლეობის ყველა ფენისთვის, უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებისთვის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისგან სარგებლის სამართლიანად მიღებას, როგორც ფულად ისევე არაფულად ფორმაში. უფრო დეტალურად რომ განვმარტოთ, ინკლუზიური ზრდა გულისხმობს, რომ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად სქესისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ადგილმდებარეობისა და ეთნიკური ნიშნისა, უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკური საქმიანობაში, იყოს ეკონომიკური ზრდის პროცესის შემადგენელი ნაწილი და ამ პროცესში მათმა შეტანილმა წვლილმა მათ უნდა მოუტანოს თავიანთი შრომის პროპორციული და სამართლიანი სარგებელი. (OECD, 2014).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განმარტავს როგორც მდგრადი წარმოების ზრდას. აღნიშნული ზრდა მოიცავს ეკონომიკის უდიდეს ნაწილს და სამუშაო ძალას აძლევს დასაქმების შესაძლებლობას, რითაც განაპირობებს სიღარიბის შემცირებას. (World Economic Forum, 2015).

გაეროს განვითარების პროგრამა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განიხილავს როგორც ზრდის პროცესის, ასევე მისი შედეგების მიმართულებით. ერთის მხრივ ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ზრდის პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ ინკლუზიური ზრდისგან მიღებული სარგებელი უნდა განაწილდეს სამართლიანად. მაშასადამე ინკლუზიური ზრდა მოიაზრებს ეკონომიკური ზრდის პროცესში როგორც მონაწილეობას, ასევე მისგან შესაბამისი სარგებლის მიღებას. (OECD, 2014).

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ვხედავთ, საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებები სრულად იდენტური არ არის, თუმცა ისინი აქცენტს აკეთებენ ერთიდაიმავე ფაქტორებზე, რომლებიც შეგვიძლია როგორც საერთო შტრიხები გამოვყოთ:

- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოიაზრებს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელშიც ეკონომიკის დარგების დიდი ნაწილია ჩართული და რომელიც გავრცელებულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე;
- ეკონომიკურ ზრდაში ჩართული უნდა იყოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს;
- ეკონომიკური ზრდისგან მომდინარე სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ქვეყნის მოსახლეობაზე, თითოეული მათგანის მიერ ეკონომიკურ ზრდაში შეტანილი წვლილის და გაწეული შრომის შესაბამისად;
- აღნიშნულმა ეკონომიკურმა ზრდამ და ზრდის პროცესებში მოქალაქეთა აქტიურმა ჩართულობამ უნდა უზრუნველყოს სიღარიბის აღმოფხვრა და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული უთანაბრობის დონის შემცირებამდე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსის განმარტების შემდეგ განვიხილოთ ის მიზეზები, რამაც საკითხის აქტუალურობა განაპირობა როგორც საერთაშორისო, ისე სამამულო ეკონომიკის დონეზე.

აზიის განვითარების ბანკი ასახელებს შემდეგ მიზეზებს, თუ რატომ არის აუცილებელი რომ ეკონომიკური ზრდა იყოს ინკლუზიური: (ADB, 2011).

- თანასწორობისა და სამართლიანობის თვალსაზრისიდან გამომდინარე ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს მოსახლეობის დიდ ნაწილს და ტერიტორიულ სივრცეს. ეკონომიკური თუ სხვა გარე შოკები ძირითადად აზიანებს მოსახლეობის შედარებით მოწყვლად ჯგუფებს, აქედან გამომდინარე უსამართლოა ისეთი ზრდა, რომელსაც თან ახლავს უთანასწორობა.

- ზრდა, რომელიც არ ამცირებს უთანასწორობის დონეს, საფრთხის მატარებელია ქვეყნის სოციალური სიმშვიდისთვის. უთანასწორობამ შეიძლება მოქალაქეთა ღარიბ ნაწილს კრიმინალური აქტივობისკენ უბიძგოს, წარმოშვას პროსტიტუციის საფრთხე, სტიმული მისცეს ბავშვების დისკრიმინაციულ შრომაში ჩართვას. წარმოდგენილი ფაქტორები კი გრძელვადიან პერსპექტივაში მიგვიყვანს მოქალაქეთა კიდევ უფრო დიდი ნაწილის დასუსტებასთან და უზარმაზარი ადამიანისეული რესურსის არაეფექტიანობასთან, მაშინ როდესაც მოცემული რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც სარგებელს მოუტანს მთელს ქვეყანას.
- ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყანაში არსებულმა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მხრიდან მკვეთრი წინააღმდეგობები, როგორცაა სამოქალაქო არეულობები, პოლიტიკურ ვნებათაღელვებები და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.


როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი რაზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ყურადღებას ამახვილებს სიღარიბის აღმოფხვრა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირებაა. მსოფლიო ბანკის 2030 წლისთვის დასახული მიზნები სწორედ სიღარიბის აღმოფხვრა და საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობაა, რომელიც ყოველ ქვეყანაში მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 40%-ის შემოსავლების გაზრდით უნდა მოხდეს. (The World Bank, 2018). პრობლემის დეტალური ანალიზისთვის შევისწავლოთ სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით მსოფლიოში არსებული მდგომარეობა. დიაგრამაზე 1.1.1. მოცემულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი მსოფლიოში 1990-2018 წლებში. (რომელთა შემოსავალი ნაკლებია დღეში 3.20 \$-ზე).

მოცემული დიაგრამის მიხედვით 1990 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56%) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. აღსანიშნავია ის დადებითი ტენდენცია, რომელიც ამ მიმართულებით მსოფლიოში შეინიშნება, განსაკუთრებით 2000 წლიდან მოყოლებული. მიუხედავად ამისა 2018 წლისთვის

მოსახლეობის 23% მაინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა, შედეგად სიღარიბესთან ბრძოლა მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება.

მიუხედავად ზოგადი პროგრესისა, ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 40%-ის ცხოვრების სტანდარტები პრაქტიკულად ისევ უარესდება. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მსოფლიო ბანკის მიზანი 2030 წლისთვის უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის 3%-ის ნიშნულამდე შემცირება, აუცილებელია, რომ მსგავსმა ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის ისეთ ტემპებს მიაღწიონ როგორც მათ საკუთარი ისტორიის განმავლობაში არ ჰქონდათ და რაღათქმაუნდა იმისათვის, რომ ეს ზრდა სარგებლის მომტანი იყოს მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის ის აუცილებლად უნდა იყოს ინკლუზიური. (The world bank, 2018).

დიაგრამა 1.1.1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი მსოფლიოში, 1990-2018 წწ.




წყარო: The world bank, Poverty headcount ratio at \$3.20 a day (2011 PPP) (% of population) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.LMIC?downloadformat=excel>

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. შემოსავლების გადანაწილება თავისთავად პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დონესთან. უთანასწორობა, ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის გადანაწილების კუთხით, არის სიღარიბის აღმოფხვრის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი.

პარიზის ეკონომიკურ სკოლაში მოქმედი მსოფლიო უთანასწორობის ლაბორატორიის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობის დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე 1.1.2. (World inequality lab, 2022). როგორც მოცემული დიაგრამიდან ვხედავთ შემოსავლები საკმაოდ არათანაბრად ნაწილდება. მაგალითად, 2020 წლისთვის მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10% იღებდა მთლიანი შემოსავლების 54.8%-ს, ყველაზე დაბალშემოსავლიან 50%-ზე, ანუ მოსახლეობის ნახევარზე, მოდიოდა მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 7.1%, ხოლო შუალედურ ჯგუფში მყოფი მოსახლეობის 40% იღებდა მთლიანი შემოსავლის 38.0%-ს. აღსანიშნავია ის მცირედი დადებითი ტენდენცია რაც 1980 წლიდან მოყოლებული შეინიშნება, კერძოდ დაბალშემოსავლიანი 50%-ის შემოსავლების მცირედი მატება და 2000 წლიდან მოყოლებული მაღალშემოსავლიანი 10%-ისთვის შემოსავლების წილის კლების ტენდენცია. შუალედური ჯგუფისთვის შეიძლება ითქვას 1980 წელთან მიმართებაში საგრძნობი ცვლილება არ არის, მიუხედავად შუალედურ პერიოდში მაჩვენებლის მცირედი შემცირებისა. (იხ. დიაგრამა 1.1.2.) საერთო ჯამში შემოსავლების უთანასწორობის კუთხით მკვეთრი გაუმჯობესების ტენდენციები არ შეინიშნება და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობა მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

დიაგრამა 1.1.2. მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების დინამიკა, 1980-2020 წწ.



წყარო: World inequality lab, „World inequality report 2022“, data-F2.1 - <https://wir2022.wid.world/website/uploads/2022/03/WIR2022TablesFigures-Chapter.zip>

წარმოდგენილი ფაქტების და მოცემული ტენდენციების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა მსოფლიოსთვის საკმაოდ აქტუალურია. ცხადია, რომ მისი მიღწევისთვის შესაბამისი ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისთვის და ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთებულ მოწოდებებში და შემუშავებულ რეკომენდაციებშიც ნათლად აისახება.

1.2. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი პოლიტიკის გასატარებლად

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ გავაანალიზებთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, თუ რა სახის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა საჭირო ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

ქვეყნები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ მოკლევადიან პერიოდში შედეგის მომტან პოლიტიკაზე, მაშინ როდესაც გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია შორეულ მომავალზე გათვლილი პოლიტიკის გატარება. ბევრ განვითარებად ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის წვდომა პირველად მომსახურებებზე, განათლებაზე, ინფრასტრუქტურაზე. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ადამიანისეული კაპიტალი და მისი მაქსიმალური ჩართულობა ეკონომიკურ პროცესებში. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიშში რეკომენდაციას უწევს სახელწიფოებს გაატარონ აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა, ხელი შეუწყონ ყველასათვის თანაბარი და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, დაიცვან გენდერული ბალანსი, ხელი შეუწყონ არასტანდარტული სამუშაოს შემსრულებელთა მაქსიმალურ დაცულობას და მათთვის სათანადო ანაზღაურების მიცემას, მოახდინონ სკოლიდან სამუშაო სივრცეში ტრანსფორმაციის ეფექტიანი წარმართვა. (World Economic Forum, 2017).

ეფექტიანი ბაზარი და მაკროეკონომიკური სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. თუმცა რამდენად სარგებლის მომტანი არის ეს ეკონომიკური ზრდა საზოგადოებისთვის, დამოკიდებულია იმ დამატებით ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებზე, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს ქვეყანაში უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მაშინ, როდესაც უთანასწორობა მსოფლიოში დღითიდღე იზრდება, კიდევ უფრო მეტი ყურადღების გამახვილებას საჭიროებს მის აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები. (World Economic Forum, 2017).

იმის გასაგებად, თუ რა სახის და რა მიმართულებით ეკონომიკური პოლიტიკის გატარება არის საჭირო ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, განვიხილოთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

აზიის განვითარების ბანკი გამოყოფს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის შემადგენელ სამ ძირითად კომპონენტს. აღნიშნული სამი პოლიტიკური ღონისძიებების მიმართულებას, ასევე მხარს უნდა უჭერდეს ეფექტიანი მმართველობა და სათანადო ინსტიტუტების არსებობა. ყველაფერი ეს განისაზღვრება, როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის სტრატეგიის აუცილებელი შემადგენელი ელემენტები, რათა შედეგად მივიღოთ მაღალი და მდგრადი განვითარება, რომელიც სარგებელს მოუტანს საზოგადოების ყველა წევრს (ADB, 2011):

- **მაღალი, ეფექტიანი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რომელიც შექმნის პროდუქტიულ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.**

მაღალმა, ეფექტიანმა და მდგრადმა ეკონომიკურმა ზრდამ უნდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაზარდოს პროდუქტიულობა და უზრუნველყოს ეკონომიკის ზოგადი გაჯანსაღება, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს, რომ ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობებში. თუმცა აღნიშნული ეკონომიკური ზრდა არის მხოლოდ აუცილებელი და არა საკმარისი პირობა იმისათვის, რომ სახეზე გვქონდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკის გაჯანსაღება მთავრობას საშუალებას აძლევს მოახდინოს მის ხელთ უფრო მეტი რესურსის მობილიზება, რაც უკვე

გამოყენებული უნდა იყოს ისეთი სფეროების დასაფინანსებლად, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის იმ დაუცველი ნაწილისთვის, რომელიც დაცვას ყველაზე მეტად საჭიროებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი პუნქტის შესრულება საჭიროა, რათა შესაძლებელი გახდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი დანარჩენი ორი პოლიტიკური მიმართულების რეალიზება.

- **სოციალური ინტეგრაცია, რათა გარანტირებული იყოს ეკონომიკური შესაძლებლობებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა.**

სოციალური ინტეგრაცია აუცილებელია, რათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს ერთმანეთთან მიმართებაში საქმიანობის თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ზრდის ადრეულ სტადიაზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, სხვებთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება მათი უკეთესი სასტატო პოზიციიდან გამომდინარე. ეს ამ უკანასკნელ ნაწილს საშუალებას მისცემს, რომ ეკონომიკაში გაჩენილ ახალ შესაძლებლობებს სხვებზე ადრე დაეპატრონონ. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, რომ მაქსიმალურად დააბალანსოს არსებული დისპროპორცია, რათა მოსახლეობის ყველა ნაწილი თანაბარ სასტატო პირობებში იმყოფებოდეს. ეს ქვეყანაში ობიექტური შეჯიბრითობის მდგომარეობას ჩამოაყალიბებს, რაც გაზრდის ჯანსაღ კონკურენციას და ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

- **სოციალური დაცვის სისტემა.**

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის რაოდენ მაღალი ინტეგრაცია იქნება ეკონომიკურ ზრდაში, ყოველთვის იარსებებს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან დახმარება დასჭირდება. ეს შეეხება საზოგადოების ყველაზე ღარიბ და მოწყვლად ნაწილს, რომელთაც უბრალოდ არ შესწევთ ძალა ჩაერთონ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების მოპოვების პროცესში და ეს შეუძლებლობა დიდწილად გამოწვეულია მათ კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორებიდან.

აზიის განვითარების ბანკის აღნიშნულ სტრატეგია მოკლედ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ როგორც „ზრდა, ინტეგრაცია, სოციალური დაცვა“. ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა ქვეყანაში, აღნიშნული შესაძლებლობებისადმი ყველას თანაბარი ხელმისაწვდომობა და მათი დაცვა ვინც ობიექტური მიზეზების გამო ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობას ვერ იღებს. აუცილებელია, რომ აღნიშნული პოლიტიკის მიმართულებები მხარდაჭერილი იყოს შესაბამისი მძლავრი ინსტიტუტების არსებობით ქვეყანაში და ეფექტიანი მმართველობით. როგორც ვხედავთ თითოეული შემადგენელი კომპონენტი მნიშვნელოვანია, თუმცა რომელიმე ერთის გარეშე ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ვერ გვექნება და საზოგადოების ყველა წევრი ვერ მიიღებს სარგებელს არსებული ზრდისგან.

ზრდისა და განვითარების კომისიის 2008 წელს წარმოდგენილი „ზრდის ანგარიში: სტრატეგიები მდგრადი ზრდისა და ინკლუზიური განვითარებისთვის“-ის მიხედვით გამოყოფილია მიმართულებათა რამდენიმე ჯგუფი, რომელთა მხარდაჭერაც აუცილებელია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია „აკუმულაცია“, რომელიც გულისხმობს მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის და განათლების მიმართულებით, რომლებიც არის საჭირო სწრაფი ზრდისთვის. ჯგუფი „ალოკაცია“ გულისხმობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანისეული და ფინანსური რესურსების მობილიზება იმ დარგებში, რომლებიც ყველაზე მეტად ეფექტიანია განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია ასევე რომ ქვეყანაში იყოს ზოგადი მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მკვეთრი რყევები. სწრაფი და მდგრადი განვითარება მოითხოვს ინვესტიციის მაღალ მაჩვენებელს. რესურსების ინვესტირება და არა მოხმარება, საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ კომპრომისს დღევანდელ და სამომავლო ცხოვრების სტანდარტს შორის. იმისათვის, რომ სახეზე გვქონდეს ზრდის მაღალი ტემპები, საჭიროა ქვეყანამ ინვესტირება მოახდინოს განათლებაში, ჯანდაცვაში, ინფრასტრუქტურაში. ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ინვესტირება მეტად უფრო შესამჩნევ ფიზიკურ კაპიტალში. მეცნიერთა მცირე ნაწილი თუ შეეწინააღმდეგება ამ დებულებას, თუმცა სამწუხაროდ სტატისტიკური

მონაცემებით ამ ყველაფრის დამტკიცება რთულია. ყველა ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან ძალისხმევას დებდა განათლების მიმართულებით და ახდენდა ინვესტირებას ადამიანისეულ კაპიტალში. (Commission on Growth and Development, 2008).

ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანამ ფეხი აუწყოს ტექნოლოგიურ პროგრესს და მოახდინოს მსოფლიოში არსებული ტექნოლოგიური ცოდნის ათვისება და დანერგვა. ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ეკონომიკას, რომ მის ხელთ არსებული რესურსებიდან უფრო მეტი უკუგება მიიღოს. ტექნოლოგია გვეხმარება არა მხოლოდ არსებული საქონლისა თუ მომსახურების გაუმჯობესებასა თუ გაიაფებაში, არამედ იმაშიც, რომ ბაზარს შევთავაზოთ ახალი პროდუქტი. აქედან გამომდინარე, მსოფლიოში დანერგილი ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოტანა ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხი რომელის სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების გამახვილებას საჭიროებს არის რეგიონალური პოლიტიკა. ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდა თანაბრად არ აისახება ამ ქვეყნის ყველა რეგიონზე. კომპანიები ცდილობენ მათ საქმიანობის ადგილად ქვეყნის ცენტრალური და განვითარებული ქალაქები აირჩიონ, რითაც ისინი კიდევ უფრო მეტად უწყობენ ხელს აღნიშნული ქალაქების განვითარებას და მათში მაღალ ეკონომიკურ ზრდას, მაშინ როდესაც რეგიონებისთვის კიდევ უფრო რთული ხდება მათ წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. მსგავსი გადანაწილება წარმოშობს ცხოვრების დონეს შორის სხვაობას ქვეყნის ცენტრალურ და რეგიონალურ დასახლებებს შორის, რაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი ხდება. სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს ისეთი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყნის რეგიონებს ეკონომიკური საქმიანობისთვის უფრო მიმზიდველს გახდის, უზრუნველყოფს მათ სწრაფ განვითარებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს შეუძლია ამ ყველაფრის დაბალანსება იმის მიხედვით, თუ სად მოახდინონ თანხების ინვესტირება,

განავითარონ ინფრასტრუქტურა და ამით ქვეყნის ყველა რეგიონს განვითარების თანაბარი პირობები შეუქმნან. აღსანიშნავია ისიც, რომ ინფრასტრუქტურის გარდა ეკონომიკის განვითარებისთვის მთავარი მამოძრავებელი ძალაა ადამიანისეული კაპიტალი. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ რეგიონებში არსებობდეს კვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეძლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა პირველ რიგში აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო გარემოზე ზრუნვა ნაკლებად წარმოადგენს ყურადღების საგანს, რაც დიდი შეცდომაა. გარემოში შექმნილი მდგომარეობა გრძელვადიან პერიოდში აისახება როგორც ადამიანთა ჯამრთელობაზე, ასევე სამომავლოდ მისი გაუმჯობესებისთვის გასაწევ ფინანსურ ხარჯებზე. რათქმაუნდა განვითარებადი ქვეყნებისთვის ძნელია ყველა ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება, რადგან ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა აუცილებელია, რომ ქვეყნებმა იფიქრონ ეკონომიკურ ზრდაზე ისე, რომ მხედველობიდან არ გამოორჩეთ გარემო და ის შესაძლო ზიანი რაც მას შეიძლება მიაღდეს. ასევე მაქსიმალურად ეცადონ აღნიშნული ზიანის მინიმიზებას, რათა მომავალმა თაობებმაც ჯანსაღ გარემოში იცხოვრონ. (Commission on Growth and Development, 2008).

ეკონომიკური ზრდის პროცესში საჭიროა აქტიურად იყოს ჩართული ახალგაზრდა თაობა. ახალგაზრდა თაობის შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მაღალი პროდუქტიულობა ქვეყანას საშუალებას მისცემს შეინახოს მოსახლეობის შედარებით ასაკოვანი ის ნაწილი, რომელიც დაბალი შრომის მწარმოებლურობით ხასიათდება. მაშასადამე, აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობები დემოგრაფიული დივიდენდის მისაღებად, რათა იქნეს თაობათაშორისი თანასწორობა მიღწეული, რაც ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ კომპონენტია. (World Economic Forum, 2017).

ქვემოთ მოცემულია ის პოლიტიკური რეკომენდაციები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება ხელი შევუწყოთ ზემოთაღნიშნული დემოგრაფიული

დივიდენდისგან მისაღები სარგებლის მაქსიმიზაციას: (UN Economic Commission for Africa and African Union Commission, 2013).

- **გაძლიერება:** გავზარდოთ ინვესტიციები ოჯახის დაგეგმვის კუთხით და ისეთ პროგრამებში, რომლებიც ხელს უწყობენ დედის და შვილის ჯამრთელობის დაცვას, გავაფართოვოთ ახალდაბადებულთა და ბავშვების საბაზისო ჯანდაცვის მომსახურებებით უზრუნველყოფა;
- **განათლება:** მოვახდინოთ ინვესტირება განათლების სისტემაში, რათა გავზარდოთ როგორც განათლების მიღების შესაძლებლობა, ასევე მისი ხარისხი;
- **დასაქმება:** მოვახდინოთ ინვესტირება ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომლებსაც შეუძლიათ ახალგაზრდებისთვის დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნა; მაქსიმალურად ხელი შევეუწყოთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მეცნიერებატევად დარგებში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მოსახლეობაში განათლების საერთო დონის გაღრმავებას; გავზარდოთ პროფილური განათლების მიღების შესაძლებლობები.

აღნიშნული პოლიტიკა საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 2018 წლის დოკუმენტი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის შესახებ (OECD, 2018), ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური პოლიტიკის სამ ძირითად მიმართულებაზე:

I. ინვესტირება იმ ადამიანისეულ კაპიტალში და ობიექტებში რომლებიც უზრუნველყოფენ:

1. მოზარდებისადმი ზრუნვას, მათთვის ხარისხიანი განათლების და იმ უნარ-ჩვევების მიცემას, რაც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვებათ;
2. სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, მართლმსაჯულებაზე და ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე წვდომის თანაბარ შესაძლებლობებს;

3. ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

II. ბიზნეს დინამიზმისა და ინკლუზიური შრომის ბაზრის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს:

1. ინოვაციურობისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობას;
2. აქტიური სამეწარმეო საქმიანობისა და ძლიერი კონკურენციის მხარდაჭერას;
3. სამუშაო ადგილებზე ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას;
4. მომავალი სამუშაოსადმი მდგრადობას და ადაპტაციას.

III. ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს:

1. ეკონომიკური პოლიტიკის პაკეტი შეთანხმებული უნდა იყოს მთელს მმართველ გუნდთან;
2. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს სამართლიანობის ასპექტების გათვალისწინება;
3. პოლიტიკის ინკლუზიური ჩამოყალიბება, სამართლიანობა, ანგარიშვალდებულება და საერთაშორისო კოორდინაცია.

სწორი პოლიტიკის შემუშავებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკაში მისი სათანადო განხორციელება. შედეგად მივდივართ მთავრობის ეფექტიანობასთან, თუ რამდენად შეუძლია მას შემუშავებული პოლიტიკის სრულყოფილი რეალიზება.

რათქმაუნდა როდესაც ვსაუბრობთ მთავრობის ეფექტიანობაზე, აქ იგულისხმება სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებული ყველა საჯარო მოხელე, რომლებმაც იერარქიის სხვადასხვა დონეზე თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ დასახული პოლიტიკის რეალიზებაში. მთავრობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მათ ცოდნაზე, კოორდინირებულ მოქმედებაზე, ორგანიზებულობაზე. მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეების შენახვა იაფი სიამოვნება არ არის, თუმცა არამოტივირებული და ნაკლები კვალიფიკაციის მქონეთა შენახვა ნადვილად ძვირი ჯდება. (Commission on Growth and Development, 2008).

პირველ რიგში აუცილებელია მოხდეს კადრების ობიექტური და სამართლიანი შერჩევა, მხოლოდ პროფესიონალიზმზე, ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით. თუმცა სათანადო ადამიანების არჩევა ეს მხოლოდ დასაწყისია. ამასთან მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სტიმული, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ნიჭი გაიფლანგება პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ანდა სხვა პირად ინტერესებში. აუცილებელია, რომ კორუფციის წინააღმდეგ გამოცხადებული იყოს ენერგიული და ყველასათვის თვალშისაცემი ბრძოლა. ამით ხელისუფალთა ლიდერები აგზავნიან ნათელ სიგნალს, თუ ქვევის როგორი ნორმაა მისაღები და რა შედეგები მოყვება საჯარო მოხელის მხრიდან აღნიშნული მისაღები ნორმებიდან გადახვევას. სუსტი ქმედებები ამკვიდრებენ აზრს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არასწორი ქმედებები მართლაც არასწორია, ეს ნაკლებად ყურადღებას იქცევს და მათი ჩადენა არაფერს მნიშვნელოვნად არ ცლის. ეს ასევე აძლევს სტიმულს სხვებს, რომ გაიმეორონ სხვათა ან მათ მიერ ჩადენილი არასწორი ქმედებები, რადგან ამას რეაგირება მაინც არ მოყვება.

საჯარო მოხელეთა მოტივაციის კარგი საშუალებაა თანამშრომელთა დაწინაურება ან ფინანსური წახალისება, ანაზღაურების გაზრდა მათი დამსახურებების მიხედვით. საჯარო მოხელეთა შესაფასებლად მნიშვნელოვანია ასევე სამუშაო შეფასების ობიექტური სტანდარტების დანერგვა, რომლითაც მოხდება მომუშავეთა შეფასება და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სუბიექტური ფაქტორები, რითაც უსამართლობის წარმოშობას ავირიდებთ თავიდან. მსგავსი სამართლიანი სისტემის არსებობა მომუშავეთათვის დამატებით სტიმული იქნება, რადგან მათ ნათლად ეცოდინებათ როდის, რა შემთხვევაში და რა სახით იქნებიან დაჯილდოვებულნი.

საჯარო მოხელეთა შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ მოქალაქეთა აზრი, რომელთაც ისინი ემსახურებიან. მსგავსი შეფასებები საშუალებას იძლევა, როგორც წარმატებულ მომუშავეთა გამოსავლენად და მათ წასახალისებლად, ასევე საჯარო მოხელეთა და სტრუქტურების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რათა მათ უკეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და ხელი შეუწყონ ქვეყნის

განვითარებისთვის შემუშავებული პოლიტიკის პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას. (Commission on Growth and Development, 2008).

ზემოთ განვიხილეთ რა სხვადასხვა ორგანიზაციების შეხედულებები, თუ როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს სახელმწიფომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები დავაჯგუფეთ შემდეგი მიმართულებებით:

1. ზოგადი მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
2. თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის;
3. სოციალური დაცვა;
4. ინფრასტრუქტურის განვითარება;
5. ინვესტირება განათლებაში;
6. ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;
7. რეგიონალური პოლიტიკა;
8. გარემოს დაცვა;
9. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;
10. ეფექტიანი და გამჭირვალე მმართველობა.

„თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის“ - არის ამოსავალი წერტილი რაზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა უნდა დაფუძნდეს, რაშიც ვგულისხმობთ ეკონომიკაში ჯანსაღ კონკურენციას და კანონის წინაშე თანასწორობას, რათა ეკონომიკის ყველა სუბიექტი თანაბარ პირობებში იმყოფებოდეს.

მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფომ იზრუნოს მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებენ ჩაერთონ ეკონომიკური საქმიანობით ჯანსაღი კონკურენციის პროცესში. სათანადო სოციალური დაცვის სისტემის არსებობა აუცილებელია, რათა მოსახლეობის ყველა ნაწილმა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოს.

როგორც ზემოთ განვიხილეთ საერთაშორისო ორგანიზაციების შემოთავაზებული რეკომენდაციები მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებენ ინვესტირების მნიშვნელობაზე ინფრასტრუქტურის, განათლების და თანამედროვე

ტექნოლოგიების მიმართულებით. ცალსახაა, რომ სათანადო ინფრასტრუქტურის გარეშე ეკონომიკური განვითარება რთული იქნება.

მნიშვნელოვანია ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში. მომავალი ბიზნესმენები, გამომგონებლები, საჯარო მოხელეები არიან დღევანდელი სკოლის მოსწავლეები თუ უნივერსიტეტების სტუდენტები. იმისათვის, რომ მომავალში მათ წამოიწყონ ბიზნესები, ჩამოაყალიბონ უკეთესი სახელმწიფო მმართველობა, ამისთვის ცალსახად სჭირდებათ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ქვეყნის მოქალაქეები მასიურად თუ არ იქნებიან აღჭურვილნი შესაბამისი განათლებით, მათ გაუჭირდებათ მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა, თუნდაც სხვამხრივ იდეალურ გარემოში. განათლების სისტემაში ინვესტირება ასევე პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობასთან. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა საჭიროა, რათა გაიზარდოს თითოეული ადამიანის მწარმოებლურობა და ეკონომიკის ზოგადი ეფექტიანობა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გზაზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს რეგიონალური განვითარების პოლიტიკას. ახალი კომპანიები ყოველთვის ეცდებიან თავიანთი საქმიანობა ქვეყნის ცენტრალურ და განვითარებულ ქალაქებში წამოიწყონ, რაც ამ უკანასკნელთა კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს ქვეყნის სხვა დანარჩენი რეგიონების ჩამორჩენის ხარჯზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ სახელმწიფომ თავისი პოლიტიკით ხელი შეუწყოს მსგავს ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკის გაძლიერებას.

ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებთან ერთად მნიშვნელოვანია გარემოზე ზრუნვა, რადგან მომავალი თაობები ისევე იმსახურებენ ჯანსაღ და ეკოლოგიურ გარემოს როგორც ამაზე ხელი წინა თაობებს მიუწვდებოდათ. ამიტომ ეკონომიკური განვითარება უნდა მიმდინარეობდეს ბუნებაზე ზრუნვის პარალელურად.

მიუხედავად იმ ზოგადი მიმართულების ღონისძიებების განხორციელებისა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სახელმწიფოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად მიგვაჩნია აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის გატარება, რათა მან ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უფრო მეტი ადამიანის დასაქმებას.

რათქმუნდა აქ არ მოვიაზრებთ საბაზრო საქმიანობაში სახელმწიფოს უხემ ჩარევას, საუბარი გვაქვს მხოლოდ მხარდამჭერ ღონისძიებებზე, რაც არ დააზიანებს შრომის ბაზრის სტრუქტურას და სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ზოგადი თუმცა აქტიური ხელშეწყობით შემოიფარგლება.

რაოდენ სწორად და იდეალურადაც არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ესა თუ ის პოლიტიკა, პრაქტიკაში მისი რეალიზება დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურების და საჯარო მოხელეების მაღალ პროფესიონალიზმთან და კეთილსინდისიერებასთან. აუცილებელია, რომ საჯარო მოხელე თავისი საქმიანობის პროცესში გამოდიოდეს სახელმწიფოს ინტერესებიდან და ეფექტიანად ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. მსგავსი საჯარო სტრუქტურის ფორმირება კი საჭიროებს გამჭირვალე და ობიექტური კადრების შერჩევის პროცესს და აყვანილი თანამშრომლებისთვის შრომის შესაბამისი ანაზღაურების არსებობას, ასევე მეორეს მხრივ დაუღალავ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, რათა საჯარო მოხელის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელება არ იქნეს წახალისებული.

ეს არის ეკონომიკური პოლიტიკის ის მიმართულებები, რომელთა მხარდაჭერა და განვითარება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაყრდნობით აუცილებლად მიგვაჩნია, რათა სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

1.3. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელი ინდიკატორების განხილვა

საქართველოსა და სხვა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, რაც თავის მხრივ მოწინავე გამოცდილების გაზიარების და საქართველოსთვის სათანადო პოლიტიკის ჩამოყალიბების წინაპირობაა, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ის ინდიკატორები, რაც შემოთავაზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და გამოიყენება ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გასაზომად.

განვიხილოთ აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიები და ინდიკატორები, რის შემდეგაც უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ რომელი ინდიკატორები და მეთოდოლოგია იქნება უფრო მისაღები ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

აზიის განვითარების ბანკმა 2011 წელს წარმოადგინა „ინკლუზიური ზრდის ინდიკატორების სტრუქტურა“ („Framework of Inclusive Growth Indicators“), რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რამდენად ინკლუზიურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. წარმოდგენილი სტრუქტურა შედგება 8 ჯგუფისა და მასში გაერთიანებული 35 ინდექსისგან. ეს 8 ჯგუფია: „1. სიღარიბე და უთანასწორობა; 2. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება; 3. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; 4. განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა; 5. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე; 6. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები; 7. სოციალური დაცვის სისტემა; 8. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები“. (კრავეიშვილი, გ., 2022).

განვიხილოთ თითოეული მათგანი, როგორც ეს აზიის განვითარების ბანკის ანგარიშშია მოცემული. (ADB, 2011). (ინდიკატორთა დეტალური განმარტებები მოცემულია დანართში 1).

1. სიღარიბე და უთანასწორობა;

ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი არის არა მხოლოდ ზრდის მიღწევა, არამედ ქვეყანაში სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრა. მსგავსი გამოწვევის წინაშე მსოფლიოს ყველა ქვეყანა დგას. სოციალურ ფენებს შორის ფართოდ გავრცელებულმა უთანასწორობამ შეიძლება საზოგადოებაში დაპირისპირება და კონფლიქტიც კი გამოიწვიოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინკლუზიურობის და სიღარიბეს გამომხატველი არის არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ ისიც, რამდენად აქვს მოსახლეობას შესაძლებლობა ჯანდაცვის და განათლების მიღების, რაც საბოლოოდ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის წინაპირობაა. ინკლუზიური ზრდის ამ

მიმართულებით არსებული პროგრესის გასაზომად აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებულია ქვემოთ მოცემული ინდიკატორები:

- „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი“;
- „მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლის შემოსავალი დღეში 2 \$ ზე ნაკლებია“;
- „მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი / მაღალი მოხმარების მქონე 20%-ის თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიან / დაბალი მოხმარების მქონე 20%-თან“;
- „სკოლაში სწავლების საშუალო წელი“;
- „5 წლამდე ასაკის ბავშვებში ნორმაზე გამხდართა ხვედრითი წილი“;
- „5 წლამდე ბავშვებში სიკვდილიანობის დონე“.

2. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება;

მაღალი, მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს პროდუქტიული და ღირსეული დასაქმების წინაპირობას. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება არა მხოლოდ იწვევს სიღარიბის შემცირებას, არამედ ის ასევე ქმნის ახალ რესურსებს და შესაძლებლობებს, გზას ხსნის უკეთესი განათლების და ჯანდაცვის მისაღებად, უკეთესი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ინკლუზიური ზრდის გასაზომად მოცემულ ჯგუფში შემავალი ინდიკატორებია:

- „მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით“;
- „მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის / მოხმარების ზრდის მაჩვენებელი (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით)“;
- „დასაქმების დონე“;
- „დასაქმების ელასტიკურობა მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში“;
- „ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა“.

3. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

არასაკმარისი ფინანსური და ფიზიკური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორს. ეს

განსაკუთრებით ზღუდავს მცირე საწარმოების და ქვეყნის რეგიონებში მოღვაწე ფირმების განვითარების შესაძლებლობას. ისეთი ძირითადი ინფრასტრუქტურა როგორცაა გზები, ტელეკომუნიკაცია, ელექტროობა, ფინანსური დაწესებულებები, აუცილებელია, რათა ეკონომიკური ზრდისგან მიღებულმა სარგებელმა გავრცელება ჰპოვოს ქვეყნის ცენტრისგან დაშორებულ რეგიონებში. მსგავსი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა შეგვიძლია გავზომოთ შემდეგი ინდიკატორებით:

- „მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება“;
- „მყარი ზედაპირის მქონე გზების პროცენტული წილი“;
- „ყოველ 100 ადამიანზე მობილური ტელეფონის აბონენტთა რიცხვი“;
- „მეანაზრეთა რიცხვი ყოველ 1000 ზრდასრულ ადამიანზე“.

ეს ოთხი ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ქვეყნის შესაძლებლობა უზრუნველყოს: 1. საჭირო ელექტროენერჯით მრეწველობა, ბიზნესი და შინამეურნეობები; 2. საგზაო ინფრასტრუქტურით ყველა დაინტერესებული მხარე, უფრო სწრაფი და ეფექტიანი გადაადგილებისთვის; 3. მოსახლეობა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით; 4. ფინანსური ხელმისაწვდომობა მათთვის, ვისაც ეს სჭირდება.

4. განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა;

საბაზისო განათლება და კარგი ჯანდაცვა მიიჩნევა მოსახლეობის ძირითად უფლებად და ასევე განიხილება ეკონომიკური განვითარების, როგორც მიზნად, ასევე საშუალებად. სახელმწიფოს თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით ფინანსების ინვესტირებაში. აღნიშნული მიმართულებით თანხების დაბანდება შეგვიძლია მივიჩნიოთ საუკეთესო სოციალურ დაცვად და ასევე სამომავლოდ მოსახლეობისათვის მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მოძიების თანაბარი შესაძლებლობის შექმნის წინაპირობად. განათლებული და ჯანმრთელი სამუშაო ძალა ასევე განაპირობებს შრომის ბაზარზე მათ აქტიურ ჩართულობას და მაღალ პროდუქტიულობას, ეს კი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მიმართულებით არსებული სიტუაციის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები:

- „სასკოლო ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა“;
- „მოსწავლე-მასწავლებლების თანაფარდობა (დაწყებით სკოლაში)“;
- „დიფტერიით, ტეტანუსის ტოქსოიდით და პერტრუსით აცრილთა წილი 1 წლამდე ბავშვებში“;
- „ექიმები, ექთნები და ბებიაქალები მოსახლეობის ყოველ 10 000 სულზე“;
- „განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში“;
- „ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში“.

5. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე;

რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის და ზოგ შემთხვევაში ქალაქების გარეუბნებში მცხოვრებთათვის მიუწვდომელი არის ძირითადი კომუნალური მომსახურებები, ისეთი როგორცაა ელექტროენერგია, სუფთა სასმელი წყალი და მოწესრიგებული სანიტარული ინფრასტრუქტურა. ეს ძირითადი კომუნალური მომსახურებები ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს წარმოადგენს და აუცილებელია როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრულების ღირსეული და ჯანსაღი ცხოვრებისათვის. მსგავსი ინფრასტრუქტურის უქონლობა შეიძლება მრავალი დაავადების გამომწვევი იყოს, რასაც საბოლოოდ მივყავართ მოსახლეობის ამ ნაწილის პროდუქტიულობის დაქვეითებამდე და ზოგ შემთხვევაში ეს სიკვდილის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია, რომ თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო მინიმალური მომსახურებებით, რათა მან უკეთ შესძლოს როგორც სათანადო განათლების მიღება, ასევე ეკონომიკური საქმიანობა. აღნიშნული მიმართულებით ინკლუზიურობის შესამოწმებლად შემოთავაზებულია შემდეგი ინდიკატორები:

- „მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთაც წვდომა აქვთ ელექტროენერგიაზე“;

- „მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც მყარ საწვავს იყენებენ საკვების მოსამზადებლად“;
- „მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებს იყენებენ“;
- „მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც გაუმჯობესებულ სანიტარულ სისტემას იყენებენ“.

პირველი ორი ინდიკატორი ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) მიერ მიჩნეულია, როგორც საოჯახო მეურნეობების ენერგეტიკული სიღარიბის მაჩვენებელი. ბოლო ორი მაჩვენებელი ასევე განეკუთვნება ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორებს.

6. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები;

გოგონებისათვის სათანადო განათლების მიცემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდგომში ეკონომიკურ პროცესებში მათ პროდუქტიულ ჩართულობაში, რაც ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიანი ეფექტის მომტანია. მომავალი დედეების ძირითადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ნებისმიერი მთავრობის ჯანდაცვის პოლიტიკის საკვანძო კომპონენტი უნდა იყოს. ფაქტები მოწმობს, რომ განათლებულ და ჯანმრთელ დედას ჰყავს უფრო ცოტა და ჯანმრთელი შვილი, რომლებიც თავის მხრივ უკეთესი მოსწრებით გამოირჩევიან სკოლაში და აქვთ უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები სამომავლოდ. გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეს ღარიბ ოჯახებს საშუალებას აძლევს სიღარიბეს თავი დააღწიონ. გენდერული ბალანსის დაცვაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ის ქალები, რომლებსაც აქვთ სათანადო პოლიტიკური შესაძლებლობები. ეს საშუალებას აძლევს ქალებს მონაწილეობა მიიღონ კანონების მიღებაში, რომლებიც კიდევ უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება ქალებისთვის და ხელს შეუწყობს მათ მეტ ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. გენდერული ბალანსის შესაფასებელი აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებული ინდიკატორებია:

- „გენდერული თანასწორობა პირველად, მეორეულ და მესამეულ განათლებაში“;
- „მშობიარობამდე გამოკვლევა (მინიმუმ ერთი ვიზიტი)“;

- „გენდერული თანასწორობა სამუშაო ძალაში“;
- „სახელმწიფო პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროცენტული წილი“.

ზემოთ მოცემული ოთხი ინდიკატორიდან სამი (გარდა ინდიკატორისა: „გენდერული თანასწორობა სამუშაო ძალაში“) ასევე წარმოადგენენ ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორებს.

7. სოციალური დაცვის სისტემა;

ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის გადანაწილება მოსახლეობის ყველაზე ღარიბი და დაუცველი ჯგუფების დასახმარებლად ერთ-ერთი აუცილებელია ნაბიჯია რაც ჯანდაცვის პოლიტიკის ფარგლებში უნდა გადაიდგას. ნებისმიერი სახელმწიფოს მოვალეობაა მათი დაცვა, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს და შეუწყონ მათ ხელი, რომ ისინი ერთიანი ეკონომიკური სისტემის ნაწილნი იყვნენ. ამიტომ სოციალური დაცვის სისტემა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- „სოციალური დაცვა და შრომის რეიტინგი“;
- „სოციალური უსაფრთხოების ხარჯების პროცენტული წილი სახელმწიფოს მთლიან ჯანდაცვით ხარჯებში“;
- „სოციალური უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებში“.

8. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები.

ქვეყნის მმართველობას და ინსტიტუტებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ ეკონომიკური განვითარების გზაზე. ძლიერი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო ინსტიტუტები ხელს უწყობენ ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ეფექტიანი სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. კარგი მმართველობა არის გარანტი იმისა, რომ სახელმწიფო ხარჯები იქნება ეფექტიანად და პასუხისმგებლობით გამოყენებული და

გათვალისწინებული იქნება საზოგადოების ყველა ფენის საჭიროება. ქვეყანაში შექმნილი სამართლიანი გარემო და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ქვეყნის განვითარებაზე მზრუნველი, მმართველობა არის დადებითი სიგნალი კერძო სექტორისთვის, რომ მეტი ინვესტიციები განახორციელონ ქვეყნის ეკონომიკაში და ამით ხელი შეუწყონ როგორც საკუთარი მოგების გაზრდას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის მთლიან გაჯანსაღებას. მიგვაჩნია, რომ კარგი მმართველობის და ინსტიტუტების არსებობა არის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გზაზე პირველი აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯი, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება სხვა მიმართულებით არსებული პოლიტიკის სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელება. მმართველობის და ინსტიტუტების შესაფასებლად შემოთავაზებულია სამი ინდიკატორი, რომელთაგან პირველი ორი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებს:

- „ხმა და ანგარიშვალდებულება“;
- „მთავრობის ეფექტიანობა“;
- „კორუფციის აღქმის ინდექსი“.

როგორც ვხედავთ აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია და ინდიკატორები საკმაოდ მრავლისმომცველია და საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა კუთხით შევაფასოთ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

შემდეგი მეთოდოლოგია რომელსაც განვიხილავთ შემოგვთავაზა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2017 წლის ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიშში. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია ის ინდიკატორები, რომლებიც ავტორების რეკომენდაციით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად უნდა იყოს გამოყენებული. ყველა ეს ინდიკატორი კი თავის მხრივ თავს იყრის ერთ ინკლუზიური განვითარების ინდექსში (IDI), რომლის მიხედვითაც ხდება მსოფლიოს ქვეყნების რანჟირება და შედარება. (World Economic Forum, 2017).

როგორც მოცემულ ანგარიშშია აღნიშნული, ინდექსი საშუალებას იძლევა ეკონომიკური განვითარების მეტად ინტეგრირებული და სრული სურათის დანახვის, ვიდრე ამას იძლევა მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე.

ინკლუზიური განვითარების ინდექსის მიზანი კი არის, სახელმწიფოებს დაეხმაროს სწორედ მოახდინონ მათი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირება და წარმართვა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი არის მიმართულებების 7 ჯგუფი და 15 ქვეჯგუფი (ცხრილი 1.3.1.), რომლებიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ფართო ჩართულობაზე ეკონომიკურ პროცესებში და უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდისგან ყველასათვის შესაბამისი სარგებლის მიღებას.

ცხრილი 1.3.1. ინკლუზიური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები

ჯგუფი 1: განათლება და უნარ-ჩვევები	ჯგუფი 2: ძირითადი მომსახურებები და ინფრასტრუქტურა	ჯგუფი 3: კორუფცია და საიჯარო მომსახურება	ჯგუფი 4: ფინანსური შუამავლობა	ჯგუფი 5: აქტივები, მშენებლობა, მეწარმეობა	ჯგუფი 6: დასაქმება და შრომის ანაზღაურება	ჯგუფი 7: ფისკალური ტრანსფერები
1.1. ხელმისაწვდომობა	2.1. ძირითადი და ციფრული ინფრასტრუქტურა	3.1. ბიზნესის და პოლიტიკის ეთიკა	4.1. ფინანსური ჩართულობა	5.1. მცირე ბიზნესის ფლობა	6.1. პროდუქტიული დასაქმება	7.1. საგადასახადო კოდექსი
1.2. ხარისხი	2.2. სამედიცინო მომსახურებები და ინფრასტრუქტურა	3.2. საიჯარო მომსახურება	4.2. შუამავლობა ინვესტიციების განხორციელების სთვის	5.2. სახლის და ფინანსური აქტივების ფლობა	6.2. გამომუშავებადი და ფიქსირებული ანაზღაურება	7.2. სოციალური დაცვა
1.3. სამართლიანობა						

წყარო: World Economic Forum, „Inclusive Growth and Development Report“, 2017, Figure 1.

მოცემულ სქემაში წარმოდგენილი ელემენტების გამართული მუშაობა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის იმგვარ ფუნქციონირებას, რომ ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი ფართოდ ხელმისაწვდომი და შედეგის მომტანი იყოს მოსახლეობისთვის დიდი ნაწილისთვის, რამაც საბოლოო ჯამში უთანაბრობის აღმოფხვრას უწყობს ხელს.

განვიხილოთ თითოეულ მათგანის მნიშვნელობა, როგორც ამას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აღნიშნულ ანგარიშში გვთავაზობს.

შრომა არის პირდაპირი და უმრავლეს შემთხვევაში ერთადერთი საშუალება შემოსავლის მიღების, როგორც მდიდარ ასევე ღარიბ ქვეყნებში. შრომის მაღალი

მწარმოებლურობა ნებისმიერი დარგისა თუ ქვეყნისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი არის პროგრესის მისაღწევად, ცხოვრების სტანდარტის გასაუმჯობესებლად და სოციალური უთანაბრობის აღმოსაფხვრელად. შრომის მაღალი მწარმოებლურობისთვის კი აუცილებელია, რომ სამუშაო ძალას ჰქონდეს შესაბამისი განათლება და უნარ-ჩვევები, რაც ხარისხიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლების სისტემის არსებობით მიიღწევა. აქედან გამომდინარე მოსახლეობის განათლება და საჭირო უნარ-ჩვევები მათი ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობის და ინკლუზიური ზრდისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მეორე ჯგუფი მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა უზრუნველყოფას ისეთი აუცილებელი ინფრასტრუქტურით, როგორცაა ტრანსპორტი, ელექტროენერჯია, სასმელი წყალი, კავშირგაბმულობა და სხვა, რამაც მათ საშუალება უნდა მისცეს მაქსიმალურად პროდუქტიულად და ნაკლები დანახარჯებით ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში და უზრუნველყონ საკუთარი ცხოვრების სტანდარტების ამაღლება. რათქმაუნდა აუცილებელია, რომ მსგავს ინფრასტრუქტურაზე მოსახლეობის ყველა ჯგუფს წვდომის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს.

კორუფცია არის ნებისმიერი მოქალაქისთვის ბიზნესის დაწყებისა თუ მეწარმეობრივი ინიციატივის გამოვლენის ჩახშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაც ჯაჭვური რეაქციით აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას. კორუფციის შედეგები, როგორც პირდაპირ ასევე ირიბად, მძიმედ აისახება მოსახლეობაზე, ამიტომ ის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია, რის წინააღმდეგ ბრძოლაც ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. აუცილებელია ასევე, რომ წარმოების რესურსების მაქსიმალური დაბრკოლებების გარეშე გადაადგილება ხდებოდეს იმ მეწარმეების მიმართულებით, რომლებსაც მათი პროდუქტიული გამოყენების უფრო მეტი პოტენციალი აქვთ.

მეოთხე ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს თუ რამდენად ხდება დანაზოგების გადამისამართება იმ პირების მიმართულებით რომლებსაც საკრედიტო რესურსზე მოთხოვნა აქვთ. კრედიტებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ეკონომიკის გასაზრდელად და შესაბამისად აღნიშნული სექტორის

გამართული მუშაობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვისაც ძლიერი ბიძგის მიმცემია. განვითარებული ფინანსური ბაზარი ხელს უწყობს ოჯახებს მცირე ბიზნესის წამოწყებაში, განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით თანხების ინვესტირებაში, რაც ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ფინანსურ სექტორს ასევე მნიშვნელოვანი საშუაშაველო ფუნქცია აკისრია მსხვილი ბიზნესის განვითარებისთვის, მათ შორის გრძელვადიანი დაკრედიტების გზით. თავისუფალი ფინანსური რესურსის მობილიზება და გადამისამართება იქ სადაც მისი გამოყენება ეფექტიანი იქნება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია.

მეხუთე ჯგუფი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მცირე ბიზნესის ფლობა, რამდენად ადვილი არის ბიზნესის წამოწყება, რა საკანონმდებლო რეგულაციები მოქმედებს, რა სახის შეღავათები აქვთ ახლად წამოწყებულ ბიზნესებს და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათ მაქსიმალური ხელშეწყობა და შეღავათი ჰქონდეთ, გამარტივებული და მინიმუმამდე დაყვანილი იყოს ბიუროკრატიული ბარიერები, რაც საშუალებას მისცემს მეტ ადამიანს ჩაერთონ ბიზნეს საქმიანობაში და ეკონომიკური განვითარება უფრო დაბალანსებული გახადონ.

დასაქმება და შრომის ანაზღაურება არის ის მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირ აფასებენ თუ როგორ აისახება ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი და სახელმწიფოს მხრიდან გატარებული პოლიტიკა მოსახლეობაზე, რამდენად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ეს რამდენად აისახება დასაქმებულების ანაზღაურებაზე და აუმჯობესებს მათ შემოსავლის დონეს. ინდიკატორთა მეექვსე ჯგუფი სწორედ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მსგავსი ფაქტორების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. უმუშევართა რიცხოვნობა, ქალების დასაქმების დონე, უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, საშუალო შრომის ანაზღაურება ის მაჩვენებლებია, რომლებიც აფასებენ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის დონეს. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ საშუალო ხელფასი შეიძლება ზუსტი სურათის დანახვაში არ დაგვეხმაროს და საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმასაც, თუ როგორია საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის მაჩვენებლები და სხვადასხვა სახელფასო შუალედებში დასაქმებულთა რა ნაწილია მოქცეული.

ბოლო მეშვიდე ჯგუფი მოიცავს საგადასახადო კანონმდებლობას და ჯანდაცვის სისტემას. სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკას საკვანძო ადგილი უკავია სიღარიბის შემცირებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაში. საგადასახადო შემოსავლები მოსახლეობის სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი წყაროა. აუცილებელია, რომ საგადასახადო პოლიტიკა სწორად იყოს მორგებული ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას, რათა ერთის მხრივ უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის მომარაგება სათანადო ფინანსური სახსრებით, ხოლო მეორეს მხრივ არ ჩაახშოს ბიზნესში განვითარების და გაფართოების სურვილი. მოცემული ჯგუფის მეორე ქვემომართულება არის ჯანდაცვის სისტემა. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მინიმალური შემოსავლებით და დაცულობით მოსახლეობის ის ფენა, რომელსაც თავად ამის შესაძლებლობა არ აქვს, რათა ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი უკლებლივ ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის იყოს ხელშესახები. ეს ქვეჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ისეთი პროგრამების არსებობაზე და მნიშვნელობაზე, როგორცაა უმუშევართათვის კომპენსაციის გადახდა, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, ნატურალური ან ფულადი დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც შემოსავლის სხვა არანაირი წყარო არ გააჩნიათ და სხვა.

როგორც ვხედავთ მოცემული ფაქტორები საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველია. ისინი თავის თავში აერთიანებენ ყველა იმ ძირითად მიმართულებას რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის განვითარებას, რა მიმართულებებით ყურადღების გამახვილება და შესაბამისი პოლიტიკის გატარება აუცილებელია, რათა მივიღოთ მოსახლეობის ფართო ჩართულობა ეკონომიკაში, ხელი შევუწყოთ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში და მაქსიმალურად უზრუნველვყოთ მათი დაცვა ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ გვქონდეს სახელმწიფოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. აღნიშნულ სქემაზე დაყრდნობით და მასში მოცემული მიმართულებების გათვალისწინებით, მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა წარმოადგინა ქვეყნებისთვის ის ძირითადი ინდიკატორები (National Key Performance Indicators), რომელთა მიხედვითაც ხდება ქვეყნის ინკლუზიური განვითარების ინდექსის დაანგარიშება. წარმოდგენილი ინდექსი

მოიცავს 3 ჯგუფს და მასში გაერთიანებულ 12 ინდიკატორს. (კრავიშვილი, გ., 2022). (მოცემულ ინდიკატორთა დეტალური განმარტებები მოცემულია დანართში 2).

პირველი ჯგუფი არის „ზრდა და განვითარება“, ის მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ამსახველ ოთხ ძირითად მაჩვენებელს: 1. „მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე“; 2. „შრომის პროდუქტიულობა“, რომელიც თავის მხრივ ასახვას პოვნებს შრომის ანაზღაურებაში, რაც შინამეურნეობათა დიდი ნაწილისთვის მთავარი შემოსავლის წყაროა; 3. „დასაქმება“, რომელიც სუბიექტის ეკონომიკურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს და ნებისმიერი ოჯახისთვის უსაფრთხოების და სიმშვიდის გარკვეული წინაპირობაა; 4. „ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა“, რაც თავის მხრივ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ცხოვრების ხარისხის შემფასებელი. თუ ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალია სხვა თანაბარ პირობებში ეს მიანიშნებს ცხოვრების მაღალ ხარისხზე და პირიქით.

მეორე ჯგუფი არის „ინკლუზიურობა“ და ის მოიცავს სოციალური ინტეგრაციის ოთხ ძირითად მაჩვენებელს: 1. „საშუალო შემოსავალი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორი არის ცხოვრების სტანდარტის პროგრესის შესაფასებლად; 2. „სიღარიბის მაჩვენებელი“, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ აისახება პროგრესი შემოსავლების ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფი ოჯახებისთვის; 3. „ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით“ და 4. „ჯინის ინდექსი მთლიანი სახსრების მიხედვით“ კი საერთაშორისოდ აღიარებული მაჩვენებელი არის საზოგადოებაში არსებული უთანაბრობის გასაზომად.

მესამე ჯგუფი არის „თაობათაშორისი თანასწორობა და მდგრადობა“, ის მოიცავს ოთხ ძირითად მაჩვენებელს, რომლებიც ასახავს სხვადასხვა თაობებს შორის არსებულ დამოკიდებულებას. ზრდა და განვითარება თავისთავად არ იქნება ინკლუზიური, თუ ერთი თაობის მიერ მიღებული სარგებელი დააზარალებს მომავალ თაობებს. აღნიშნულ ჯგუფში მოცემული მაჩვენებლებია: 1. „კორექტირებული წმინდა დანაზოგები“, ის რაც არსებული შემოსავლიდან მიმდინარე და სამომავლო სარგებლის მიღებას გვიჩვენებს; 2. „სახელმწიფო ვალი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში“, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მიმდინარე ეკონომიკური ზრდა

რამდენად ხდება ვალის აღების ხარჯზე, რაც საბოლოო ჯამში მომავალი თაობების გადასახდელი იქნება და ამან შესაბამისად თაობათაშორისი თანასწორობა შეიძლება დაარღვიოს; 3. „ასაკობრივი დამოკიდებულება“, ანუ პენსიონერებისა და ბავშვების თანაფარდობა სამუშაო ძალასთან. ეს ინდიკატორი ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა თაობებს შორის არსებული ფინანსური დამოკიდებულების გამოსავლენად; 4. „ნახშირბადის ინტენსივობა ჰაერში მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში“, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ზემოქმედებს ეკონომიკა გარემოზე, რაც რატომღაც მომავალ თაობებზე ზემოქმედებას ახდენს. (ცხრილი 1.3.2.).

ცხრილი 1.3.2. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინკლუზიური განვითარების ინდექსის ინდიკატორები

ზრდა და განვითარება		ინკლუზიურობა		თაობათაშორისი თანასწორობა და მდგრადობა	
მსკ მოსახლეობის ერთ სულზე	შრომის პროდუქტიულობა	საშუალო შემოსავალი	ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით	კორექტირებული წმინდა დანაზოგები	ასაკობრივი დამოკიდებულება
დასაქმება	ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა	სიღარიბის მაჩვენებელი	ჯინის ინდექსი მთლიანი სახსრების მიხედვით	სახელმწიფო ვალი (მსკ-ს პროცენტული წილი)	ნახშირბადის ინტენსივობა (მსკ-სთან მიმართებაში)

წყარო: World Economic Forum, „Inclusive Growth and Development Report“, 2017, Figure 2.

როგორც ვხედავთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია და მაჩვენებლები მოიცავს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გაზომვისთვის საჭირო ბევრ საკვანძო ინდიკატორს, რაც პროფესიონალურ დონეზე არის შეფასებული და გაანალიზებული. თითოეული ქვეყნისთვის მოცემულ ინდიკატორთა პრიორიტეტულობა ინდივიდუალურია, თუმცა საერთო ჯამში საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სურათი, სხვადასხვა კუთხით შევაფასოთ ეკონომიკური ზრდა, ვნახოთ რა მიმართულებით შეიძლება შეექმნას სახელმწიფოს პრობლემა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გზაზე და ჩამოვაცალიბოთ შესაბამისი პოლიტიკა ამა თუ იმ მიმართულებით პრობლემის აღმოსაფხვრელად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

თავი II. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება

2.1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შედარებითი ანალიზი

მას შემდეგ, რაც პირველ თავში განვიხილეთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა, აქტუალობა და მისი შეფასების მეთოდოლოგია, მოცემულ თავში ჩვენი მიზანია საქართველოს და სხვა შესადარი ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ანალიზი. მოცემული შედეგები საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ამ მიმართულებით წარმატებული ქვეყნები, ხოლო შემდგომ მოვახდინოთ საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების განხილვა, რაც დაგვცხმარება საქართველოსთან მიმართებაში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებაში.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველო, ერთის მხრივ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, ხოლო მეორეს მხრივ წილად გვხვდა საბჭოთა კავშირის რთული მემკვიდრეობა, მართებულად მიგვაჩნია შესადარ ქვეყნებად ავირჩიოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები. შესაძლებელია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ქვეყანა დიდწილად თანაბარ სასტარტო პირობებში იმყოფებოდა. ქვეყნების გარკვეულმა ნაწილმა მოახდინა სწრაფი და ეფექტიანი განვითარება, მაშინ როდესაც სხვები აღნიშნული განვითარების პროცესს ჩამორჩნენ. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოს განვითარება არც თუ ისე სწრაფი ტემპებით წარიმართა, სწორედ ამიტომ ის ალბათ უფრო მეორე ჯგუფის წარმომადგენელია. ვფიქრობთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ კონკრეტულად რა მიმართულებით იქნა შეცდომები დაშვებული და ასევე რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რომ საქართველოს უფრო მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ჰქონდეს.

მეორე თავის მესამე ქვეთავში ჩვენ განვიხილეთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებული 35 და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილი 12 ინდიკატორი. მოცემული ინდიკატორები შეიძლება ითქვას საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველია. წარმოდგენილი ინდიკატორებიდან ბევრის მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში არ მოიძებნება, ამიტომ მოცემულ თავში ჩვენ შევარჩევთ იმ ინდიკატორებს, რომელთა სანდო სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია და რომლებიც წარმოაჩენენ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირველადი მნიშვნელობის პრიორიტეტულ ფაქტორებს. შერჩეული ინდიკატორების საფუძველზე კი შევიშუშავებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსს.

როგორც პირველ თავში განვიხილეთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ძირითადად ორიენტირებულია ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, სიღარიბის დაძლევაზე, ქვეყანაში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრაზე და ქვეყანაში ყველასთვის სამართლიანი და თანასწორი გარემოს შექმნაზე. ამ მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ეფექტიანი და ხალხზე ორიენტირებული მმართველობა, რომელიც სწორად წარმართავს სახელმწიფოს ხელთ არსებულ რესურსებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გასაზომად შევარჩიეთ შემდეგი 4 ჯგუფი: (კრავეიშვილი, გ., 2022).

1. ცხოვრების დონე;
2. უთანასწორობა;
3. მმართველობა;
4. სახელმწიფო ფინანსები.

ცხოვრების დონე შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით გაიზომოს. ჩვენ გამოვყავით 3 ინდიკატორი, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასებაში დაგვეხმარება. ესენია:

- „მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარში)“;
- „დასაქმების დონე (%)“;

- „ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)“⁴.

პირველ თავში არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის პირველ რიგში აუცილებელია ეკონომიკური ზრდის არსებობა. ეს უკანასკნელი შეიძლება ითქვას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია აღნიშნულ ჯგუფში შედიოდეს ეკონომიკური ზრდის გასაზომი ისეთი ფართოდ გამოყენებადი მაჩვენებელი, როგორცაა მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. მეორე ინდიკატორი, დასაქმების დონე, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხოვრების დონის შესაფასებლად. რეალურად დასაქმება განაპირობებს, როგორც ცხოვრების ხარისხს, ასევე ეკონომიკის განვითარებას. ეკონომიკური ზრდისგან თუ დასაქმებისგან მიღებული სარგებელი აუცილებელია ადამიანმა მოიხმაროს მისი ცხოვრების განმავლობაში, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა ცხოვრების საერთო დონის შესაფასებლად საჭირო მაჩვენებელია.

უთანასწორობის გასაზომად ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორებია:

- „ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით“⁵;
- „მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლებთან“;
- „სიღარიბის მაჩვენებელი“ (%).

აღნიშნულ ქვეჯგუფში რათქმაუნდა შევიყვანეთ უთანასწორობის გასაზომი ისეთი ფართოდ გამოყენებადი მაჩვენებელი, როგორცაა ჯინის ინდექსი. ქვეყანაში არსებული უთანაბრობის გასაზომად ასევე საჭირო ინფორმაციას გვაძლევს მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა, ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლებთან. ეს მაჩვენებელი რეალურად

⁴ თარგმნილია ავტორის მიერ - Healthy life expectancy (წყარო: World Health Organization).

⁵ ინდექსი, რომელიც აჩვენებს თუ რამდენად არის მოსახლეობის / შინამეურნეობების შემოსავლები გადახრილი იდეალურად თანაბარი განაწილებისგან. ინდექსი მერყეობს 0 დან 100 მდე. 0 ნიშნავს იდეალურად თანაბარ განაწილებას, ხოლო 100 სრულ უთანასწორობას.

გვიჩვენებს რამდენად პოლარიზებული არიან მდიდრები და ღარიბები ერთმანეთისაგან, რისი აღმოფხვრაც სწორედ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ამოცანაა. ბოლოს რათქმაუნდა გასათვალისწინებელია მოსახლეობის ის ჯგუფი, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, სწორედ ამიტომ მესამე ინდიკატორად სიღარიბის მაჩვენებელი შევარჩიეთ.

ინდიკატორთა მესამე ჯგუფი შეეხება მმართველობას. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ უდიდესია მთავრობის როლი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და ასევე აუცილებელია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს იმის რწმენა, რომ პოლიტიკოსები მათ დაკვეთას სწორად ასრულებენ. მოცემულ ჯგუფში ჩვენ წარმოვადგინეთ შემდეგი ინდიკატორები:

- „კორუფციის აღქმის ინდექსი“⁶;
- „ხმა და ანგარიშვალდებულება“⁷;
- „მთავრობის ეფექტიანობა“⁸.

ქვეყანაში არსებული კორუფცია შეიძლება ითქვას პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მაღალი კორუფცია პოტენციურ მეწარმეებს აძლევს იმის სიგნალს, რომ მათ მიერ წამოწყებულ ბიზნესს შეიძლება პრობლემები შეექმნას განვითარების გზაზე, რაც შეიძლება ბიზნესმენისთვის აღნიშნული ბიზნესის წამოწყებისგან თავის შეკავების მიზეზი გახდეს. მეორეს მხრივ კორუფციის დაბალი დონე მოსახლეობაში აგზავნის სიგნალს, რომ ყველა თანაბარ პირობებშია, რაც ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დამკვიდრებას უწყობს ხელს და შესაბამისად მოქალაქეებს სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების სტიმულს აძლევს.

მმართველობის დონის შესაფასებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩია განვიხილოთ ასევე მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული ინდიკატორები: „ხმა და

⁶ ინდექსი აჩვენებს, თუ რა დონეზე აღიქმება მოსახლეობის მიერ კორუფციის დონე. ის მერყეობს 0 დან 100 მდე შუალედში, სადაც 0 აღნიშნავს კორუფციის მაღალ დონეს, ხოლო 100 დაბალ დონეს.

⁷ ინდექსი გამოხატავს თუ რა დონეზე აღიქვამს ქვეყნის მოსახლეობა აზრის გამოხატვის და მედიის თავისუფლების დონეს. ინდიკატორი მერყეობს -2.5 დან +2.5 მდე შუალედში, სადაც უფრო მაღალი მაჩვენებელი უკეთეს მდგომარეობას გამოხატავს.

⁸ ინდექსი აჩვენებს თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ მომსახურებებს და საჯარო სამსახურების მუშაობას. ინდიკატორი მერყეობს -2.5 დან +2.5 მდე შუალედში, სადაც უფრო მაღალი მაჩვენებელი უკეთეს მდგომარეობას გამოხატავს.

ანგარიშვალდებულება“ და „მთავრობის ეფექტიანობა“. აღნიშნული ინდექსები საშუალებას მოგვცემთ შევაფასოთ, თუ როგორ აღიქვამთ მოსახლეობა ქვეყანაში არსებულ თავისუფლების დონეს და რამდენად კმაყოფილნი არიან სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მომსახურებებით. ეს არის ის მიმართულებები, რომლებიც ქვეყანაში და მოსახლეობაში ქმნის ზოგად გარემოს, რაც დიდწილად ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეთა გადაწყვეტილებებზე და ასევე ირიბად აფასებს მთავრობის მუშაობის ხარისხს.

ინდიკატორთა ბოლო მეოთხე ჯგუფში შემოთავაზებული მაჩვენებლებია:

- „მთავრობის ხარჯები განათლებაზე, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი“;
- „ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მსკ-ს პროცენტული წილი“;
- „ცენტრალური მთავრობის ვალი (მსკ-ს პროცენტული წილი)“.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ მაღალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას აუცილებელია სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ფინანსები სწორად წარმართოს. პირველ თავში ჩვენ მრავალგზის გავუსვით ხაზი განათლების მნიშვნელობას. მაღალი განათლების დონე მოსახლეობაში არის ამ უკანასკნელთა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის წინაპირობა და ასევე გარანტი იმისა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება ეფექტიანი და შედეგის მომტანი. განათლება არის ის ბირთვი, რაზე დაყრდნობითაც სხვა ყველა დარგი თუ სფერო უნდა განვითარდეს. სწორედ ამიტომ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გასაზომად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

განათლებასთან ერთად ასევე არაერთგზის ვახსენეთ ჯანდაცვის სისტემის უდიდესი მნიშვნელობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. აუცილებელია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს სათანადო ჯანდაცვის მომსახურება, რაც ღირსეული ცხოვრების აუცილებელი პირობაა. აღნიშნული მიმართულების შესაფასებლად დაგვეხმარება მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილის ანალიზი.

აუცილებელია ასევე აღვნიშნოთ თაობათაშორისი თანასწორობის მომენტი. ქვეყნის მიმდინარე განვითარება არ უნდა მოხდეს ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან ვალის აღების ხარჯზე. დღეს აღებული ვალი მომავალი თაობების გადასახდელია და ეს უკანასკნელნი ნაკლებად სამართლიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან წინა თაობებთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბოლო ინდიკატორია ცენტრალური მთავრობის ვალი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში.

საბოლოოდ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ინდიკატორთა ნაკრები შედგება 4 ჯგუფისგან და მასში შემავალი 12 ინდიკატორისგან (ცხრილი 2.1.1.). მოცემული ინდიკატორების განმარტებები და ასევე მათი წყაროები დეტალურად მოცემულია დანართში 3.

ცხრილი 2.1.1. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ ინდიკატორთა ნაკრები

ჯგუფი I			ჯგუფი II		
ცხოვრების დონე			უთანასწორობა		
1	2	3	4	5	6
მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე	დასაქმების დონე	ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა	ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით	მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლებთან	სიღარიბის მაჩვენებელი
ჯგუფი III			ჯგუფი IV		
მმართველობა			სახელმწიფო ფინანსები		
7	8	9	10	11	12
კორუფციის აღქმის ინდექსი	ხმა და ანგარიშვალდებულება	მთავრობის ეფექტიანობა	მთავრობის ხარჯები განათლებაზე, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი	ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მსპ-ს პროცენტული წილი	ცენტრალური მთავრობის ვალი (მსპ-ს პროცენტული წილი)

რათქმაუნდა აღნიშნული ინდიკატორები არ იძლევა ქვეყნის ინკლუზიური ზრდის შესაფასებლად სრულ სურათს და არ ითვალისწინებს ბევრ ნიუანსს და ფაქტორს. ჩვენი ანალიზი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ეს ოთხი ჯგუფი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და მასში შემავალი ინდიკატორები, სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული მიმართულებებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზისთვის სურათის სწორ აღქმაში დაგვეხმარება და საშუალებას მოგვცემს ვნახოთ ქვეყნებს შორის თანაფარდობა და გამოვყოთ ლიდერი ქვეყნები.

გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი მაჩვენებლები შესადარებლად და აღსაქმელად ადვილი იყოს, მოვახდენთ მათ აგრეგირებას 10 ქულიანი სისტემით. კვლევის მიზანი არის საბოლოოდ მივიღოთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი, სადაც 10 ქულა ნიშნავს მაღალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ხოლო 1 ქულა შესაბამისად დაბალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას აღნიშნავს. მონაცემთა აგრეგირებას გავაკეთებს ქვემოთ მოცემული ფორმულით:

$$I_i = 9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 1$$

სადაც I_i არის აგრეგირებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი; Y - მაჩვენებლებში კონკრეტული ქვეყნის შედეგი; Y_{MIN} - მაჩვენებლების მინიმუმი; Y_{MAX} - მაჩვენებლების მაქსიმუმი.

იმ ინდიკატორებისთვის, რომელთა მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის ცუდ შედეგს აღნიშნავს, ზემოთ წარმოდგენილი ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$I_i = -9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 10$$

ჩვენი მიზანი არის არა მხოლოდ კონკრეტული ინდიკატორების რანჟირება, ასევე მიღებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსების საშუალო მაჩვენებლების ჩვენება როგორ ინდიკატორთა ჯგუფების, ასევე ქვეყნების ჯგუფების მიხედვით.

ჯგუფის და ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის გამოსაყვანად გამოვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$I_{\text{group}} = \frac{\sum_{i=1}^i I_i}{i}$$

სადაც I_{group} არის კონკრეტული ჯგუფის საშუალო ინდექსი, I_i - აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ინდექსები; ხოლო i ჯგუფში შემავალი ინდექსების რაოდენობა.

უფრო დეტალური ანალიზისთვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დავყოფთ ქვემოთ წარმოდგენილ 5 ჯგუფად:

1. ბალტიისპირეთი (ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია);
2. აღმოსავლეთ ევროპა (ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა);
3. სამხრეთ კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)
4. ცენტრალური აზია (ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი)
5. რუსეთი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის დასაანგარიშებლად გამოვიყენებთ თითოეული ინდექსისთვის 2019 წლის მონაცემებს (ან უახლოესი ცნობილი წლის მონაცემს), თუმცა არსებული ტენდენციის საჩვენებლად ასევე წარმოვადგენთ 2010 და 2000 წლების, ან მათთან უახლოესი ცნობილი წლის მონაცემებს. კვლევის შედეგებს ჯერ წარმოვადგენთ ინდივიდუალურად ინდიკატორების მიხედვით, ხოლო ბოლოს შეჯამებული სახით.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილი 2.1.2. დან ვხედავთ მთლიანი სამამულო პროდუქტით მოსახლეობის ერთ სულზე ლიდერია ესტონეთი, ხოლო მას მოჰყვება ლიეტუვა და ლატვია. შესაბამისად ჯგუფების მიხედვითაც ლიდერობს ბალტიისპირეთი. სამხრეთ კავკასია კი რუსეთის და ცენტრალური აზიის შემდეგ მეოთხე ადგილს იკავებს.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს აქვთ ასევე ზრდის საკმაოდ სტაბილური და მაღალი მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის კარგი მაჩვენებლები აქვს საქართველოსაც, ის მხოლოდ მე-9 ადგილს იკავებს და 4-ჯერ ჩამორჩება ლიდერ ესტონეთს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზრდის ის ტემპი, რომელიც აქვს

საქართველოს, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე არის მცირე და მას სჭირდება უფრო მაღალი ზრდა, რომ ცხოვრების დონე იყოს უკეთესი და ის დაეწიოს ისეთ ქვეყნებს როგორცაა მაგალითად ბალტიისპირეთის ჯგუფში შემავალი ქვეყნები.

ცხრილი 2.1.2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარში)

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (%)	ზრდა 2010-2019 (%)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	9,960.1	14,585.8	20,408.4	46.4%	39.9%	10.0	1
ლიეტუვა	6,423.4	11,107.0	17,241.3	72.9%	55.2%	8.5	2
ლატვია	6,726.5	10,963.7	16,056.0	63.0%	46.4%	8.0	3
ყაზახეთი	4,446.5	8,979.3	11,402.8	101.9%	27.0%	5.8	4
რუსეთი	5,323.7	8,755.1	9,942.4	64.5%	13.6%	5.1	5
თურქმენეთი	2,288.2	4,265.9	7,692.6	86.4%	80.3%	4.1	6
ბელარუსი	2,616.9	5,621.9	6,264.9	114.8%	11.4%	3.4	7
აზერბაიჯანი	1,480.8	5,215.0	5,348.3	252.2%	2.6%	3.0	8
საქართველო	1,566.6	3,100.7	4,773.4	97.9%	53.9%	2.7	9
სომხეთი	1,289.9	2,958.8	4,350.5	129.4%	47.0%	2.5	10
მოდღოვა	1,338.3	2,254.9	3,435.5	68.5%	52.4%	2.1	11
უზბეკეთი	1,276.8	2,131.4	3,161.4	66.9%	48.3%	1.9	12
უკრაინა	1,420.1	2,315.1	2,425.6	63.0%	4.8%	1.6	13
ყირგიზეთი	718.3	966.2	1,226.8	34.5%	27.0%	1.0	14
ტაჯიკეთი	434.3	783.5	1,174.1	80.4%	49.8%	1.0	15

ბალტიისპირეთი	7,703.4	12,218.8	17,901.9	58.6%	46.5%	8.8	1
რუსეთი	5,323.7	8,755.1	9,942.4	64.5%	13.6%	5.1	2
ცენტრალური აზია	1,832.8	3,425.3	4,931.5	86.9%	44.0%	2.8	3
სამხრეთ კავკასია	1,445.7	3,758.2	4,824.1	160.0%	28.4%	2.7	4
აღმოსავლეთ ევროპა	1,791.8	3,397.3	4,042.0	89.6%	19.0%	2.3	5

წყარო: The World Bank, GDP per capita (constant 2015 US\$) -

<http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel>

მეორე მნიშვნელოვანი ინდიკატორი რომლიც განხილული გვაქვს არის დასაქმების დონე. (ცხრილი 2.1.3.). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მოსახლეობის მაღალი ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში სწორედ აუცილებელი წინაპირობაა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. პირველი ადგილი მოცემულ სიაში ყაზახეთს უკავია. წინა სიის ლიდერი ესტონეთი მეოთხე ადგილზეა, ხოლო საქართველო მე-9 ადგილს იკავებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ საქართველოს 2010-2019 წლებში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია.

ცხრილი 2.1.3. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დასაქმების დონე (%)

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ყაზახეთი	61.8	66.3	66.7	4.5	0.4	10.0	1
აზერბაიჯანი	68.1	61.2	63.3	-6.9	2.1	8.9	2
ბელარუსი	51.9	58.5	61.7	6.7	3.1	8.4	3
ესტონეთი	51.1	50.4	60.8	-0.7	10.4	8.2	4
რუსეთი	54.7	57.8	59.4	3.1	1.6	7.7	5
ლიეტუვა	50.7	46.7	58.2	-4.0	11.5	7.3	6
ლატვია	48.2	47.4	57.4	-0.8	10.0	7.1	7
უზბეკეთი	59.0	59.0	55.8	0.0	-3.2	6.6	8
საქართველო	57.2	52.3	55.6	-4.9	3.4	6.5	9
ყირგიზეთი	59.8	58.7	54.6	-1.1	-4.1	6.2	10
უკრაინა	50.5	51.7	51.7	1.2	0.0	5.3	11
თურქმენეთი	47.3	47.0	44.5	-0.3	-2.4	3.1	12
სომხეთი	47.4	45.6	44.2	-1.9	-1.4	2.9	13
მოლდოვა	54.8	38.5	40.1	-16.3	1.6	1.7	14
ტაჯიკეთი	37.7	37.4	38.0	-0.3	0.5	1.0	15

რუსეთი	54.7	57.8	59.4	3.1	1.6	7.7	1
ბალტიისპირეთი	50.0	48.2	58.8	-1.8	10.6	7.5	2
სამხრეთ კავკასია	57.6	53.0	54.4	-4.6	1.4	6.1	3
ცენტრალური აზია	53.1	53.7	51.9	0.6	-1.8	5.4	4
აღმოსავლეთ ევროპა	52.4	49.6	51.2	-2.8	1.6	5.1	5

წყარო: The World Bank, Employment to population ratio, 15+, total (%) (modeled ILO estimate) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SL.EMP.TOTL.SP.ZS?downloadformat=excel>

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები მოცემული ცხრილში 2.1.4..

აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით პირველ ადგილს ესტონეთი იკავებს. საქართველო უზბეკეთთან ერთად მე-8/9 ადგილს იყოფს. ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ბალტიისპირეთი ლიდერობს, კავკასიის ჯგუფი კი მეორე ადგილს იკავებს

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამწუხაროდ საქართველოს 2010-2019 წლებში ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. შედარებისათვის სხვა ყველა ქვეყანას ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. როგორც მონაცემები აჩვენებს, აღნიშნული მიმართულება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებს.

ცხრილი 2.1.4. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (%)	ზრდა 2010-2019 (%)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	62.6	66.9	69.2	6.9%	3.4%	10.0	1
სომხეთი	63.5	64.8	67.1	2.0%	3.5%	7.4	2
ლიეტუვა	63.1	64.3	66.7	1.9%	3.7%	6.9	3
ლატვია	61.6	64.3	66.2	4.4%	3.0%	6.3	4
ბელარუსი	60.8	62.3	66.0	2.5%	5.9%	6.0	5
ყირგიზეთი	58.7	61.6	65.8	4.9%	6.8%	5.7	6
ყაზახეთი	56.1	60.4	65.0	7.7%	7.6%	4.8	7
საქართველო	61.9	63.7	64.7	2.9%	1.6%	4.4	8/9
უზბეკეთი	58.1	62.3	64.7	7.2%	3.9%	4.4	8/9
მოლდოვა	59.3	61.0	64.5	2.9%	5.7%	4.1	10
უკრაინა	59.7	62.2	64.3	4.2%	3.4%	3.9	11
რუსეთი	57.3	60.5	64.2	5.6%	6.1%	3.8	12
აზერბაიჯანი	58.5	61.7	63.6	5.5%	3.1%	3.0	13
თურქმენეთი	56.6	60.1	62.1	6.2%	3.3%	1.1	14
ტაჯიკეთი	58.3	60.9	62.0	4.5%	1.8%	1.0	15

ბალტიისპირეთი	62.4	65.2	67.4	4.4%	3.4%	7.7	1
სამხრეთ კავკასია	61.3	63.4	65.1	3.4%	2.7%	4.9	2
აღმოსავლეთ ევროპა	59.9	61.8	64.9	3.2%	5.0%	4.7	3
რუსეთი	57.3	60.5	64.2	5.6%	6.1%	3.8	4
ცენტრალური აზია	57.6	61.1	63.9	6.1%	4.7%	3.4	5

წყარო: World Health Organization, Healthy life expectancy (HALE) at birth (years) - https://apps.who.int/gho/athena/data/data.xls?target=GHO/WHOSIS_000002,WHOSIS_000007&format=xml&profile=excel-xtab&filter=COUNTRY:*&x-sideaxis=COUNTRY&x-topaxis=GHO;SEX;YEAR

არასახარბიელოდ გამოიყურება საქართველოს მონაცემები ჯინის ინდექსის მიხედვითაც. (ცხრილი 2.1.5.). განხილული 11 ქვეყნის მონაცემიდან საქართველო სამწუხაროდ მე-10 ადგილს იკავებს და მხოლოდ რუსეთს უსწრებს. ქვეყნების უმრავლესობისთვის თუ აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2004-2010 წლებში, საქართველოსთვის ის პირიქით მცირედით გაუარესებულია. თუმცა 2010 წლის შემდეგ მისი ტენდენცია გაუმჯობესდა. მოცემული ინდექსი ცალსახად მიუთითებს, რომ უთანასწორობის პრობლემა საქართველოში საკმაოდ მწვავედ დგას და აუცილებელია, რომ გატარდეს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს მისცემს საშუალებას, რომ ეკონომიკური ზრდისგან

სარგებელი ნახონ და შემცირდეს სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანასწორობა.

ცხრილი 2.1.5. ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	2004	2010	2019	ზრდა 2004-2010 (%)	ზრდა 2010-2019 (%)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ბელარუსი	26.5	28.6	25.3	7.9%	-11.5%	10.0	1
მოდოვა	35.0	32.1	26.0	-8.3%	-19.0%	9.5	2
უკრაინა	28.9	24.8	26.6	-14.2%	7.3%	9.1	3
ყაზახეთი	31.8	28.0	27.8*	-11.9%	-0.7%	8.2	4
ყირგიზეთი	34.8	30.1	29.7	-13.5%	-1.3%	6.8	5
სომხეთი	37.5	30.0	29.9	-20.0%	-0.3%	6.7	6
ესტონეთი	33.6	32.0	30.8	-4.8%	-3.8%	6.0	7
ლატვია	36.4	35.0	34.5	-3.8%	-1.4%	3.3	8
ლიეტუვა	37.0	33.6	35.3	-9.2%	5.1%	2.7	9
საქართველო	36.2	39.5	35.9	9.1%	-9.1%	2.3	10
რუსეთი	40.3	39.5	37.7	-2.0%	-4.6%	1.0	11
აზერბაიჯანი	26.6	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
თურქმენეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
ტაჯიკეთი	33.6	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
უზბეკეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A

აღმოსავლეთ ევროპა	30.1	28.5	26.0	-5.4%	-8.9%	9.5	1
ცენტრალური აზია	33.4	29.1	28.8	-13.0%	-1.0%	7.5	2
სამხრეთ კავკასია	33.4	34.8	32.9	3.9%	-5.3%	4.5	3
ბალტიისპირეთი	35.7	33.5	33.5	-6.0%	0.0%	4.0	4
რუსეთი	40.3	39.5	37.7	-2.0%	-4.6%	1.0	5

*2018 წლის მონაცემი

წყარო: The World Bank, GINI index (World Bank estimate) -

<http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.GINI?downloadformat=excel>

ჯინის ინდექსიდან მიღებული შედეგების ანალოგიურია მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლებთან. (ცხრილი 2.1.6.). ეს რატომ უნდა ლოგიკურიცაა, რადგან ორივე მაჩვენებელი ქვეყანაში არსებული უთანაბრობის დონეს ზომავს და მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული შემოსავლების განსხვავებაზე მიუთითებს.

სამწუხაროდ ამ ინდიკატორშიც საქართველო განხილული 11 ქვეყნის მონაცემიდან მე-10 ადგილს იკავებს და მცირედით უსწრებს რუსეთს. ჩვენს ქვეყანაში

მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20% 6.3-ჯერ მეტ შემოსავალს იღებს ვიდრე ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%. აღნიშნული შედეგი კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოსთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე.

ცხრილი 2.1.6. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლებთან

ქვეყანა	2004	2010	2019	ზრდა 2004-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ბელარუსი	3.8	4.3	3.5	0.4	-0.7	10.0	1
მოდოვა	5.8	5.0	3.6	-0.8	-1.4	9.7	2
უკრაინა	4.3	3.5	3.8	-0.9	0.3	9.3	3
ყაზახეთი	4.9	4.0	3.9*	-0.9	-0.1	9.0	4
ყირგიზეთი	5.6	4.5	4.1	-1.1	-0.4	8.2	5
სომხეთი	6.0	4.3	4.3	-1.7	0.0	7.5	6
ესტონეთი	5.8	5.5	4.8	-0.3	-0.7	6.0	7
ლატვია	6.7	6.7	5.9	0.0	-0.8	2.5	8
ლიეტუვა	7.5	6.2	6.1	-1.3	-0.1	1.8	9
საქართველო	6.9	8.0	6.3	1.1	-1.7	1.2	10
რუსეთი	7.8	7.3	6.4	-0.5	-0.9	1.0	11
აზერბაიჯანი	3.5	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
თურქმენეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
ტაჯიკეთი	5.4	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
უზბეკეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A

აღმოსავლეთ ევროპა	4.6	4.2	3.6	-0.4	-0.6	9.7	1
ცენტრალური აზია	5.3	4.2	4.0	-1.0	-0.2	8.6	2
სამხრეთ კავკასია	5.5	6.2	5.3	0.7	-0.8	4.3	3
ბალტიისპირეთი	6.7	6.1	5.6	-0.5	-0.5	3.4	4
რუსეთი	7.8	7.3	6.4	-0.5	-0.9	1.0	5

*2018 წლის მონაცემი

წყარო: The World Bank, Income share held by highest 20% -

<http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.05TH.20?downloadformat=excel>; Income share held by lowest 20% - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.FRST.20?downloadformat=excel>

სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ცნობილი 11 ქვეყნის მონაცემთან მიმართებაში ბოლო მე-11 ადგილს იკავებს. (ცხრილი 2.1.7.). თუმცა 2010 წელთან მიმართებაში მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მიუხედავად აღნიშნული დადებითი ტენდენციისა ის მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება

პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებს. შეიძლება ითქვას, მოცემულ ინდიკატორში მიღებული შედეგები იმ მაჩვენებლების ლოგიკური გაგრძელებაა, რომლებიც წინა ინდიკატორებში მივიღეთ. მაღალი უთანასწორობის თანმდევია ისიც, რომ სხვა თანაბარ პირობებში, სიღარიბის ზღვარს ქვემოთაც მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ცხოვრობს.

ცხრილი 2.1.7. სიღარიბის მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (%)

ქვეყანა	2004	2010	2019	ზრდა 2004-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ბელარუსი	4.7	0.2	0.0	-4.5	-0.2	10.0	1
ყაზახეთი	14.0	1.5	0.2*	-12.5	-1.3	9.9	2
უკრაინა	4.8	0.2	0.2	-4.6	0.0	9.9	2
რუსეთი	5.6	0.8	0.3	-4.8	-0.5	9.8	4
მოლდოვა	32.0	6.0	0.5	-26.0	-5.5	9.7	5
ლატვია	5.4	3.6	0.7	-1.8	-2.9	9.6	6
ლიეტუვა	7.0	3.1	0.7	-3.9	-2.4	9.6	6
ესტონეთი	2.7	1.6	0.8	-1.1	-0.8	9.5	8
ყირგიზეთი	41.2	19.0	9.7	-22.2	-9.3	4.1	9
სომხეთი	29.0	14.1	9.8	-14.9	-4.3	4.0	10
საქართველო	27.8	30.6	14.8	2.8	-15.8	1.0	11
აზერბაიჯანი	0.2	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
თურქმენეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
ტაჯიკეთი	45.1	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
უზბეკეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A

*2018 წლის
მონაცემი

აღმოსავლეთ ევროპა	13.8	2.1	0.2	-11.7	-1.9	9.9	1
რუსეთი	5.6	0.8	0.3	-4.8	-0.5	9.8	2
ბალტიისპირეთი	5.0	2.8	0.7	-2.3	-2.0	9.6	3
ცენტრალური აზია	33.4	10.3	5.0	-23.2	-5.3	7.0	4
სამხრეთ კავკასია	19.0	22.4	12.3	3.4	-10.1	2.5	5

*2018 წლის მონაცემი

წყარო: The World Bank, Poverty headcount ratio at \$3.20 a day (2011 PPP) (% of population) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.LMIC?downloadformat=excel>

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სიღარიბის დაძლევა და უთანასწორობის აღმოფხვრა დღეს საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

მაჩვენებელთა მესამე ჯგუფი რომელსაც განვიხილავთ ყურადღებას ამახვილებს მთავრობის მუშაობის ხარისხზე და ქვეყანაში არსებული თავისუფლების და

სამართლიანობის დონეზე. აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი ქმნიან ეკონომიკის განვითარებისთვის ზოგად გარემო-პირობებს ქვეყანაში.

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი შეიძლება იყოს არის კორუფციის დონეს. აღნიშნული მიმართულებით არსებული მონაცემები მოცემულია ცხრილში 2.1.8.

ცხრილი 2.1.8. კორუფციის აღქმის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	2003	2010	2019	ზრდა 2003-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	55	65	74	10.0	9.0	10.0	1
ლიეტუვა	47	50	60	3.0	10.0	7.7	2
ლატვია	38	43	56	5.0	13.0	7.1	3/4
საქართველო	18	38	56	20.0	18.0	7.1	3/4
ბელარუსი	42	25	45	-17.0	20.0	5.3	5
სომხეთი	30	26	42	-4.0	16.0	4.8	6
ყაზახეთი	24	29	34	5.0	5.0	3.5	7
მოლდოვა	24	29	32	5.0	3.0	3.1	8
აზერბაიჯანი	18	24	30	6.0	6.0	2.8	9
უკრაინა	23	24	30	1.0	6.0	2.8	9
ყირგიზეთი	21	20	30	-1.0	10.0	2.8	9
რუსეთი	27	21	28	-6.0	7.0	2.5	12
ტაჯიკეთი	18	21	25	3.0	4.0	2.0	13
უზბეკეთი	24	16	25	-8.0	9.0	2.0	13
თურქმენეთი	N/A	16	19	N/A	3.0	1.0	15

ბალტიისპირეთი	46.7	52.7	63.3	6.0	10.7	8.3	1
სამხრეთ კავკასია	22.0	29.3	42.7	7.3	13.3	4.9	2
აღმოსავლეთ ევროპა	29.7	26.0	35.7	-3.7	9.7	3.7	3
რუსეთი	27.0	21.0	28.0	-6.0	7.0	2.5	4
ცენტრალური აზია	21.8	20.4	26.6	-1.4	6.2	2.2	5

წყარო: Transparency International, Corruption Perceptions Index

https://images.transparencycdn.org/images/2019_CPI_Report_EN_200331_141425.pdf

https://images.transparencycdn.org/images/CorruptionPerceptionsIndex2010_poster.pdf

<https://www.transparency.org/en/press/transparency-international-releases-the-year-2000-corruption-perceptions-in>

https://images.transparencycdn.org/images/2003_CPI_BackgroundData_EN_200407_143616.pdf

როგორც 2.1.8. ცხრილიდან ჩანს საქართველო კორუფციის დაბალი დონის მხრივ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოწინავე პოზიციას იკავებს და მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2003 წელთან მიმართებაში ქვეყანას

კორუფციის აღქმის ინდექსის გაუმჯობესების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, რაც წლების განმავლობაში კორუფციასთან ბრძოლის მხრივ საქართველოს მხრიდან გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს უსვამს ხაზს. ქვეყნების ჯგუფის მიხედვითაც ბალტიისპირეთის შემდეგ სამხრეთ კავკასია მოდის, რაც დიდწილად საქართველოს დამსახურებაა. ვუსწრებთ რა აღნიშნულ მაჩვენებელში მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს, საქართველოს აქვს მყარი საფუძველი, რომ ქვეყანას პოზიციონირება გაეწიოს, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მქონე ქვეყანას რეგიონში, რაც მიმზიდველი იქნება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ინვესტორებისთვის.

ინდექსის „ხმა და ანგარიშვალდებულება“ შედეგები მოცემულია ცხრილში 2.1.9., სადაც საქართველო ბალტიისპირეთის შემდეგ მე-4 ადგილს იკავებს.

ცხრილი 2.1.9. ინდექსი „ხმა და ანგარიშვალდებულება“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	0.99	1.11	1.18	0.12	0.08	10.0	1
ლიეტუვა	0.86	0.92	1.00	0.06	0.08	9.5	2
ლატვია	0.74	0.79	0.86	0.05	0.06	9.1	3
საქართველო	-0.28	-0.16	0.17	0.12	0.33	7.3	4
სომხეთი	-0.37	-0.85	0.06	-0.47	0.90	7.0	5
უკრაინა	-0.61	-0.08	0.02	0.53	0.11	6.9	6
მოდლოვა	-0.14	-0.06	-0.10	0.09	-0.04	6.6	7
ყირგიზეთი	-1.09	-0.93	-0.45	0.16	0.48	5.6	8
რუსეთი	-0.35	-0.89	-1.12	-0.54	-0.23	3.9	9
ყაზახეთი	-0.97	-1.13	-1.23	-0.17	-0.10	3.6	10
ბელარუსი	-1.31	-1.56	-1.41	-0.24	0.15	3.1	11
აზერბაიჯანი	-0.91	-1.30	-1.53	-0.40	-0.22	2.8	12
უზბეკეთი	-1.83	-2.09	-1.65	-0.25	0.43	2.4	13
ტაჯიკეთი	-1.38	-1.43	-1.80	-0.05	-0.37	2.0	14
თურქმენეთი	-1.69	-2.04	-2.19	-0.35	-0.14	1.0	15

ბალტიისპირეთი	0.86	0.94	1.01	0.08	0.07	9.5	1
სამხრეთ კავკასია	-0.52	-0.77	-0.44	-0.25	0.34	5.7	2
აღმოსავლეთ ევროპა	-0.69	-0.56	-0.49	0.12	0.07	5.5	3
რუსეთი	-0.35	-0.89	-1.12	-0.54	-0.23	3.9	4
ცენტრალური აზია	-1.39	-1.52	-1.46	-0.13	0.06	2.9	5

წყარო: The World Bank, Voice and Accountability -

<http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx>

მნიშვნელოვანია ასევე ის პროგრესი, რაც საქართველომ 2000 წლის შემდეგ აღნიშნული მიმართულებით განიცადა. აფასებს რა ეს მაჩვენებელი აზრის გამოხატვის და მედიის თავისუფლების დონეს, შეგვიძლია ის ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების შესაფასებლად გამოვიყენოთ. მაღალი დემოკრატიის დონე, რათქმაუნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფუნდამენტია ეკონომიკის განვითარებისთვის და ეს საშუალებას გვაძლევს, ძალისხმევა უფრო დეტალიზებული და მიკრო დონეზე არსებული პრობლემების მოგვარებისკენ წავმართოთ.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის თავისუფალი და დემოკრატიული გარემო ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ამიტომ მოცემულ ინდექსში საქართველოს მოწინავე პოზიცია მისასალმებელი ფაქტია, თუმცა აქვე აუცილებელია, რომ გაგრძელდეს მუშაობა დემოკრატიული პროცესების კიდევ უფრო განვითარებისა და სრულყოფისთვის.

ჯგუფში შემავალი მესამე ინდიკატორი „მთავრობის ეფექტიანობა“ მეტწილად იმავე შედეგს იმეორებს, რასაც წინა ორი მაჩვენებელი (ცხრილი 2.1.10). საქართველო მეოთხე ადგილს იკავებს და ჩამორჩება მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. აღსანიშნავია ასევე პროგრესის ის მაჩვენებელი, რომელიც 2000 წელთან მიმართებაში ჩვენს ქვეყანას აქვს.

აღნიშნულ ინდექსში მოწინავე პოზიცია პოსტსაბჭოთა სივრცეში მიუთითებს, რომ ქვეყნის მოსახლეობა დადებითად აღიქვამს მთავრობის განხორციელებულ რეფორმებს და მათდამი ნდობა აქვთ. აღნიშნული ინდიკატორის დადებითი მაჩვენებელი ასევე პოზიტიური სიგნალი არის პოტენციური ინვესტორებისთვის.

თუ შევაჯამებთ მმართველობის ჯგუფის ამ სამ ინდიკატორს შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამ მხრივ საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. რათქმაუნდა არის არც თუ ისე მცირე ჩამორჩენა ლიდერ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ესტონეთთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საინტერესო იქნება ბალტიისპირეთის ჯგუფის, კერძოდ კი ესტონეთის განვლილი გზის ანალიზი და

მათი გამოცდილების გაზიარება, რამაც შესაძლოა საქართველოს სამუალება მისცეს კიდევ უფრო დააჩქაროს პროგრესი ამ მიმართულებით.

ცხრილი 2.1.10. მთავრობის ეფექტიანობის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	0.74	1.09	1.17	0.35	0.09	10.0	1
ლატვია	0.33	0.71	1.10	0.38	0.40	9.7	2
ლიეტუვა	0.14	0.74	1.04	0.60	0.30	9.5	3
საქართველო	-0.65	0.31	0.83	0.96	0.52	8.7	4
რუსეთი	-0.72	-0.47	0.15	0.25	0.62	6.0	5
ყაზახეთი	-0.69	-0.44	0.12	0.26	0.56	5.9	6
სომხეთი	-0.52	-0.18	-0.07	0.33	0.12	5.2	7
აზერბაიჯანი	-1.01	-0.81	-0.14	0.20	0.67	4.9	8
ბელარუსი	-0.60	-1.11	-0.18	-0.51	0.93	4.8	9
უკრაინა	-0.70	-0.78	-0.30	-0.09	0.49	4.3	10
მოლდოვა	-0.51	-0.66	-0.38	-0.15	0.28	4.0	11
უზბეკეთი	-0.98	-0.71	-0.51	0.26	0.20	3.5	12
ყირგიზეთი	-0.50	-0.65	-0.68	-0.15	-0.03	2.8	13
ტაჯიკეთი	-1.19	-0.92	-1.05	0.28	-0.13	1.4	14
თურქმენეთი	-1.27	-1.56	-1.16	-0.29	0.41	1.0	15

ბალტიისპირეთი	0.40	0.85	1.11	0.44	0.26	9.7	1
სამხრეთ კავკასია	-0.72	-0.23	0.21	0.50	0.43	6.3	2
რუსეთი	-0.72	-0.47	0.15	0.25	0.62	6.0	3
აღმოსავლეთ ევროპა	-0.61	-0.85	-0.29	-0.25	0.57	4.4	4
ცენტრალური აზია	-0.93	-0.86	-0.66	0.07	0.20	2.9	5

წყარო: The World Bank, Government Effectiveness -

<http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx>

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის გზაზე. შესაბამისად პრიორიტეტულია მთავრობის ხარჯებიც ამ მიმართულებით. განათლებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით ლიდერობს ცენტრალური აზიის ჯგუფი, მას მოსდევს აღმოსავლეთ ევროპა და რუსეთი. ბალტიისპირეთი და სამხრეთ კავკასია კი შესაბამისად მე-3 და მე-4 ადგილს იკავებენ. (ცხრილი 2.1.11.).

ქვეყნების მიხედვით ლიდერია თურქმენეთი. ხოლო საქართველო მე-11 ადგილზეა. იმისათვის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰქონდეს შესაძლებლობა ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, აუცილებელია მათ ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა

და კვალიფიკაცია. ამიტომ გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა, რომ საქართველომ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გასწიოს განათლების სისტემის სრულყოფის მიმართულებით და რაც მთავარია გაწეული ხარჯები შესაბამის პროპორციულ ასახვას უნდა ჰპოვებდეს განათლების დონის გაზრდაში, ანუ გვექონდეს შესაბამისი ხარისხობრივი შედეგიც.

ცხრილი 2.1.11. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განათლებაზე გაწეული მთავრობის ხარჯები, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი (%)

ქვეყანა	2004	2009	2019	ზრდა 2004-2009 (პუნქტი)	ზრდა 2009-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
თურქმენეთი	N/A	N/A	23.0	N/A	N/A	10.0	1
უზბეკეთი	N/A	N/A	20.5****	N/A	N/A	8.5	2
მოლდოვა	19.5	21.0	19.5	1.5	-1.5	7.9	3
ტაჯიკეთი	13.7	14.3	18.7	0.6	4.3	7.4	4
ყირგიზეთი	16.2	19.2	16.5	2.9	-2.7	6.1	5
რუსეთი	11.2	12.0**	14.3***	0.8	2.4	4.8	6
ყაზახეთი	10.6	13.0	14.1	2.4	1.1	4.6	7
ესტონეთი	14.3	12.9	13.4***	-1.4	0.5	4.2	8
ბელარუსი	12.6	8.4	13.2	-4.1	4.8	4.1	9
უკრაინა	12.8	15.1	13.1	2.3	-1.9	4.1	10
საქართველო	15.0	9.0	13.0***	-6.0	4.0	3.9	11
ლიეტუვა	15.6	12.8	11.7***	-2.8	-1.0	3.2	12
ლატვია	14.5	13.0	11.1***	-1.5	-1.9	2.9	13
სომხეთი	13.6*	13.5	9.0***	-0.2	-4.5	1.6	14
აზერბაიჯანი	14.2	9.3	8.1	-4.9	-1.3	1.0	15

ცენტრალური აზია	13.5	15.5	18.6	2.0	3.1	7.3	1
აღმოსავლეთ ევროპა	14.9	14.8	15.3	-0.1	0.4	5.3	2
რუსეთი	11.2	12.0	14.3	0.8	2.4	4.8	3
ბალტიისპირეთი	14.8	12.9	12.1	-1.9	-0.8	3.4	4
სამხრეთ კავკასია	14.3	10.6	10.0	-3.7	-0.6	2.2	5

*2005 წლის მონაცემი

**2008 წლის მონაცემი

***2018 წლის მონაცემი

****2020 წლის მონაცემი

წყარო: The World Bank, Government expenditure on education, total (% of government expenditure) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS?downloadformat=excel>

ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მიხედვით პირველ ადგილს სომხეთი იკავებს, ხოლო საქართველო მეექვსე ადგილზეა. ქვეყნების ჯგუფის მიხედვითაც პირველ

ადგილს სამხრეთ კავკასიის ჯგუფი იკავებს, მეორე ადგილზეა ბალტიისპირეთი ხოლო მესამე ადგილზე აღმოსავლეთ ევროპა. (ცხრილი 2.1.12.).

ცხრილი 2.1.12. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მსპ-ს პროცენტული წილი (%)

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
სომხეთი	4.2	9.2	11.3	5.0	2.1	10.0	1
ტაჯიკეთი	4.3	5.7	7.1	1.5	1.4	5.5	2
უკრაინა	5.3	6.8	7.1	1.5	0.3	5.5	3
ლიეტუვა	6.2	6.8	7.0	0.6	0.2	5.4	4
ესტონეთი	5.2	6.3	6.7	1.1	0.5	5.2	5
საქართველო	7.2	9.1	6.7	1.9	-2.4	5.1	6
ლატვია	5.4	6.1	6.6	0.7	0.5	5.0	7
თურქმენეთი	6.9	5.0	6.6	-1.9	1.6	5.0	8
მოლდოვა	5.9	10.1	6.4	4.2	-3.8	4.8	9
ბელარუსი	5.3	5.7	5.9	0.4	0.2	4.2	10
რუსეთი	5.0	5.0	5.6	0.0	0.7	4.0	11
უზბეკეთი	5.4	5.2	5.6	-0.2	0.4	4.0	12
ყირგიზეთი	4.4	7.0	4.5	2.5	-2.5	2.8	13
აზერბაიჯანი	2.9	2.5	4.0	-0.5	1.5	2.3	14
ყაზახეთი	4.2	2.7	2.8	-1.4	0.1	1.0	15

სამხრეთ კავკასია	4.8	6.9	7.3	2.2	0.4	5.8	1
ბალტიისპირეთი	5.6	6.4	6.8	0.8	0.4	5.2	2
აღმოსავლეთ ევროპა	5.5	7.5	6.4	2.0	-1.1	4.9	3
რუსეთი	5.0	5.0	5.6	0.0	0.7	4.0	4
ცენტრალური აზია	5.0	5.1	5.3	0.1	0.2	3.7	5

წყარო: The World Bank, Current health expenditure (% of GDP) -

<http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS?downloadformat=excel>

ბოლო ინდიკატორი, რომელსაც განვიხილავთ არის ცენტრალური მთავრობის ვალი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში, რაც როგორც ვთქვით ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თაობათაშორისი თანასწორობისთვის (ცხრილი 2.1.13.).

მოცემულ მაჩვენებელში პირველ ადგილს ესტონეთი იკავებს, რომელსაც საგრძნობლად დაბალი პროცენტული მაჩვენებელი - 9.8% აქვს. შედარებისათვის საქართველო მე-10 ადგილს იკავებს და მისი მაჩვენებელია 40.4%, რაც 5.4 პროცენტული პუნქტით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე. მნიშვნელოვანია, რომ ვალმა

სტაბილურად მზარდი ტენდენცია არ მიიღოს, რათა ის ზედმეტ ტვირთად არ დააწვეს მომავალ თაობებს და არ დაირღვეს თაობათაშორისი თანასწორობა.

ცხრილი 2.1.13. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ცენტრალური მთავრობის ვალი, როგორც მსპ-ს პროცენტული წილი (%)

ქვეყანა	2000	2010	2019	ზრდა 2000-2010 (პუნქტი)	ზრდა 2010-2019 (პუნქტი)	ინდექსი (ბოლო წელი)	ადგილი
ესტონეთი	3.3	3.4	9.8	0.0	6.4	10.0	1
რუსეთი	58.8	8.4	13.2	-50.4	4.8	9.3	2
აზერბაიჯანი	22.8	5.0	17.7	-17.9	12.7	8.3	3
ყაზახეთი	21.6	10.2	18.5	-11.4	8.3	8.1	4
მოლდოვა	71.6	21.9	25.0	-49.7	3.1	6.7	5
თურქმენეთი	25.4	2.6	32.2	-22.8	29.6	5.2	6
ლიეტუვა	22.2	33.6	35.0	11.4	1.4	4.6	7
ლატვია	11.9	39.1	35.5	27.2	-3.6	4.5	8
ბელარუსი	10.3	22.5	37.6	12.2	15.1	4.0	9
საქართველო	69.9	35.0	40.4	-35.0	5.4	3.4	10
სომხეთი	39.6	33.8	50.1	-5.8	16.3	1.3	11
უკრაინა	43.8	40.0	50.2	-3.7	10.2	1.3	12
ყირგიზეთი	123.3	59.7	51.6	-63.6	-8.1	1.0	13
ტაჯიკეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
უზბეკეთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A

რუსეთი	58.8	8.4	13.2	-50.4	4.8	9.3	1
ბალტიისპირეთი	12.5	25.4	26.8	12.9	1.4	6.3	2
ცენტრალური აზია	56.8	24.2	34.1	-32.6	9.9	4.8	3
სამხრეთ კავკასია	44.1	24.6	36.0	-19.5	11.5	4.3	4
აღმოსავლეთ ევროპა	41.9	28.1	37.6	-13.7	9.5	4.0	5

წყარო: International Monetary Fund -

https://www.imf.org/external/datamapper/CG_DEBT_GDP@GDD/CHN/FRA/DEU/ITA/JPN/GBR/USA;

The World Bank - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/GC.DOD.TOTL.GD.ZS?downloadformat=excel;>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - https://mof.ge/saxelmwifo_vali

მას შემდეგ რაც დეტალურად განვიხილეთ თორმეტივე ინდიკატორი, ვნახოთ თუ როგორია საერთო სურათი. ცხრილში 2.1.14. გაერთიანებული ყველა მაჩვენებელი და გამოყვანილია ქვეყნების მიხედვით საშუალო ინდექსი, ანუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი. (ცხრილში მოცემული ნუმერაცია შეესაბამება ცხრილ 2.1.1. ში მოცემულ ინდიკატორთა ნუმერაციას).

აღსანიშნავია ლიდერი ესტონეთის გამორჩეულად მაღალი და ნახტომისებური მაჩვენებელი. განხილული 12 ინდიკატორიდან 6 მაჩვენებელში ესტონეთი უპირობო

ლიდერია, რაც შეიძლება ითქვას ამ ქვეყანას პოსტსაბჭოთა სივრცეში მართლაც წარმატების ეტალონად აქცევს. თავისთავად აღსანიშნავია რეგიონების მიხედვით ბალტიისპირეთის გამორჩეულად მაღალი - 6.96 მაჩვენებელი, მაშინ როდესაც მეორე ადგილზე მყოფი აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფისთვის ინდექსი 5.75-ს შეადგენს. რეგიონების მიხედვით სამხრეთ კავკასიის რეგიონი მესამე ადგილს იკავებს და მისი ინდექსია 4.55. (ცხრილი 2.1.14.)

ცხრილი 2.1.14. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ქვეყნების, ქვეყნის ჯგუფების და ინდიკატორების მიხედვით

	ჯგუფი I			ჯგუფი II			ჯგუფი III			ჯგუფი IV			საშუალო ინდექსი	ადგილი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
ესტონეთი	10.0	8.2	10.0	6.0	6.0	9.5	10.0	10.0	10.0	4.2	5.2	10.0	8.25	1
ლიეტუვა	8.5	7.3	6.9	2.7	1.8	9.6	7.7	9.5	9.5	3.2	5.4	4.6	6.40	2
ლატვია	8.0	7.1	6.3	3.3	2.5	9.6	7.1	9.1	9.7	2.9	5.0	4.5	6.24	3
ყაზახეთი	5.8	10.0	4.8	8.2	9.0	9.9	3.5	3.6	5.9	4.6	1.0	8.1	6.19	4
ბელარუსი	3.4	8.4	6.0	10.0	10.0	10.0	5.3	3.1	4.8	4.1	4.2	4.0	6.10	5
მოლდოვა	2.1	1.7	4.1	9.5	9.7	9.7	3.1	6.6	4.0	7.9	4.8	6.7	5.82	6
უკრაინა	1.6	5.3	3.9	9.1	9.3	9.9	2.8	6.9	4.3	4.1	5.5	1.3	5.32	7
სომხეთი	2.5	2.9	7.4	6.7	7.5	4.0	4.8	7.0	5.2	1.6	10.0	1.3	5.07	8
რუსეთი	5.1	7.7	3.8	1.0	1.0	9.8	2.5	3.9	6.0	4.8	4.0	9.3	4.90	9
საქართველო	2.7	6.5	4.4	2.3	1.2	1.0	7.1	7.3	8.7	3.9	5.1	3.4	4.46	10
ყირგიზეთი	1.0	6.2	5.7	6.8	8.2	4.1	2.8	5.6	2.8	6.1	2.8	1.0	4.43	11
უზბეკეთი	1.9	6.6	4.4	N/A	N/A	N/A	2.0	2.4	3.5	8.5	4.0	N/A	4.16	12
აზერბაიჯანი	3.0	8.9	3.0	N/A	N/A	N/A	2.8	2.8	4.9	1.0	2.3	8.3	4.11	13
თურქმენეთი	4.1	3.1	1.1	N/A	N/A	N/A	1.0	1.0	1.0	10.0	5.0	5.2	3.49	14
ტაჯიკეთი	1.0	1.0	1.0	N/A	N/A	N/A	2.0	2.0	1.4	7.4	5.5	N/A	2.67	15

ბალტიისპირეთი	8.8	7.5	7.7	4.0	3.4	9.6	8.3	9.5	9.7	3.4	5.2	6.3	6.96	1
აღმ. ევროპა	2.3	5.1	4.7	9.5	9.7	9.9	3.7	5.5	4.4	5.3	4.9	4.0	5.75	2
რუსეთი	5.1	7.7	3.8	1.0	1.0	9.8	2.5	3.9	6.0	4.8	4.0	9.3	4.90	3
სამ. კავკასია	2.7	6.1	4.9	4.5	4.3	2.5	4.9	5.7	6.3	2.2	5.8	4.3	4.55	4
ცენტრ. აზია	2.8	5.4	3.4	7.5	8.6	7.0	2.2	2.9	2.9	7.3	3.7	4.8	4.19	5

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოცემული პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ეფუძნება რა მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელს და ასევე არ ითვალისწინებს რა თითოეული ამ მაჩვენებლის წონას მთლიან ინკლუზიურ ზრდაში, მეტწილად მხოლოდ შედარებითი ხასიათისაა და შესაძლოა ზუსტად ვერ ასახავდეს რეალურად არსებულ სურათს. თუმცა მოცემულ

მომენტში ჩვენი მიზანი არის რა გამოკვეთოთ მოწინავე ქვეყნები და მოვახდინოთ ზოგადი შედარება, ის წარმოაჩენს შედარებით სურათს და საშუალებას გვაძლევს მასზე დაყრდნობით შესაბამისი მიმართულებით გავაგრძელოთ კვლევის პროცესი.

სრული სურათისთვის მნიშვნელოვანია ასევე ვაჩვენოთ, თუ როგორ გამოიყურება თითოეული ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი ინდიკატორთა ჯგუფების მიხედვით, ასევე წარმოვადგინოთ ინდიკატორთა ჯგუფების საშუალო მაჩვენებლები ქვეყნის ჯგუფების მიხედვით. (ცხრილი 2.1.15).

ცხრილი 2.1.15. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ქვეყნების, ქვეყნის ჯგუფების და ინდიკატორთა ჯგუფების მიხედვით

	ჯგუფი I: ცხოვრების დონე	ჯგუფი II: უთანასწორობა	ჯგუფი III: მმართველობა	ჯგუფი IV: სახელმწიფო ფინანსები
ესტონეთი	9.4	7.2	10.0	6.5
ლიეტუვა	7.6	4.7	8.9	4.4
ლატვია	7.1	5.1	8.6	4.1
ყაზახეთი	6.8	9.0	4.3	4.6
ბელარუსი	5.9	10.0	4.4	4.1
მოდოვა	2.6	9.6	4.6	6.5
უკრაინა	3.6	9.4	4.7	3.6
სომხეთი	4.3	6.1	5.7	4.3
რუსეთი	5.5	3.9	4.1	6.0
საქართველო	4.5	1.5	7.7	4.1
ყირგიზეთი	4.3	6.4	3.8	3.3
უზბეკეთი	4.3	N/A	2.6	6.2
აზერბაიჯანი	5.0	N/A	3.5	3.9
თურქმენეთი	2.7	N/A	1.0	6.7
ტაჯიკეთი	1.0	N/A	1.8	6.5

ბალტიისპირეთი	8.0	5.7	9.2	5.0
აღმოსავლეთ ევროპა	4.0	9.7	4.5	4.7
რუსეთი	5.5	3.9	4.1	6.0
სამხრეთ კავკასია	4.6	3.8	5.6	4.1
ცენტრალური აზია	3.8	7.7	2.7	5.5

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს საქართველოს მაღალი მაჩვენებელი აქვს მმართველობის ჯგუფში, საშუალოზე ოდნავ დაბალი ცხოვრების დონისა და სახელმწიფო ფინანსების ჯგუფში, ხოლო უთანასწორობის მხრივ ქვეყანა ბოლო ადგილს იკავებს, რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩენს საქართველოსთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობას.

ლიდერ ბალტიისპირეთის ქვეყნებს შეიძლება ითქვას მეტწილად ყველა მიმართულებით კარგი შედეგები აქვთ. განსაკუთრებით თვალშისაცემია ესტონეთის საუკეთესო შედეგი მმართველობის ჯგუფის კუთხით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ბალტიისპირეთის ჯგუფის წარმომადგენელი სამივე ქვეყანა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ კარგ მაგალითად მიგვაჩნია და შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდგომი ანალიზისთვის.

2.2. ბალტიისპირეთის ქვეყნებში განხორციელებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი რეფორმები

მეორე თავის პირველ ქვეთავში ჩვენ ვნახეთ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ საუკეთესო შედეგები აქვთ. მოცემულ ქვეთავში ჩვენი მიზანია, გავანალიზოთ, თუ რა სახის რეფორმებმა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებმა მისცა მათ იმის შესაძლებლობა, რომ მსგავსი შედეგებისთვის მიეღწიათ. შედეგად, ჩვენ მოცემულ პარაგრაფში ესტონეთის, ლიეტუვას და ლატვიას განვიხილავთ და განხორციელებულ რეფორმებს განვიხილავთ.

სანამ უშუალოდ ესტონეთის განვიხილავთ გზას განვიხილავთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ესტონეთი საქართველოს მსგავსად ფართობით და მოსახლეობით მცირე ქვეყანაა, არ გამოირჩევა განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსებით და მას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასევე მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. რეალური შემცირებული ხელფასები, მაღალი ინფლაცია, დაცარიელებული მაღაზიები, პროდუქციის დეფიციტი, საგარეო ვაჭრობის მხრივ სრულად რუსეთზე დამოკიდებულება, ეს არასრული ჩამონათვალია იმ მძიმე მდგომარეობისა, რა მდგომარეობაშიც დამოუკიდებლობა მოპოვებული ესტონეთი აღმოჩნდა. ესტონელმა ხალხმა გაანალიზა, რომ წარმატების მისაღწევად მტკივნეული და რადიკალური ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო, სწორედ ამიტომ 1992 წლის სექტემბრის არჩევნებში, მათ ის

ჯგუფი აირჩიეს, ვინც ყველაზე რადიკალურ რეფორმებს ჰპირდებოდათ საბჭოთა წარსულისგან თავის დასაღწევად. (Laar, M., 2007).

პოლონეთის ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ლეშეკ ბალცეროვიჩი მნიშვნელოვან ყურადღებას სწორედ სწრაფი და ექსტრაორდინალური რეფორმების მნიშვნელობაზე ამახვილებს. რეფორმატორ მთავრობას არასდროს აქვს ბევრი დრო რეფორმების განსახორციელებლად, მათ უნდა იმოქმედონ სწრაფად და ეფექტიანად. თუ რეფორმები დროში ძალიან გაიწელება, ამან შესაძლოა უარყოფითი რეაქციები გამოიწვიოს მოქალაქეებში. მისი თქმით „მწარე წამლის მიღება ერთ დოზად უფრო ადვილია, ვიდრე დოზის გახანგრძლივება“. (Balcerowicz, L., 1994).

შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთმა შესძლო სწორედ სწრაფი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა, რამაც მიუხედავად თავდაპირველი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგებისა, საბოლოო ჯამში თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და ქვეყანა განვითარების სწორ რელსებზე გადავიდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ესტონეთის ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ქვეყანაში ზოგადი მაკროსტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებით, რის შედეგადაც 1992 წელს ესტონეთი გახდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელმაც საკუთარი ვალუტა შემოიღო⁹. ესტონური კრონა გამყარებული და დაფიქსირებული იყო გერმანული მარკით, რამაც მისდამი ნდობა კიდევ უფრო გაზარდა. (Laar, M., 2007).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ესტონეთმა გადადგა, იყო სახელმწიფო კომპანიებისთვის სუბსიდიების შეწყვეტა. ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო, რომ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია დამყარებულიყო და ყველასათვის თანაბარი პირობები შექმნილიყო. აღნიშნული რეფორმა პირდაპირი სიგნალი იყო სახელმწიფო კომპანიებისთვის, რომ მათ ან უნდა ემუშავათ, ან უნდა დახურულიყვნენ. თუმცა როგორც შემდგომ გამოჩნდა უმრავლესობამ მუშაობა ამჯობინა. (Laar, M., 2007).

⁹ შედარებისათვის საქართველომ ეროვნული ვალუტა 1995 წლის სექტემბერში შემოიღო.

შემდგომი მნიშვნელოვანი რეფორმა რომელიც ესტონეთმა განახორციელა იყო საკუთრების რეფორმა და მასიური პრივატიზაცია. (Laar, M., 2007). ეს ორი რეფორმა უმნიშვნელოვანესია, თუ გვინდა ეკონომიკის განვითარებისთვის კერძო სექტორს სტიმული მივცეთ. ინვესტორი თავს ვერ იგრძნობს დაცულად, თუ ის გააცნობიერებს რომ მისი საკუთრების უფლება შესაძლოა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. ასევე პრივატიზაცია არის სიგნალი ბიზნესმენტათვის, რომ სახელმწიფო უხეშად არ ერევა ბაზრის საქმიანობაში, ის არ არის მისი მონაწილე და მხოლოდ ზოგადი რეგულირებით შემოიფარგლება.

ესტონეთის მიერ გატარებული რეფორმებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს დეფიციტურ ბიუჯეტზე უარის თქმა და დაბალანსებული ბიუჯეტის რეფორმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ესტონეთს ბიუჯეტის დასაბალანსებლად სესხი შესთავაზა, თუმცა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის აღმშენებლობა რადიკალურ რეფორმებზე დაემყარებინათ და არა სესხებზე. ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად ესტონეთმა უარი თქვა სესხის აღებაზე და გადაწყვიტა ბიუჯეტი სახელმწიფო ხარჯების შემცირების გზით დაებალანსებინა. ეს უკანასკნელი საკმაოდ მტკივნეული რეფორმა გამოდგა, თუმცა საბოლოო ჯამში კანონი მიღებულ იქნა და დაბალანსებული ბიუჯეტი ესტონეთის სავიზიტო ბარათად იქცა. (Laar, M., 2007).

ესტონეთმა თავიდანვე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მცირე ბიზნესის განვითარებას და ხელშეწყობას. საწარმოთა განვითარების პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო ესტონეთის სამეწარმეო პოლიტიკა „აწარმოე ესტონეთში“. ესტონეთში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ესტონეთის ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ესტონეთმა შეიმუშავე ბიზნესის დასახმარებლად პაკეტების ფართო სპექტრი, რომლებიც მორგებული იყო სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფებზე და მათ საჭიროებებზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ასევე საერთო ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის. პროგრამა „აწარმოე ესტონეთში“ 2000 წელს დაინერგა და ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროგრამაა ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერის კუთხით. ის მოიცავს როგორც ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე თანამშრომლობას ტრენინგების,

კვლევებისა და განვითარების მიმართულებით. 2003 წლის 1 ოქტომბრიდან პროგრამამ მოდიფიკაცია განიცადა და მან განვითარება სამი სხვადასხვა მიმართულებით ჰპოვა. ესენი იყო ახლადწამოწყებული ბიზნესების მხარდაჭერა; უკვე ფუნქციონირებადი ბიზნესების გაფართოვების და განვითარების ხელშეწყობა და რეგიონალურ დონეზე მეწარმეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. შესაბამისად შეიცვალა სააგენტოს სტრუქტურაც და ის სამი განყოფილებისგან ჩამოყალიბდა: ბიზნესის წამოწყების განყოფილება, ბიზნესის განვითარების განყოფილება და ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს განყოფილება. 2003 წელს პროგრამას ასევე დაემატა ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ინფორმაციის მიწოდების, რჩევებისა თუ ტრენინგებისათვის პირველადი და მნიშვნელოვანი წყაროა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც ბიზნესის წამოწყებას ფიქრობს (Ratso, S., 2005).

გამომდინარე იქედან, რომ ესტონეთი მცირე ზომის და შეზღუდული რესურსების ქვეყანაა, მას არ შეეძლო წარმატების მიღწევა ეკონომიკის ყველა სფეროში. ამიტომ მან გადაწყვიტა თავისი წარმატებისთვის მიეღწია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში და ასევე კვლევების მიმართულებით. ამ მიმართულებით განვითარების სტრატეგიას შეიძლება ვუწოდოთ, როგორც ცოდნაზე დაფუძნებული ესტონეთი. ესტონეთმა შეიმუშავა 2001-2006 წლების განვითარების სტრატეგია, რომელიც ეფუძნებოდა ზემოთ ნახსენები მიმართულებებით სახელმწიფო დახმარებების გაცემას, რათა ცოდნის გაღრმავება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანიების შექმნა და ზრდა, ასევე საჯარო სექტორის მომსახურების გაუმჯობესება და მოდერნიზაცია. ესტონეთმა გააცნობიერა ის, რომ ქვეყნის წარმატებისთვის აუცილებელი იყო მცოდნე საზოგადოება, ამიტომ მან ორიენტაცია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის როლის გაზრდაზე გააკეთა. დააბანდა ინვესტიციები საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის მიმართულებით, ხელი შეუწყო ფიცრული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ამ კუთხით მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას. (Ratso, S., 2005). მსგავსმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო და ესტონეთში არაერთი ციფრული სტარტაპი შეიქმნა. მათ შორის

შეგვიძლია აღვნიშნოთ „Skype“, რომელიც მალევე იქცა მსოფლიო მასშტაბით საკმაოდ ცნობად და პოპულარულ აპლიკაციად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა რომელიც ესტონეთმა დაწერა, იყო წრფივი დაბეგვრის სისტემა. აღნიშნული სისტემა მეწარმეებს აძლევს იმის სტიმულს, რომ მათ განავითარონ საკუთარი ბიზნესი, ასევე ის უფრო მარტივს ხდის გადასახადების აკრეფას და გვერდს უვლის სხვადასხვა რთულ გამოთვლებსა თუ ბიუროკრატიულ ბარიერებს, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის გაჯანსაღებას უწყობს ხელს. აღნიშნული სისტემის დაწერვით გადასახადების გადახდა გახდა უფრო ადვილი როგორც გადამხდელებისთვის, ასევე გადასახადთა ამკრებთათვის. გადამხდელებს შეეძლოთ მარტივი ფორმის შევსება ყოველგვარი რთული გამოთვლების გარეშე, ხოლო საგადასახადო სამსახურები თავს არიდებდნენ დამატებით შრომას და უფრო მეტ დროს გადასახადის არგადამხდელებს უთმობდნენ. მოცემული რეფორმის შედეგი ის იყო, რომ საგადასახადო სამსახურებმა უფრო ეფექტიანი ფუნქციონირება დაიწყეს, ხოლო სახელმწიფო ხაზინაში საგადასახადო შემოსავლები რადიკალურად გაიზარდა. მოცემული რეფორმა ასევე იყო სიგნალი მოსახლეობისთვის, რომ თუ ისინი მეტს იმუშავენდნენ, შედეგად მეტ შემოსავალსაც მიიღებდნენ და სახელმწიფო მათ წარმატებას დამატებითი გადასახადებით აღარ დაბეგრავდა. აღნიშნული მოდელი ჯერ ლიეტუვამ, ლატვიამ და რუსეთმა გადაიღო, ხოლო მოგვიანებით უკრაინასთან ერთად საქართველომაც დაწერა. (Laar, M., 2007).

ესტონეთს ეკუთვნის იდეა ასევე რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან განთავისუფლების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოგება არ იბეგრება კომპანიიდან გამოსვლამდე და ამით უფრო მეტი სტიმული უჩნდებათ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მეწარმეებს, რომ ეკონომიკაში ინვესტირების დონე გაზარდონ. მოგების რეინვესტირება ასევე არის სიგნალი იმისა, რომ ინვესტორები კმაყოფილნი არიან ეკონომიკაში შექმნილი პირობებით და სურთ ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება და გაფართოება. ამგვარი საგადასახადო პოლიტიკა ასევე სტიმულს აძლევს საწარმოებს, რათა უფრო მეტი ინვესტიცია ჩადონ ახალ ტექნოლოგიაში, ასევე მათი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში. (Ratso, S., 2005). ესტონეთში

აღნიშნულმა პოლიტიკამ გაამართლა და ის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. აღნიშნული რეფორმა ასევე საქართველომაც გადმოიღო მოგვიანებით.

ესტონეთის ეკონომიკური პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ასევე საკმაოდ ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი. ესტონეთმა გააუქმა თითქმის ყველა სავაჭრო ბარიერი თუ შეზღუდვა, რამაც ეკონომიკის გახსნილობას და ჯანსაღი კონკურენციის დამყარებას შეუწყო ხელი. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებას ოპოზიცია რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა და მათი არგუმენტი პროტექციონისტთა მომხრეთა ტრადიციული არგუმენტი, ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა, იყო. მთავრობას პროტესტებისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია და აღნიშნული რეფორმა მაქსიმალურად სწრაფად ჩაატარა. შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება, გაჩნდა ექსპორტზე ორიენტირებული ბევრი ახალი კომპანია და საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის გაზრდას შეუწყო ხელი. ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორების მოზიდვა. ამის ორი გზა არსებობს, ერთი რომ ინვესტორები მივიზიდოთ სხვადასხვა სატყუარებით, ხოლო მეორე გზა არის ქვეყანაში ზოგადი ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესება და ყველასათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის. ესტონეთმა ეს უკანასკნელი გზა აირჩია, რაც პრაქტიკაში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. (Laar, M., 2007).

იმისათვის, რომ ქვეყანაში ყველასთვის თანაბარი და სამართლიანი პირობები იყოს შექმნილი და ეკონომიკურმა რეფორმებმა პრაქტიკაში შედეგი გამოიღოს, უდიდესი ადგილი უჭირავს კანონის უზენაესობას და კანონის აღსრულების ხელშემწყობი სათანადო ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას. ეს უკანასკნელი აუცილებელია, რათა ქვეყანაში კორუფციამ ფეხი ვერ მოიკიდოს, რაც ეკონომიკის ჯანსაღი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მტერია. კორუფცია შეიძლება წარმოიშვას იქ, სადაც საჯარო მოხელეები ქრთამის აღებით უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე კარგავენ. ესტონეთის განვლილი გზა გვიჩვენებს, რომ მათ ეკონომიკური რეფორმების პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და კორუფციასთან ბრძოლას. ესტონეთმა ასევე უდიდესი ყურადღება

მიაქცია იუსტიციის, სასჯელაღსრულების სისტემისა და პოლიციის რეფორმას. ხელი შეუწყო აღნიშნულ დაწესებულებებში გამჭირვალე და ანგარიშვალდებული ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას. მსგავსმა რეფორმებმა კი უზრუნველყო კორუფციისგან თავისუფალი და სტაბილური გარემოს შექმნა. (Laar, M., 2007). როგორც ვხედავთ, ესტონეთის განვლილი გზა ამ მხრივაც თანხვედრაშია ზემოთ მოცემულ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ პოლიტიკურ რეფორმებთან.

ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ესტონეთის მთავრობამ ჩამოაყალიბა პროგრამა „ესტონეთის წარმატება 2014“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო ცხოვრების დონის გაორმაგება 2014 წლამდე, ის თავის თავში აერთიანებდა ბევრს ეროვნულ თუ საერთაშორისო სტრატეგიას, როგორცაა გარემოზე ზრუნვა, ჯანდაცვის სისტემა, შრომის ბაზარი, განათლება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. „ესტონეთის წარმატება 2014“ დიდწილად ეფუძნებოდა ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიის პრინციპებს, რომელიც მორგებული იყო ესტონეთის თავისებურებებს. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით ცხოვრების დონის გაუმჯობესება უნდა მომხდარიყო რამდენიმე ქვემიზნის მიღწევის ხარჯზე, როგორცაა შრომის ნაყოფიერების ზრდა, დასაქმების დონის ზრდა, შობადობის ზრდა, საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირება, გარემოს დაბინძურების დონის შემცირება. ესტონეთის წარმატების სტრატეგია ეყრდნობოდა და ეყრდნობა ისეთ სფეროებსა და ფაქტორებს, როგორცაა მაღალკვალიფიციური და მობილური სამუშაო ძალა, კვლევების ხელშეწყობა და ინოვაციების დანერგვა, ტექნოლოგიური განვითარების სტიმულირება, გარემოზე ზრუნვა და მდგრადი განვითარება. ესტონეთის პოლიტიკა ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც ზრდაზე ორიენტირებული, თუმცა ზემოთ მოცემული პრიორიტეტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოკლევადიან მიზნებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება გრძელვადიანი, სტაბილური და მდგრადი ზრდის მიღწევაზეც არის გამახვილებული. (Ratso, S., 2005).

ესტონეთი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საზოგადოებასთან და პოტენციურ ინვესტორებთან მჭიდრო კომუნიკაციას. ამისთვის ის ინტენსიურად იყენებს სხვადასხვა ინტერნეტ საიტებს. როგორცაა: <https://estonia.ee/>; <https://investinestonia.com/>; <https://e-estonia.com/>; <https://www.workinestonia.com/>; <https://www.visitestonia.com/en/>; <https://brand.estonia.ee/>; <https://e-resident.gov.ee/>; <https://tradewithestonia.com/>; <https://www.settleinestonia.ee/en/>; <https://studyinestonia.ee/>; <https://researchinestonia.eu/>; <https://www.eas.ee/>. აღნიშნული საიტები მიზნად ისახავს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ესტონეთში დასვენების, სწავლების, კვლევების ჩატარების, ინვესტიციის გაკეთების, მუშაობის, ვაჭრობის ცხოვრების, წარმოების და სხვა არაერთი მიმართულებით, რაც შეიძლება უცხოელთათვის საინტერესო იყოს. მნიშვნელოვანია ცალკე გამოვყოთ ესტონეთის ციფრული მოქალაქეობა. ესტონეთი არის პირველი ქვეყანა, რომელიც ნებისმიერ მსურველს ქვეყნის ციფრულ მოქალაქეობას სთავაზობს. მსურველი გახდება რა ქვეყნის ვირტუალური მოქალაქე მას ეს საშუალებას აძლევს წვდომა ჰქონდეს იმ ელექტრონულ მომსახურებებთან, რომელსაც ქვეყანა მის მოქალაქეებს სთავაზობს. აღნიშნული პორტალების მრავალფეროვნება მაგალითია იმისა, თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს ესტონეთი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებას.


ესტონეთი დღესაც იმავე პრიორიტეტების ერთგულია და აგრძელებს იმ მიმართულებით სვლას, რა მიმართულებითაც ქვეყნის აღმშენებლობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. „ეროვნული რეფორმების პროგრამა ესტონეთი 2020“ მიღებულ იქნა 2011 წელს და ის ასახავს ქვეყნის პრიორიტეტებს და განვითარების მიმართულებებს 2015-2020 წლებში. ასევე ყოველწლიურად ხდება დოკუმენტის განახლება მიმდინარე საჭიროებებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე. აღნიშნული პროგრამის ორი მთავარი კომპონენტი შრომის პროდუქტიულობის და დასაქმების გაზრდაა. მთავარი აქცენტი ისევ კეთდება განათლების დონეზე და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობაზე, მათი უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის სრულყოფის გზით (Government of Estonia, 2019). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ესტონეთის მთავრობის 18 პრიორიტეტული მიზანი ერთიანდება პოლიტიკურ ღონისძიებათა 4 მსხვილ ჯგუფში:

- მაღალ დონეზე განათლებული ადამიანები და ინკლუზიური საზოგადოება;
- კონკურენტული ბიზნეს გარემო;
- ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკა და ენერჯო სექტორი;
- მდგრადი და ადაპტირებადი საჯარო სექტორი.

როგორც ვხედავთ განათლების მაღალი დონე და ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა კვლავაც ესტონეთის მთავარი პრიორიტეტებია. უდიდესი ყურადღება ექცევა ასევე ჯანსაღი და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამ ყველაფერთან ერთად ესტონეთი არ ივიწყებს გარემოზე ზრუნვას და საჯარო სექტორის ეფექტიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. მოცემული მიმართულებებსაც ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის.

იმისათვის, რომ ვნახოთ თუ რამდენად ეფექტიანად აისახებოდა ესტონეთის აღნიშნული რეფორმები, პრიორიტეტები და დასახული კურსი ეკონომიკურ ზრდაზე, გავანალიზოთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა 1995-2019 წწ-ში. (დიაგრამა 2.2.1.).

დიაგრამა 2.2.1. ესტონეთის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით)



წყარო: The World Bank, GDP per capita (constant 2015 US\$) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel>

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდს, ესტონეთს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საკმაოდ სტაბილური ზრდის დინამიკა აქვს, რაც კიდევ ერთხელ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების და შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

ამრიგად, ესტონეთის მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა განპირობებულია:


- განათლების სისტემის განვითარების პრიორიტეტულობით, განსაკუთრებით ციფრული და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მხარდაჭერით;
- მაღალკვალიფიციური და მობილური სამუშაო ძალის ფორმირებით;
- სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებით;
- ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკით;
- კვლევებისა და ინოვაციის დანერგვის ხელშეწყობით;
- ბიზნესის განვითარების, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული დარგების აქტიური მხარდაჭერით;
- საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაციით, მათ შორის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის კუთხით;
- გამჭირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სტრუქტურების ჩამოყალიბებით;

1990 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ლიეტუვაშიც იწყება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად რადიკალური პოლიტიკური-ეკონომიკური ცვლილებების გატარება. რეფორმები განსაკუთრებით გაძლიერდა 1991 წლიდან, მას შემდეგ რაც ქვეყნის დამოუკიდებლობა საერთაშორისო თანამეგობრობამ სცნო. აღნიშნული მომენტიდან ქვეყანაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლებმაც შემდგომში ქვეყნის წარმატებით განვითარებას შეუწყო ხელი. განხორციელებული რეფორმები მოიცავდა ფასების ლიბერალიზაციას, მცირე თუ მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციას. 1992-1993 წწ-ში შემოღებული იქნე ეროვნული ვალუტა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ინფლაციის კონტროლი ეროვნული მონეტარული პოლიტიკის გატარების გზით. რეფორმების პირველი ათწლეული

უმნიშვნელოვანესი იყო ქვეყნისთვის, რამაც შემდგომ 2001-2007 წწ-ში მაღალი ეკონომიკურ ზრდა განაპირობა. ქვეყანაში გატარებული წარმატებული ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმების შედეგი იყოს ისიც, რომ 2004 წელს ლიეტუვა ევროკავშირის წევრი გახდა. ლიეტუვას გარდაქმნის პროცესი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ: 1990-1994 წწ - ქვეყნის ტრანსფორმაციის დაწყების პერიოდი; 1994-2003 წწ - საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდი; 2004-2007 წწ - ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისა და ბუმის პერიოდი. (Cerniauskas G., Dobravolskas A., 2011).

თუ გადავხედავთ ერთ სულ მოსახლეზე ლიეტუვას მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილების დინამიკას, დავინახავთ, რომ ის მეტწილად იმეორებს ესტონეთის დინამიკას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 2000 წლამდე შედარებით დაბალი ტემპებით ზრდა, ხოლო 2000 დან 2007 წლამდე საგრძნობი ეკონომიკური ზრდა. 2008-2009 წწ პერიოდში რეცესია, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული, ხოლო 2009-2010 წლიდან ზრდის სტაბილური ტემპი. (დიაგრამა 2.2.2.)

დიაგრამა 2.2.2. ლიეტუვას მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით)



წყარო: The World Bank, GDP per capita (constant 2015 US\$) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel>

საწყისი გარდამავალი პერიოდი, რომელიც 1990-1994 წლებში მიმდინარეობდა საკმაოდ მძიმე გამოდგა ქვეყნისთვის. რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი 43.86%-ით შემცირდა, ხოლო ყოველწლიური ინფლაცია 318%-ს შეადგენდა. ამის

ძირითადი მიზეზი იმ სტრუქტურულ ცვლილებებში მდგომარეობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად იყო საჭირო. ლიეტუვამ შეწყვიტა საწარმოთა სუბსიდირება, ასევე სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოება. საწარმოთათვის ასევე რთული იყო ახალ საბაზრო გარემოსთან შეგუება და იმის სწავლა, თუ როგორ უნდა მოეხდინათ ფუნქციონირება საერთაშორისო ბაზრის პირობებში. ამ ყველაფერმა კი მთლიან სამამულო პროდუქტზე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა.

მდგომარეობამ შედარებით გამოსწორება დაიწყო 1995 წლიდან და 1999 წლის რეცესიამდე ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ 5.4% ით იზრდებოდა. საწყის ეტაპზე ლიეტუვაში წარმოებული საქონელი ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს და საჭირო იყო მისი სრულყოფა და ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ქვეყანას 10 წელზე ნაკლები დრო დასჭირდა. განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად 2004-2007 წწ-ში ლიეტუვამ განიცადა საგრძნობი ეკონომიკური ზრდა. რათქმაუნდა რეფორმები არც აღნიშნულ პერიოდში გაჩერებულა და მუდმივად ხდებოდა არსებული ზრდის სტიმულირება და მხარდამჭერი. 2008-2009 წწ-ში ლიეტუვას, ისევე როგორც ბალტიისპირეთის დანარჩენ ქვეყნებს და მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობას ჰქონდა რეცესიის პერიოდი, თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ ქვეყანამ ისევ სტაბილური ტემპებით განაგრძო განვითარება. (Cerniauskas G., Dobravolskas A., 2011).

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი რეფორმა რომელიც ლიეტუვაში განხორციელდა იყო პრივატიზაცია. ის 1992 წელს დაიწყო, საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა და 1994 წლისთვის 5000 ზე მეტი საწარმო იქნა გაყიდული. საშუალო და მსხვილ საწარმოთა თითქმის ნახევარი პრივატიზებულ იქნა აქციათა საჯარო გაყიდვის გზით. საწარმოთა აქციების შეძენისას პრიორიტეტი ენიჭებოდა აღნიშნულ საწარმოში მომუშავე თანამშრომლებს. თავიდან თანამშრომლებს საწარმოს აქციების მხოლოდ 30%-ის ყიდვა შეეძლოთ, ხოლო 1993 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 50%-მდე გაიზარდა. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციაც. 1994 წლისთვის სახელმწიფომ საერთო ჯამში 489 მილიონი ლიტის

ღირებულების სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება მოახდინა. (Iwaskiw, Walter R., 1995).

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ასევე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხრით. 1993 წლის 25 ივნისს შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა - ლიტი. იმავე წლის აგვისტოში კი ის გახდა ერთადერთი კანონიერი საგადასახდელო საშუალება. ქვეყანამ ასევე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სახელმწიფო ხარჯების შემცირების კუთხით და ის შემოსავლების დონემდე დაიყვანა. 1993 წელს ლიეტუვამ დაიწყო სუბსიდირების შეწყვეტის მძიმე პროცესი, შემოიღო ახალი გადასახადები და გადასახადების აკრეფის ახალი სისტემა. 1993 წლისთვის სუბსიდიები შემცირებულ იქნა მთლიანი ხარჯების 6%-მდე. შემოღებულ იქნა ინდივიდუალური საშემოსავლო, კორპორატიული მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადები. რეფორმები შეეხო საბანკო სექტორსაც. მოხდა სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია, ბანკებისთვის შემოღებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კაპიტალზე მოთხოვნები. აღნიშნულ რეფორმებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, როგორც რეფორმების პაკეტის შემუშავების, ასევე ფინანსური მხარდაჭერის კუთხით. (Iwaskiw, Walter R., 1995).

თუ გადავხედავთ ლიეტუვას მთავრობის პროგრამას 2004-2008 წწ-ში, ნათლად დავინახავთ იმ პრიორიტეტებს, რომელიც ქვეყანას ჰქონდა. ასევე შეგვიძლია დავუშვათ, რომ აღნიშნულმა პრიორიტეტებმა, გარკვეულწილად განაპირობა ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდა მოცემულ პერიოდში. ქვემოთ შემოგთავაზებთ ეკონომიკის მიმართულებით რამდენიმე საკვანძო მიზანს ზემოთ ნახსენები 2004-2008 წწ-ის სამთავრობო პროგრამიდან. (Government of the Republic of Lithuania, 2004).

- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, იმ დარგების განვითარების ხარჯზე, რომლებიც საჭიროებენ კვლევების ჩატარებას, ცოდნასა და მოწინავე ტექნოლოგიებს;
- მრეწველობასა და მეცნიერებას შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რათა სამეცნიერო მიღწევების პოტენციური მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული;
- ადამიანისეულ რესურსში, ცოდნასა და ინოვაციებში ინვესტირების ხელშეწყობა;

- ექსპორტის მხარდაჭერისთვის აქტიური პოლიტიკის გატარება. იმ ინვესტორებისთვის ხელშეწყობა, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებულ პროდუქტს ქმნიან.

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითი რათქმაუნდა არასრული ჩამონათვალია აღნიშნული პროგრამის მიზნებისა და ის მოიცავს ბიზნესის ხელშეწყობისა თუ რეგიონალური განვითარების არაერთ მიმართულებას. თუმცა, ზემოთ მოყვანილი მთავრობის საკვანძო ვალდებულებებიდან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა ლიეტუვასთვის განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია იყო მოცემულ პერიოდში.

სხვა არაერთი ფაქტი მიუთითებს იმას, რომ ქვეყანა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ბიზნესსა და მეცნიერებას შორის კავშირის გამყარებას. ლიეტუვა 2018 წელს გახდა ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაციის წევრი. ხოლო 2019 წლის ივლისში აღნიშნულმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ლიეტუვას ორ უდიდეს ქალაქში კაუნასში და ვილნიუსში ბიზნეს-ინკუბატორების შექმნას. აღნიშნული ორი ცენტრი ხელს შეუწყობს ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრისადმი რელევანტური ტექნიკური მიმართულების ინოვაციური იდეების გენერირებას და მათ პრაქტიკაში განხორციელებას. მოცემული პროექტი არის განვითარების მნიშვნელოვანი ბიძგი როგორც მეცნიერთათვის, ასევე ქვეყანაში მოქმედი ბიზნესებისთვის. ამ უკანასკნელთ საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ცენტრის მიერ გამოცხადებულ მილიონობით ევროს ღირებულების ტენდერებში, რაც თავის მხრივ ბიზნეს სექტორის განვითარებასაც მისცემს სტიმულს. (EBRD, 2019).

ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობი პოლიტიკის გატარებას. ლიეტუვას მთავრობამ 2013 წელს მიიღო „ქვეყნის ინოვაციური განვითარების პროგრამა 2014-2020“. პროგრამის მიზანი, ქვეყანის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა, რომელიც სწორედ ეფექტიანი ინოვაციური სისტემების განვითარებით უნდა მოხდეს. ეს კი, თავის თავში გულისხმობს ცოდნის მაღალი დონისა და მაღალკვალიფიციური ადამიანისეული რესურსის არსებობას. აღნიშნული პროგრამა მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას,

რომელსაც ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ: (Government of the Republic of Lithuania, 2013).

- **ინოვაციური საზოგადოების ფორმირება:** მოცემული მიმართულება გულისხმობს ცოდნის მიღებისა და გავრცელებისთვის სათანადო პირობების შექმნას; ახალგაზრდებისათვის სამეცნიერო მიმართულებით კარიერის განვითარების ხელშეწყობას, მათ შორის მეცნიერებადტევად საწარმოებსა თუ ცენტრებში სტაჟირების გზით; სწავლების უმაღლესი განათლების საფეხურზე ინოვაციურობისა და შემოქმედებითობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას; ინოვაციური ბიზნესების წამოწყებისათვის სათანადო პირობების შექმნას, მათ შორის საჭირო ცოდნისა თუ ინფორმაციის მიწოდების გზით და სხვა.
- **ბიზნეს სექტორის ინოვაციური პოტენციალის ამაღლება:** ლიეტუვა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბიზნეს სექტორში ინოვაციურობის ხელშეწყობას. მოცემული მიმართულება გულისხმობს ინვესტიციების მოზიდვას იმ დარგებში, რომლებსაც მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნა შეუძლიათ; ბაზარზე ახალი ინოვაციური პროდუქტისა თუ მომსახურების წარდგენის ხელშეწყობას; ინოვაციური პროდუქტის შესაქმნელად სხვადასხვა სექტორებისთვის თანამშრომლობის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და სხვა.
- **დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობისთვის სათანადო ქსელის შექმნა, მისი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია:** ინოვაციების სფეროში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მსოფლიოში უკვე დაგროვებული ცოდნის გამოყენება, რაც თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობას ისეთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ცენტრებთან, რომლებსაც მსგავსი ცოდნა და გამოცდილება უკვე გააჩნიათ. აქედან გამომდინარე სწორ კომუნიკაციას და თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს ბიზნესისა და მეცნიერების მჭიდრო კომუნიკაციის ხელშეწყობას, რაც ახალი სამეცნიერო მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისთვისაა აუცილებელი; ინოვაციების შესაქმნელად საერთაშორისო მიღწევების და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას და სხვა.

- **ინოვაციური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება და ინოვაციების დანერგვა საჯარო სექტორში:** ქვეყანაში ინოვაციების დანერგვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საჯარო სექტორს და აღნიშნული მიმართულების მხარდამჭერ პოლიტიკურ ღონისძიებებს. მოცემული მიმართულება გულისხმობს სათანადო საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ბაზის არსებობას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ფორმირებას და რეალიზებას; ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც სტიმულს მისცემს ინოვაციებისადმი მოთხოვნის გაზრდას და ა.შ.

ლიეტუვა ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა და აქცევს ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებას და ქვეყანაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას. ინფორმაციული საზოგადოება განიმარტება როგორც, გახსნილი, განათლებული და მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის მიმღები საზოგადოება, რომლის წევრები ეფექტიანად იყენებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ყოველდღიური საქმიანობის ყველა სფეროში. აღნიშნული მიმართულება განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის და სოციალ-კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ასევე განსაკუთრებით პრიორიტეტულია საზოგადოებისა და ბიზნესისათვის სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული მომსახურებების შეთავაზება. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ლიეტუვას ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პროგრამას 2014-2020 წლებში და მის ძირითად პრიორიტეტებს, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ქვეყნის სტრატეგიაზე მოცემული მიმართულებით. (Government of the Republic of Lithuania, 2014).

აღნიშნული პროგრამის მიზანია ლიეტუვას მოსახლეობისთვის და ბიზნეს სექტორისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური გამოყენების ხარჯზე, კერძოდ 2020 წლისთვის ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 85%-ზე მეტს რომ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან, ხოლო საწარმოთა 95% იყენებდეს მაღალსიჩქარიან ინტერნეტს.

დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის

დონის ამალეზაზე. დოკუმენტის მიხედვით სათანადო უნარ-ჩვევების არარსებობა სახელდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიმართულებით ახალი სერვისების შექმნისთვის. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების ინტენსიურ ჩართულობას საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროგრამებში, ასევე მოსახლეობის სტიმულირებას, რომ ინტენსიურად დაიწყონ ინტერნეტის გამოყენება და ასევე შეეძლოთ ონლაინ სივრცეში საკუთარი უსაფრთხოების დაცვა და ჰქონდეთ აღნიშნული მიმართულებით საჭირო ცოდნა.

მოსახლეობის ჩართულობასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ჩართულობა და საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის ამალეზა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით. ამასთანავე სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობა რათა დაცული იყოს ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა ინტერესები.


პროგრამა აქცენტ აკეთებს როგორც ბიზნესის ხელშემწყობი, ასევე ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებული საჯარო მომსახურების ონლაინ სივრცეში შეთავაზებაზე, თავისთავად სათანადო ყურადღება ექცევა საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას.

როგორც ვნახეთ ლიეტუვას პოლიტიკა გარკვეულწილად ესტონეთის მსგავსია. ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს ინოვაციების დანერგვას და ინვესტიციებს დებს ადამიანისეულ კაპიტალში, რათა მოახდინოს ცოდნით აღჭურვილი საზოგადოების ფორმირება. აღნიშნული პოლიტიკა საკმაოდ წარმატებულია და ქვეყნის საგრძნობ პროგრესს განაპირობებს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ლატვიამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესი განიცადა. გაიზარდა მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე და შემცირდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი. თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდს, ლატვიას მთლიან სამამულო პროდუქტს

მოსახლეობის ერთ სულზე ისეთივე სტაბილური ზრდის ტენდენცია აქვს, როგორც ესტონეთის და ლიეტუვას. (დიაგრამა 2.2.3.).

დიაგრამა 2.2.3. ლატვიის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარში, 1995-2019 წწ. (მუდმივი 2015 წლის ფასებით)



წყარო: The World Bank, GDP per capita (constant 2015 US\$) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel>

აღნიშნული პროგრესის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ეკონომიკური რეფორმები იყო. ქვეყანაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ბაზარზე კონკურენციის ჩამოყალიბებას და მის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში. მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ასევე ბიზნესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის კუთხითაც, რამაც თავის მხრივ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება გახადა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობებს მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდათ როგორც კერძო სექტორთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რამაც ხელი შეუწყო ბიზნესის რეგისტრაციას გამარტივებას, საგადასახადო სისტემის სრულყოფას, ეფექტიან საერთაშორისო ვაჭრობას და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებას. ძალისხმევა და სურვილი რეფორმების განსახორციელებლად არ შენელებულა შიდა თუ გარე ფაქტორების ცვლილების მიუხედავად. რეფორმები მიმდინარეობდა ევროკავშირთან შეერთების პროცესის ფარგლებში, რეფორმები მიმდინარეობდა 2000-იანი წლების სწრაფი აღმავლობის პერიოდში და ის არ გაჩერებულა არც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს თუ მის შემდგომ. (Doing Business, 2013).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლატვიამ მტკიცედ აიღო დასავლელი კურსი და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ევროკავშირის წევრობა დაისახა. იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრი გამხდარიყო, საჭირო იყო კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესრულება, რისთვისაც ქვეყანას მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება სჭირდებოდა. 1993 წელს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად სამოქმედო გეგმა, რომელიც არაერთი რეფორმის განხორციელებას გულისხმობდა, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით. (Doing Business, 2013).

ერთ-ერთი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ლატვიაში მიმდინარე რეფორმებში აქტიურად ჩაერთო, იყო მსოფლიო ბანკის „უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო სამსახური“ (FIAS). აღნიშნული სამსახურის ჩართულობით 1999-2004 წწ-ში ლატვიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საწარმოთა რეგისტრაციის, საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების, საბაჟო პროცედურების, საწარმოთა ინსპექტირების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პროცედურების, ინსტიტუციონალური სრულყოფის და ბევრი სხვა მიმართულებით. დასახული 106 მიზნიდან 2003 წლის ბოლოსთვის 91 მათგანი წარმატებით იყო განხორციელებული. ქვემოთ მოცემულია ის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც ქვეყანას მოცემულ შუალედში განახორციელა: (Liepina S., Coolidge J., Grava L., The World Bank, 2008).

- **საწარმოთა რეგისტრაცია:** რეგისტრაციის პროცედურები იქნა გამარტივებული; გაერთიანდა კომპანიის და საგადასახადო რეგისტრაციის პროცედურა, რის შედეგადაც ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი შემცირდა სამ დღემდე.
- **საგადასახადო ადმინისტრირება:** სახელმწიფო შემოსავლების სამსახურში შეიქმნა სააპელაციო ორგანო; საგადასახადო კანონმდებლობა იქნა საჯაროდ განხილული და ბიზნეს სექტორის რეკომენდაციების შესაბამისად მოხდა მისი სრულყოფა და დახვეწა.
- **ინსპექტირება:** დაზუსტდა სახელმწიფო ინსპექტორთა უფლებამოსილებები; საწარმოთა შემოწმების პროცედურები შეთანხმდა და მიეწოდა შესამოწმებელ

ობიექტებს; მოხდა ინსპექტორთა სწავლება მათი კვალიფიკაციის ამაღლების და კლიენტებთან ეფექტიანად ურთიერთობის მიზნით;

- **საბაჟო და საზღვრის კვთა:** გამარტივდა განბაჟებასთან და საზღვრის კვთასთან დაკავშირებული პროცედურები; მეზაჟეთა უფლება-მოვალეობები დაზუსტდა და მკაცრად გაიწერა; შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრი დაინტერესებული მხარეთათვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად;
- **მშენებლობა და უძრავი ქონება:** გაუმჯობესდა უძრავ ქონებაზე გადასახადის დაანგარიშების სისტემა; შეიქმნა მშენებლობასთან დაკავშირებული საერთო მარეგულირებელი სტანდარტი; გამარტივდა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები და გახდა უფრო გამჭვირვალე;
- **უცხოელთა ცხოვრების უფლება:** გამარტივდა უცხოელთათვის სამუშაოზე აყვანის და ცხოვრების უფლების გაცემის პროცედურები; შეიქმნა მოქალაქეობასთან და მიგრაციულ საკითხებთან დაკავშირებული საკონსულტაციო ცენტრი;
- **საზოგადოებასთან დიალოგი:** სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა საზოგადოებასთან და ბიზნეს სექტორთან კომუნიკაციას. ამან მათ საშუალება მისცა უკეთ გაეგოთ ის პრობლემები, რომლების ბიზნესის წინაშე იდგა და შესაბამისად უკეთ დაეგეგმათ მათი მოგვარების გზები.
- **მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება:** იმის გასაგებად თუ რამდენად კმაყოფილი იყო ბიზნეს სექტორი არსებული მდგომარეობით და ასევე მათი შეხედულებების დასაფიქსირებლად, სახელმწიფო რეგულარულად ატარებდა კერძო სექტორის გამოკითხვას და მათი პრობლემების კვლევას. მსგავსმა პროგრამამ შეუწყო ხელი პრობლემების სწორ იდენტიფიცირებას და მათ დროულ მოგვარებას.

მოცემულმა რეფორმებმა ქვეყანას საშუალება მისცა საბჭოთა კავშირის წევრი მბრძანებლური ეკონომიკის ქვეყნიდან გარდაქმნილიყო ევროპული ღირებულებების მქონე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად. მოცემული პროცესის წარმატებული გაგრძელება იყო ის, რომ 2004 წელს ლატვია გახდა ევროკავშირის წევრი.

ქვეყანას რეფორმების განხორციელების ტემპი არ შეუწელებია ევროკავშირის წევრობის შემდეგაც. ლატვიამ განაგრძო ეკონომიკური კანონების, რეგულაციების და ინსტიტუტების სრულყოფა, რათა ისინი უფრო თავსებადი გამხდარიყო ევროპულ ქვეყნებთან. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქონების რეგისტრაციის და საგადასახადო დეკლარაციების გაგზავნა-მიღების ელექტრონული სისტემების დანერგვის მხრივ. მოცემული სისტემა ამარტივებდა და ამცირებდა საჭირო პროცედურებს, ასევე წარსადგენმა დოკუმენტაციამ ფურცლიდან ელექტრონულ ფორმატში გადაინაცვლა. (Doing Business, 2013).

ლატვიის განხორციელებულმა რეფორმებმა 2000-2007 წწ-ში მნიშვნელოვნად დააჩქარა ეკონომიკური ზრდის ტემპი. თუმცა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აღნიშნული სწრაფი ზრდა საკმაოდ შეანელა. ლატვიის ეკონომიკური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო უცხოური კაპიტალის შემოდინებით. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე აღნიშნული კაპიტალის შემოდინება მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც ქვეყანა ღრმა რეცესიაში შევიდა. ეკონომიკური რეცესიის შესანელებლად ქვეყანაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების განხორციელება დაიწყო. ერთ-ერთი პირველი რაც მთავრობამ გააკეთა, იყო სახელმწიფო ხარჯების შემცირება და საჯარო მოხელეთა ანაზღაურებების კორექტირება. არაერთი რეფორმა გატარდა ბიზნესის რეგულირების მხრივ. აღნიშნული რეგულაციები მოიცავდა, ერთი მხრივ ბიზნესში თანხების ინვესტირებისთვის საჭირო ბიუროკრატიული პროცედურების, ხოლო მეორეს მხრივ მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ფირმებისთვის გაკოტრების საქმისწარმოების, გამარტივებას. (Doing Business, 2013).

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა ლატვიას, რომ მისი ეკონომიკა არ იყოს საკმარისად მდგრადი და მას სჭირდებოდა კიდევ უფრო გაძლიერება. ქვეყანამ აქცენტი ექსპორტის მხარდაჭერაზე, ადგილობრივი წარმოების გაძლიერებასა და ეკონომიკაში უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნაზე გააკეთა. „ეროვნული ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები 2014-2020“ აქცენტს სწორედ აღნიშნული მიმართულებების განვითარებაზე აკეთებს. მოცემული

ინიციატივა მოიცავს განვითარების 6 საკვანძო მიმართულებას: (European Commission, 2018).

- განათლების სისტემის გაუმჯობესება და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- მრეწველობის განვითარების მხარდაჭერა;
- ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა;
- ინოვაციების დანერგვის მხარდაჭერა;
- ექსპორტის სტიმულირება;
- ენერჯის მოხმარების შემცირება.

ლატვია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის და უნარ-ჩვევების ამაღლებას. ხელს უწყობს აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვას სწავლების პროცესში, როგორც მასწავლებლებისთვის ასევე სტუდენტებისთვის. საგრძნობი ყურადღება ექცევა ასევე კიბერუსაფრთხოების სფეროს და მოცემული მიმართულებით ცნობიერების დონის ამაღლებას. ქვეყნის აღნიშნული სტრატეგია თავს იყრის სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებათა ნაკრებებში, მაგალითად როგორცაა „ინფორმაციული საზოგადოება 2014-2020“, „2014-2020 წწ განათლების განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები“, „მეცნიერება 2014-2020“. (European Commission, 2020).

ლატვიაში ეკონომიკური რეფორმები ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემდეგაც ჩვეული ტემპით გაგრძელდა. ინვესტირება ინფრასტრუქტურაში და განათლებაში განიხილებოდა და განიხილება როგორც წარმატების მიღწევის მთავარი ფაქტორი. 2010 წელს ევროკომისიამ დაამტკიცა სტრატეგია „ევროპა 2020: სტრატეგია ჭკვიანი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდისთვის“, რომლითაც ლატვია ხელმძღვანელობს. აღნიშნულმა სტრატეგიამ ასახვა ჰპოვა ქვეყნის არაერთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებაში თუ რეფორმაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ბიზნეს გარემოს განვითარებას, ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას, ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდას, უცხოური ინვესტიციების

მოზიდვას, განათლების დონის გაუმჯობესებას, დასაქმების ხელშეწყობას. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ იმ მნიშვნელოვან ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებათა ღონისძიებებს და პრიორიტეტებს, რომლითაც ქვეყანა ხელმძღვანელობს და რომელიც მოცემულია ლატვიის ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშში „ლატვიის ეკონომიკური განვითარება“. (Ministry of Economics Republic of Latvia, 2019).

ბიზნეს სექტორის მხარდასაჭერად ქვეყანას აქვს შემუშავებული „ბიზნეს გარემოს განვითარების სამოქმედო გეგმა“, რომელიც პერიოდულად ნახლდება მიმდინარე გამოწვევებიდან გამომდინარე. 2019 წლის 22 მაისს განახლებული აღნიშნული გეგმა ორიენტირებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე: მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო მმართველობა, ონლაინ მომსახურებების შეთავაზება, კონკურენტუნარიანი საგადასახადო სისტემა, ბიზნეს გარემოს გახსნილობა, კანონის უზენაესობა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა. აღნიშნული გეგმის განახლების და სრულყოფის მიზნით ლატვიის ფინანსთა სამინისტროს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ბიზნეს სექტორთან. სამინისტროს წარმომადგენლები სტუმრობენ კომპანიებს, უშუალოდ მათგან ისმენენ მათ წინაშე არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების საშუალებებს, რაც სახელმწიფოს უადვილებს ბიზნეს სექტორის მხარდასაჭერად უკეთ დაგეგმოს გასატარებელ ღონისძიებათა პაკეტი.

2019 წლის 1 ნოემბრიდან ლატვიამ დაამკვიდრა „ნულოვანი ბიუროკრატის“ პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ყველა სახელმწიფო ორგანოს ევალება არ დაუშვას ქვეყანაში ბიუროკრატული ბარიერების გაზრდა, რომელიც მძიმე ტვირთთან დააწვება ეკონომიკაში მოღვაწე სუბიექტებს. მაგალითად, თუ რომელიმე სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს კანონპროექტს, რომელიც გულისხმობს ბიუროკრატული ბარიერების გაზრდას, ეს ერთეული ასევე ვალდებულია წარმოადგინოს კანონპროექტი, რომელიც მოახდენს გაზრდილი ბარიერების შემცირებას და ექვივალენტურად შეუმსუბუქებს ტვირთს იმ სეგმენტს, რომელსაც ძირითადი კანონპროექტი ეხება. თუ ბიუროკრატული ბარიერების ექვივალენტურად შემამსუბუქებელი კანონის წარმოდგენა პირველადი კანონის ინიციატორის კომპეტენციას ცდება, საქმეში ერთვება შესაბამის დარგზე პასუხისმგებელი

სამინისტრო, რომელიც ვალდებულია სამიზნე ბიზნეს სექტორთან ერთად განიხილოს კანონპროექტი, გაზრდილ ბიუროკრატიასთან დაკავშირებული დამატებითი ფინანსური თუ არაფინანსური დანახარჯები და ყველა მხარის პოზიციის გათვალისწინებით ძირითად კანონთან ერთად წარმოადგინოს გაზრდილი ბარიერების ექვივალენტურად შემამსუბუქებელი მაკომპენსირებელი კანონპროექტი.

ლატვია ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ელექტრონული მომსახურებების შეთავაზებას და ბიზნეს გარემოს გაციფრულებას. ინფორმაციის სწრაფი მიღება ბიზნესის წარმართვისთვის 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, აქედან გამომდინარე ლატვიის მთავრობამ დანერგა ელექტრონული სერვისების მიღების ერთიანი პორტალი <https://www.latvija.lv/>. პორტალი აგებულია ერთი სარკმლის პრინციპზე და ის საშუალებას აძლევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ელექტრონული მომსახურებების ფართო ნაკრებით და სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება რასაც ლატვიის მთავრობა ყურადღებას აქცევს არის სტარტაპების განვითარება და ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ელემენტია თანამედროვე და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე. ქვეყანა ყოველწლიურად არაერთ საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებას მართავს, რათა ხელი შეუწყოს მოცემული სფეროს პოპულარიზაციას. 2017 წლის 1 იანვარს ლატვიამ მიიღო კანონი სტარტაპების მხარდაჭერის შესახებ, ხოლო 2018 წლის თებერვალში ქვეყნის წარმომადგენლობამ მუშაობა დაიწყო სილიკონის ველზე. ამავე წელს პროგრამის დაფინანსების ფონდმა 15 მლნ ევრო შეადგინა. პროგრამის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ელემენტია მისი პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით. ამ მიზნით 2018 წელს გაიხსნა საინფორმაციო პორტალი <https://startuplatvia.eu/>, რომელზეც პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის ამომწურავი ინფორმაციაა მოცემული. ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებს „ლატვიის სტარტაპების ასოციაცია“ (<http://startin.lv/>), რომლის მიზანიც არის ქვეყნის სტარტაპების გაერთიანება საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით და საერთო ინტერესების წარმოჩენა.

ქვეყანა ასევე სათანადო ყურადღებას უთმობს განათლების მიმართულს. ამას მოწმობს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებში განათლების დარგის მნიშვნელობის აღნიშვნა. მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. (Ministry of Education and Science of the Republic of Latvia, 2014).

„განათლების განვითარების სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები 2014-2020“ - ლატვიის პარლამენტმა მიიღო 2014 წლის მაისში და ის ერთადერთი სექტორული პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტია, რომელიც საკონსტიტუციო დონეზე იქნა მიღებული. ეს კი თავის მხრივ ქვეყანაში განათლების სისტემის პრიორიტეტულობაზე მიუთითებს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული პრინციპები ასახვას ჰპოვებს ასევე სხვადასხვა დოკუმენტებში.

გლობალური გამოწვევებთან საპასუხოდ მაღალი ხარისხის განათლების აუცილებლობაზეა საუბარი ლატვიის „მდგრადი განვითარების სტრატეგია 2030“-ის დოკუმენტშიც, რომელიც 2010 წელს იქნა მიღებული. ეკონომიკის და ქვეყნის განვითარებისთვის განათლების მნიშვნელობაზე, მის პრიორიტეტულობაზე არის საუბარი ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა: „ლატვიის ეროვნული განვითარების გეგმა 2014-2020“ (დამტკიცების თარიღი: 20.12.2012); „ლატვიის ეროვნული რეფორმების პროგრამა „EU 2020“ სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის“ (დამტკიცების თარიღი: 26.04.2011); „მეცნიერების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციურობის სახელმძღვანელო პრინციპები“ (დამტკიცების თარიღი: 28.12.2013); „საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები“ (დამტკიცების თარიღი: 14.10.2013) და ასევე სხვა არაერთი დოკუმენტი.

როგორც ვხედავთ ლატვია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წლების განმავლობაში ახორცილებდა რეფორმებს, ხვეწდა კანონმდებლობას და ხელს უწყობდა ბიზნესის განვითარებას, მიუხედავად გარე თუ შიდა ფაქტორებისა, მთავრობების ცვლილებისა თუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა. ამის მნიშვნელოვან მოტივატორად შეიძლება გამოვყოთ ჯერ ევროკავშირში ხოლო შემდგომ ევროზონაში ინტეგრაციის სურვილი, რაც სტიმული იყო თითოეული მოქალაქისთვის, რომ მათ სწრაფად განეხორციელებინათ რეფორმები, რათა თვალნათლივ ხედავდნენ იმ სარგებელს, რომელსაც ქვეყანა აღნიშნული

ინტეგრაციით მიიღებდა. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნოს საჯარო მოხელეთა მაღალი კვალიფიკაცია და სტაბილურობა, რადგან ეს არის ის ბირთვი, რომელზეც დგას ეკონომიკური რეფორმები, მთავრობათა ცვლილების პერიოდში. არაკვალიფიციური საჯარო მოხელეთა შემთხვევაში ყოველი მთავრობის ცვლილებამ რეფორმების ტემპის შენელება და ეფექტიანობის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს. მნიშვნელოვანია ის დიალოგიც, რომელიც სახელმწიფოს ინტენსიურად ჰქონდა ბიზნეს სექტორთან, რამაც თავის მხრივ პრობლემების სწორ იდენტიფიცირებას და საჭირო ნაბიჯების გადადგმას შეუწყო ხელი. (Doing Business, 2013).

გამოვყოთ ის საკვანძო საკითხები და მიდგომები რომლითაც ქვეყანა ხელმძღვანელობდა და დღესაც ხელმძღვანელობს:

- საზოგადოებასთან და ბიზნესთან მჭიდრო და უშუალო კომუნიკაცია;
- ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ბარიერების სისტემატური და საგრძნობი შემცირება;
- ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის ინოვაციური ახალი სტარტაპების ხელშეწყობა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სტიმულირება და მისი ინტენსიური გამოყენება ბიზნესის და საზოგადოების სასარგებლოდ;
- განათლების სისტემის განვითარების და განათლებული საზოგადოების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევა.

ამრიგად, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას, ინოვაციების ხელშეწყობას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას და მათ ინტენსიურ გამოყენებას. ქვეყნის განვითარებაში აღნიშნული მიმართულებების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკა დავახასიათოთ, როგორც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა.

აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ცოდნის ეკონომიკის ინდექსი

(„Knowledge Economy Index“). (EBRD, 2019). მოცემული ინდექსი მერყეობს 1 დან 10 მდე და ის ეფუძნება 4 ძირითად მაჩვენებელს:

1. ინოვაციის ხელშეწყობი ინსტიტუტებს;
2. ქვეყანაში ინოვაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს;
3. ინოვაციურ სისტემას;
4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დონეს.

აღნიშნული ანგარიში განხილული 38 ქვეყნიდან ყველაზე მაღალი ინდექსი 6.82 აქვს ესტონეთს. ლიეტუვა მესამე ადგილს იკავებს 6.03 ინდექსით, ხოლო ლატვია მეოთხე ადგილზეა 5.88 ინდექსით. შედარებისათვის საქართველო რეიტინგში მე-16 ადგილზეა და მისი ინდექსი შეადგენს 4.97-ს. მეზობელი რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი იკავებენ შესაბამისად მე-17 (4.93), მე-19 (4.60), მე-20 (4.56) და 21-ე (4.51) ადგილს¹⁰. როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ განსახილველად შერჩეულ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, მაღალ ინკლუზიურ ზრდასთან ერთად ახასიათებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მაღალი დონე. ეს დასტურდება როგორც განხილული რეფორმებითა თუ პრიორიტეტებით, ასევე ზემოთ წარმოდგენილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ანგარიშით.

რომ შევაჯამოთ ბალტიისპირეთის ქვეყნების განვლილი გზა შეგვიძლია გამოვყოთ ის მიმართულებები, რომლებიც მეტწილად საერთო და დამახასიათებელი იყოს სამივე ქვეყნისთვის და რომლებმაც გარკვეულწილად განაპირობა კიდევ აღნიშნული ქვეყნების წარმატება და მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა:

1. განათლების სისტემის პრიორიტეტულობა; ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა; მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება; ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა; ტექნოლოგიური სფეროს განვითარება;
2. ეფექტიანი, მოქნილი საჯარო სამსახური და მინიმუმამდე დაყვანილი ბიუროკრატიული ბარიერები;
3. ბიზნესისთვის ჯანსაღი, კონკურენტული, თანასწორი გარემოს შექმნა; ბიზნეს სექტორთან მჭიდრო კომუნიკაცია; მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება.

¹⁰ EBRD, Introducing the EBRD Knowledge Economy Index, 2019, Table 2.

თავი III. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება საქართველოში

3.1. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის პროგრამები

საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია გავანალიზოთ ქვეყანაში განხორციელებული თუ მიმდინარე პროგრამები, რომლებიც ბიზნეს სექტორის განვითარებისა და ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ არიან მიმართულნი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო და რომელიც საქართველოსთვის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას იყო „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ (საქართველოს მთავრობა, 2014). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა სამ უმთავრეს პრინციპს. აღნიშნული პრინციპებია: („საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, გვ.4).

1. „ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, სამუშაო ადგილების შექმნისა და სიღარიბის დასაძლევად“;
2. „ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას, საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის ამაღლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის“;
3. „ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისთვის“.

მიგვაჩნია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი 3 ძირითადი პრინციპი სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად სტრატეგიას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარ პრინციპად კერძო სექტორისთვის თავისუფლების უზრუნველყოფაა დასახელებული. აღნიშნულია ასევე მთავრობის გამჭირვალე საქმიანობის აუცილებლობაც, რაც ასევე შეესაბამება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის იმ აუცილებელ პირობას, როგორც თანასწორი და სამართლიანი გარემოს ფორმირებაა.

დოკუმენტში ყურადღება არის გამახვილებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: უმუშევრობის შემცირება, ხელმისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა, მოსახლეობისთვის ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფა, კერძო სექტორის წახალისება, სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემოს ფორმირება, რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტში გაწერილი იყო მიზნობრივი მაჩვენებლები 2020 წლისთვის, ის მოგვიანებით ჩანაცვლდა ე.წ. 4 პუნქტიანი გეგმით და პრაქტიკაში აღნიშნული დოკუმენტის რეალიზებას სათანადო ყურადღება არ დათმობია.

მთავრობის ახალი 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა რეფორმებს შემდეგი 4 მიმართულებით: განათლების რეფორმა; ეკონომიკური რეფორმა; სივრცითი მოწყობა; მმართველობის რეფორმა. ინდივიდუალურად თითოეული ეს მიმართულება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა აღნიშნული გეგმა აქცენტს ადარ აკეთებდა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე და ამ უკანასკნელისთვის საჭირო ფაქტორების გაუმჯობესებაზე, როგორც ეს მის წინამორბედში იყო.

დღეისათვის მოქმედი სტრატეგიული სამთავრობო დოკუმენტი არის 2020 წელს მიღებული „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი მიზანი „პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისთვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნაა“. (გვ. 45).

მოცემულ დოკუმენტშიც აღარ არის პირდაპირ ნახსენები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, თუმცა ის ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა: დასაქმება, რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. დოკუმენტში საუბარი შეეხება სიღარიბის დაძლევის მნიშვნელობას, თუმცა პრაქტიკულად არ არის ნახსენები უთანასწორობის ფაქტორი, რაც ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უმთავრესი დეტერმინანტია და რაზეც საკმაოდ ძირეული ყურადღება იყო გამახვილებული 2014 წელს მიღებულ „საქართველო 2020“-ის დოკუმენტში.

წარმოდგენილი სამთავრობო სტრატეგიებიდან ერთადერთი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ცალსახად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას ისახავდა მიზნად, ჩვენი აზრით, იყო „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ სტრატეგიებში ასევე იყო ყურადღება გამახვილებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებზე, ისინი ცალსახად უთანასწორობის აღმოფხვრაზე და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე ორიენტირებულნი არ ყოფილან.

ზოგადი სამთავრობო სტრატეგიების გარდა მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ კონკრეტული სექტორული მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტებიც.

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რასაც ქვეყანაში სათანადო ყურადღება ექცევა არის რეგიონალურ პოლიტიკას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სტრატეგიებში თუ სამოქმედო გეგმებში. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა დედაქალაქსა და რეგიონებს, ქალაქსა და სოფლებს შორის არსებული უთანასწორობა და მისი აღმოფხვრა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სათანადო რეგიონალური პოლიტიკის გატარება ნებისმიერი ქვეყნისთვის და თავისთავად საქართველოსთვისაც ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქვეყნის რეგიონების განვითარებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2018 წელს შეიმუშავა „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021“, რომელმაც

ჩაანაცვლა ანალოგიური 2015-2017 წწ-ის პროგრამა. აღნიშნული პროგრამები რეგიონებში ცხოვრების დონის ამაღლებაზე, სიღარიბის შემცირებაზე, უთანასწორობის აღმოფხვრაზე და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას.

2018 წელს მიღებული პროგრამის 27-ე გვერდზე ვკითხულობთ რომ „საქართველო ევროპაში ყველაზე მონოცენტრული ქვეყანაა, რაც უარყოფითად აისახება რეგიონების განვითარების შესაძლებლობებზე“. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აქტიური რეგიონალური განვითარების პოლიტიკის გატარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2015 წელს შეიმუშავა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ“, ხოლო 2019 წელს „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“. აღნიშნული სტრატეგიის მიზნებია: („საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“, გვ.24).

1. „კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები“;
2. „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია“;
3. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები“.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ქონა რეგიონალური განვითარების აუცილებელი კომპონენტია და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მსგავსი სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა სათანადო პოლიტიკის გატარების აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტებიდან გვინდა ასევე გამოვყოთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“. მიმდინარე მოქმედი დოკუმენტი არის 2021-2025 წწ-ის სტრატეგია, რომელმაც ჩაანაცვლა ანალოგიური 2016-2020 წწ-ის სტრატეგიული დოკუმენტი. მოქმედი დოკუმენტის მიზანი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა“. დასახული მიზნის მისაღწევად სტრატეგია ითვალისწინებს პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს: „საკანონმდებლო ბაზის დახვეწა; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდა; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის; ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“. („საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025“, გვ. 32-35).

ზემოთ წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტები მიუთითებს იმას, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის დოკუმენტებში გათვალისწინებულია. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის ანალიზიც, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები პრაქტიკაში რა პროგრამებში ჰპოვებს ასახვას და როგორი შედეგი აქვთ მათ. ქვემოთ ჩვენ მსგავს პროგრამებს განვიხილავთ.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების ხელშეწყობი პირდაპირი თუ ირიბი ღონისძიებები საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში ყოველთვის შეინიშნებოდა. მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად თუ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დღეს არაერთი პროგრამა ფუნქციონირებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა რომელიც საქართველომ ესტონეთისგან გადაიღო არის „აწარმოე საქართველოში“.

პროგრამის მთავარ მიზანს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება და ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს. მოცემულ მომენტში პროგრამა 3 მიმართულებას აერთიანებს. ესენია:

ბიზნესის განვითარების, ექსპორტის მხარდაჭერის და ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის მიმართულებები. ბიზნესის მიმართულება ორიენტირებულია ახალი საწარმოებისა თუ სასტუმროების შექმნაზე და არსებულის გაფართოებასა თუ გადაიარაღებაზე. ექსპორტის მიმართულების მიზანია ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და ბაზრების დივერსიფიკაცია. საინვესტიციო მიმართულება კი წარმოადგენს შუამავალს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის და ყველა დაინტერესებულ მხარეს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ სთავაზობს დახმარებასა და ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულება თავის თავში მოიცავს რამდენიმე ქვეპროგრამას. ესენია:

- „ინდუსტრიული მიმართულება“;
- „სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი“;
- „მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი“;
- „გადაიღე საქართველოში კომპონენტი“;
- „საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი“;
- „ტურისტული სერვისების ინდუსტრია“;
- „ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია“;
- „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის საგრანტო პროგრამა“.

სააგენტოს 2019 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით ინდუსტრიული მიმართულებით 31%-ით მეტი ხელშეკრულება გაფორმდა, ხოლო სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა და კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა კი შესაბამისად 19% და 25%-ით არის გაზრდილი. (სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019).

ინდუსტრიული მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებები რეგიონალურ ჭრილში მოცემულია ცხრილში 3.1.1. მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ გაფორმებული ხელშეკრულებების, ასევე ინვესტიციის მოცულობის და

დასაქმებულთა ოდენობის ძირითადი ნაწილი (50% ზე მეტი) თბილისზე მოდის. ეს მდგომარეობა შეიძლება ვერ პასუხობდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებულ იმ გამოწვევას, რომელიც დედაქალაქსა და რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას.

ცხრილი 3.1.1. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ ინდუსტრიული მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებები, სესხის მოცულობა და ინვესტიცია, 2019 წ.

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	სესხის მოცულობა (ათასი ლარი)	ინვესტიცია (ათასი ლარი)	დასაქმება
თბილისი	53	50,450	87,055	909
ქვემო ქართლი	10	21,627	28,785	372
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	4,285	8,489	72
იმერეთი	3	1,061	1,196	15
კახეთი	3	2,078	2,625	38
მცხეთა-მთიანეთი	3	7,015	8,419	87
შიდა ქართლი	3	4,148	4,182	25
აჭარა	2	1,341	1,871	22
სამცხე-ჯავახეთი	2	1,000	1,230	35
გურია	1	3,435	4,016	60
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთ	1	521	521	50
სულ	85	96,961	148,389	1,685

წყარო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის წლიური ანგარიში, გვ.7 -

<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf>

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უფრო მეტი აქცენტი რეგიონალურ განვითარებაზე გაკეთდეს და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უფრო რეგიონალური პროექტი დაფინანსდეს, რაც თავის მხრის ქვეყნისთვის უფრო მაღალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს.

ანალოგიურ სურათს იმეორებს 2019 წელს სააგენტოს მიერ საწარმოო პროექტებზე ფაქტიურად გაცემული თანხების მონაცემები (ცხრილი 3.1.2.). როგორც მოცემული ცხრილიდან ვხედავთ 9.8 მლნ ლარი, რაც საწარმოო პროექტებზე გაცემული თანხების 65.2%-ია თბილისზე მოდის, ეს კი კიდევ ერთხელ ამყარებს თვალსაზრისს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში რეგიონალური მიმართულების მეტი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ.

ცხრილი 3.1.2. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის მიერ საწარმო პროექტებზე გაცემული თანხა და ბენეფიციარების რაოდენობა რეგიონალურ ჭრილში, 2019 წ.

რეგიონი	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლარი)	% წილი
თბილისი	120	9,829	65.20%
ქვემო ქართლი	12	1,148	7.61%
მცხეთა-მთიანეთი	10	1,036	6.87%
იმერეთი	13	871	5.78%
გურია	6	815	5.41%
აჭარა	5	437	2.90%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	419	2.78%
სამცხე-ჯავახეთი	4	298	1.98%
შიდა ქართლი	3	189	1.25%
კახეთი	2	33	0.22%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	2	0.01%
სულ	180	15,076	100.00%

წყარო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის წლიური ანგარიში, გვ.9 -

<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf>

2016 წლიდან პროგრამას დაემატა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულებაც. აღნიშნული მიმართულების მიზანი არის სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამა მოიცავს ორ, კრედიტის და საერთაშორისო ბრენდის, მიმართულებას. კრედიტის მიმართულება გულისხმობს ბანკის მიერ დამტკიცებული კრედიტის თანადაფინანსებას, ხოლო საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს საერთაშორისო ბრენდის გამოყენებასთან დაკავშირებული დარიცხული ფრანჩიზის გადასახადის ანაზღაურებას. ორივე მიმართულების მოქმედების ვადაა 24 თვე.

როგორც სააგენტოს მიერ 2019 წლის ანგარიშშია მოცემული, აღნიშნულ წელს 2018 წელთან შედარებით სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 48%-ით გაიზარდა. სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა 38%-ით გაიზარდა და შეადგინა 140,176 ათასი ლარი. ხოლო დამტკიცებული სესხის მოცულობა 38%-ით გაიზარდა და შეადგინა 693,866 ათასი

ლარი, რაც პროგრამის ეფექტიანობაზე მიუთითებს. (სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019).

სააგენტო ასევე 2016 წლიდან ახორციელებს პროგრამას „გადაიღე საქართველოში“. პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ სუბიექტებს საშუალებას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.

აღნიშნული მიმართულებების გარდა პროგრამა ახდენს ექსპორტის მიმართულებით, საექსპორტო პროდუქტის პოპულარიზაციისთვის, სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის მიღებას და ღონისძიებების ორგანიზებას. ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რეინვესტირების წახალისებას და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს საჭირო ინფორმაციის მოძიებაში. (სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019).

როგორც ვხედავთ პროგრამა აწარმოე საქართველოში არაერთი მიმართულებით ფუნქციონირებს და წლების განმავლობაში მისი პროგრამები ფართოვდებოდა და იხვეწებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოში ერთ-ერთ წარმატებული პროგრამაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობის აქტიურ და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს შექმნილი აქვს ექსპორტის ხელშეწყობის პორტალი - ივაჭრე საქართველოსთან: <http://tradewithgeorgia.com/>. აღნიშნული პორტალი მეორე თავში ნახსენები ესტონეთის სავაჭრო პორტალის მსგავსია და საქართველოსთან ვაჭრობის ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს მიიღოს საჭირო ინფორმაცია ექსპორტიორ კომპანიებთან, საექსპორტო პროდუქციასთან, ექსპორტისთვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებით. ჩვენ მეორე თავში ასევე ვახსენეთ ესტონური საინვესტიციო პორტალი. აღსანიშნავია რომ საქართველოშიც ფუნქციონირებს აღნიშნული შინაარსის საიტი www.investingeorgia.org. აღნიშნული პორტალი დაინტერესებულ პირებს აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის,

სამუშაო ძალის, საგადასახადო სისტემის და ბევრი სხვა მიმართულებით. პორტალზე ასევე არის ნაჩვენები როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსებში საქართველოს მოწინავე პოზიციები და განვლილი პროგრესი, ასევე ის საშუალებას იძლევა მოხდეს საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარება სხვადასხვა ინდექსებზე დაყრდნობით. პორტალზე მოცემულია ის დარგები თუ მიმართულებებიც, რომლებიც შეიძლება მიმზიდველი იყოს ქვეყანაში ინვესტიციით დაინტერესებული მხარისათვის.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ასევე რომ ქვეყანაში სათანადო ყურადღება ექცევა ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტოს მიზნები არის: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა და მისი განვითარების კოორდინაცია; ინოვაციური პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; მომსახურებების და პროგრამების ფორმირება, რომლებიც ხელს შეუწყობს ინოვაციური ბიზნესის განვითარებას და სხვა.

[\(https://gita.gov.ge/\)](https://gita.gov.ge/)

დაარსების დღიდან საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ განახორციელა არაერთი პროექტი, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას. სააგენტოს განხორციელებული პროექტებია:

- „**ბიზნეს ინკუბატორი**“ - პროგრამა არის 6 თვიანი და დაინტერესებულ პირებს, შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა შეღავათიანი პირობებით გაიარონ მათი ინოვაციური იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი;
- „**სტარტაპ მეგობრული**“ - პროგრამის მიზანი არის ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- „**სტარტაპ ბითსი**“ - პროექტი გულისხმობს სხვადასხვა წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრებს და მათი მხრიდან ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პროცესს;
- „**IT ტრენინგები**“ - მიზნად ისახავს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული კადრების გადამზადებას;

ეს არასრული ჩამონათვალია იმ პროექტებისა რომლების სააგენტომ განახორციელა და ახორციელებს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი საქმიანობა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში ინოვაციური და ტექნოლოგიური მიმართულების განვითარებას ყურადღება ექცევა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში ასევე ფუნქციონირებს ფაბლაბები; ტექნოლოგიური და ინოვაციური ცენტრები რაც აუცილებელი ინფრასტრუქტურა არის, რომ ინოვაციური იდეის განხორციელების მსურველს შეუქმნას შესაბამისი გარემო საკუთარი იდეის პრაქტიკაში რეალიზებისათვის. ყველა ეს მიმართულება და ღონისძიება კი თავის მხრივ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ინოვაციური დამწყები ბიზნესების განვითარების ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანია ვახსენოთ პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ (<http://startup.gov.ge>). აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ეკონომიკის მიმართულების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფუძნდა. პროგრამა გულისხმობს სხვადასხვა ბიზნეს იდეების დაფინანსებას ინოვაციური ან მაღალტექნოლოგიური მიმართულებით. ინოვაციური მიმართულება მოიაზრებს ისეთ იდეას, რომელიც გულისხმობს: „ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების დანერგვას“, ხოლო მაღალტექნოლოგიურ იდეებად ითვლება შემდეგი იდეები: „ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიონფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები, ტელეკომუნიკაცია“.

როგორც ვხედავთ საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობისთვის არაერთი პროგრამა ფუნქციონირებს, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. გამომდინარე იქედან, რომ ზემოთ განხილული პროგრამებიდან ბევრი საქართველოში უახლოეს წარსულში ამოქმედდა, ძნელია შევაფასოთ და ვიმსჯელოთ თუ როგორი ზეგავლენა აქვთ მათ ეკონომიკაზე. თუმცა

ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული პროექტები და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია ნამდვილად სწორია და სხვა თანამდევ პროგრამების და რეფორმების მხარდაჭერით სათანადო შედეგს ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებს.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვიხილოთ ის პროგრამებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით ხორციელდება. ამ მიმართულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს არაერთი პროგრამა, რომელთა მართვასაც ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (<http://www.rda.gov.ge/>) ახორციელებს:

- **„შელავათიანი აგროკრედიტი“** - „პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით“;
- **„დანერგე მომავალი“** - „პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი“;
- **„აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა“** - „პროგრამის ფარგლებში დიზელის საწვავის შელავათიან ფასად შეძენა შეუძლიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.25-დან 100 ჰექტარი ფართობის ნაკვეთის მფლობელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს“;
- **„მოსავლის აღების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“** - „პროგრამის მიზანია მოსავლის ამღებ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე

ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ტექნიკის მომსახურებაზე თანადაფინანსების განხორციელებას“;

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“ - „პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“;
- „აგროდაზღვევა“ - „პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვეო ბაზრის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას“.

ზემოთაღნიშნული პროგრამების გარდა დღეისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასევე ახორციელებს არაერთ უფრო კონკრეტული მიმართულების განვითარების ხელშემწყობ პროგრამას, როგორცაა: „ხორბლის ფქვილის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა“, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“, „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა“ თუ სხვა.

ბიზნეს სექტორის მხარდაჭერაზე და სხვადასხვა ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებაზე ამახვილებს ასევე ყურადღებას ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველოს მოწინავე პოზიციები. 2020 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ საქართველო შეფასებულ 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილს იკავებს, რაც აღნიშნული მიმართულებით არსებული პროგრესის დადასტურებაა. (World Bank Group, Doing Business 2020)

როგორც ვხედათ ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად დღეს საქართველოში ფუნქციონირებს არაერთი პროგრამა. ზემოთ განხილული მაგალითები რათქმუნდა არასრული ჩამონათვალია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პროგრამების, თუმცა წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებზე.

თუ რამდენად ეფექტიანი ეს პროგრამები პრაქტიკაში და რამდენად იწვევს ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ამას უკვე მომდევნო ქვეთავში შევაფასებთ. განვიხილავთ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე გავაანალიზებთ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკურ ზრდის შესაფასებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს, რაც დაგვეხმარება გავავლოთ პარალელები ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და რესპონდენტთა შეფასებებს შორის და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები ნაშრომის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად.

3.2. საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი


მოცემულ ქვეთავში ჩვენი მიზანია ვნახოთ თუ რამდენად შედეგის მომტანი არის წინა პარაგრაფში განხილული პროგრამები და რამდენად ჰპოვებენ ისინი ასახვას ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში. ასევე წარმოვადგენთ ჩატარებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასების კვლევის შედეგებს, რაც დაგვეხმარება დავინახოთ, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა იმ საკითხებს რომლებიც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი პირველ რიგში უნდა დავიწყოთ მთლიანი სამამულო პროდუქტის განხილვით. როგორც ვთქვით ამ უკანასკნელის კარგი მაჩვენებელი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დიაგრამაზე 3.2.1. მოცემულია მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილების დინამიკა 2010-2019 წწ-ში, ასევე მისი რეალური ზრდის მაჩვენებელი. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ 2019 წელს საქართველოს მთლიანმა სამამულო პროდუქტმა მიმდინარე ფასებში 49.3 მლრ ლარს მიაღწია. 2010 წლის შემდეგ მსკ-ს რეალური ზრდა საშუალოდ 4.7%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი ზრდა 2019 წელს დაფიქსირდა - 5%. მიუხედავად წლების განმავლობაში

ზრდის განსხვავებული დონისა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკა მეტნაკლებად სტაბილურად იზრდებოდა და ყველაზე ცუდ შემთხვევაში ზრდის მაჩვენებელი 2.9%-ზე ქვემოთ არ ჩამოსულა.


დიაგრამა 3.2.1. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა, 2010-2019 წწ. (მლრ. ლარი)



წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/34748/mSp-mimdinare-fasebSi.xlsx>, <https://geostat.ge/media/34764/mSp-mudmiv-fasebSi.xlsx>

მნიშვნელოვანია ასევე მოვიყვანოთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილების დინამიკა. (დიაგრამა 3.2.2.).

დიაგრამა 3.2.2. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, 2010-2019 წწ. (2015 წლის ფასებში)




წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/34764/mSp-mudmiv-fasebSi.xlsx>

როგორც ვხედავთ ლარში გამოსახული მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ასევე სტაბილურად იზრდება, თუმცა 2013 წლის შემდეგ დაწყებული ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან გამომდინარე, დოლარში გამოხატული აღნიშნული მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. აქედან გამომდინარე საქართველოს მსყიდველობითუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე უარესდება. იმპორტდამოკიდებული ქვეყნის შემთხვევაში ეს შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი იყოს იმ ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რომელთაც ნედლეული უცხოეთიდან შემოაქვთ.

მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ ნაწილდება მთლიანი სამამულო პროდუქტი რეგიონების მიხედვით და მოსახლეობის ერთ სულზე დაანგარიშებით რამდენად არის ეს მაჩვენებელი თანაბარი ყველასთვის. დიაგრამაზე 3.2.3. მოცემულია მთლიანი სამამულო პროდუქტის გადანაწილება რეგიონების მიხედვით 2019 წელს.

დიაგრამა 3.2.3. საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტის გადანაწილება მიმდინარე ფასებში რეგიონების მიხედვით, 2019 წ.



წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/42452/regionuli-mshp.xlsx>

როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ვხედავთ, ქვეყანაში შექმნილი მთლიანი სამამულო პროდუქტის 51% მოდის დედაქალაქზე, ხოლო დანარჩენი თითოეული რეგიონების წილი 10%-ს არ აღემატება. ეს კი თავისმხრივ ეკონომიკური ზრდის არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს. რატომაუნდა აღსანიშნავია ისიც, რომ

თბილისი მოსახლეობის რიცხოვნობითაც გამოირჩევა. თუმცა თუ ვნახავთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან სამამულო პროდუქტს რეგიონალურ ჭრილში, დედაქალაქის აშკარად გამორჩეული მაღალი მაჩვენებელი და რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობა ამ მხრივაც თვალშისაცემი იქნება. (ცხრილი 3.2.1.).

ცხრილი 3.2.1. საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე რეგიონების მიხედვით, 2019 წ.

რეგიონი	მსპ მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა (ათასი კაცი)	მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)
თბილისი	22,077.4	1,177.9	18,742.2
აჭარის ა.რ.	4,377.1	350.5	12,489.6
მცხეთა-მთიანეთი	1,040.7	93.5	11,132.1
სამცხე-ჯავახეთი	1,422.5	153.1	9,289.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	261.9	29.4	8,910.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,466.1	313.7	7,862.5
ქვემო ქართლი	3,227.9	433.7	7,442.7
იმერეთი	3,654.7	492.2	7,425.4
კახეთი	2,187.6	311.3	7,028.5
გურია	723.6	108.7	6,654.1
შიდა ქართლი	1,698.3	256.2	6,628.6

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/42452/regionuli-mshp.xlsx>, <https://geostat.ge/media/44897/04---saSualo-wliuri-mosaxleoba-TviTmarTveli-erTeulebi.xlsx>


როგორც ცხრილიდან 3.2.1 ვხედავთ თბილისში მცხოვრებთათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტი შეადგენს 18,742.2 ლარს და ის საგრძნობლად აღემატება მეორე ადგილზე მყოფ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჩვენებელს (12,489.6 ლარი). თბილისის გარდა დანარჩენი რეგიონებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8,486.3 ლარს შეადგენს, რაც 55%-ით ნაკლებია დედაქალაქის მაჩვენებელზე. საწინააღმდეგო სურათი გვაქვს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის კუთხით, რეგიონებში 116%-ით მეტი ადამიანი ცხოვრობს ვიდრე თბილისში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის განაწილების რეალური სურათი ოფიციალური სტატისტიკისაგან განსხვავებული იქნება და დედაქალაქში უფრო მეტი ადამიანი იცხოვრებს, თუმცა აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური შესაძლებლობები საქართველოს

მოსახლეობისთვის რეგიონალურ ჭრილში საკმაოდ უთანასწოროა. აქედან გამომდინარე რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ.

უთანაბრობის გასაზომად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჯინის კოეფიციენტი. დიაგრამაზე 3.2.4. მოცემული აღნიშნული მაჩვენებლის დინამიკა მთლიანი შემოსავლების და მთლიანი ხარჯების მიხედვით 2006-2019 წწ-ში.

მოცემული დიაგრამიდან ვხედავთ, რომ მიუხედავად 2011 წლის შემდეგ არსებული მცირე პროგრესისა, კოეფიციენტი მაინც მაღალ ნიშნულზე რჩება, რაც ქვეყანაში არსებულ უთანასწორობაზე მიუთითებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უთანასწორობა დღეს ქვეყნის წინაშე არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ის ეკონომიკური ზრდა, რაც როგორც ზემოთ აღნიშნეთ ქვეყანას აქვს, არათანაბრად ნაწილდება ქვეყნის მოსახლეობაზე.

დიაგრამა 3.2.4. საქართველოში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების და მთლიანი ხარჯების მიხედვით, 2006-2019 წწ.




წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/31631/ginis-koeficienti.xls>

მნიშვნელოვანია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის დინამიკის ანალიზი, რომელიც მოცემულია დიაგრამაზე 3.2.5. როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს 2010 წლის შემდეგ აღნიშნული მაჩვენებელი

გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისთავად მისასაღმებელი ფაქტია. მიუხედავად დადებითი ტენდენციისა 2019 წლისთვის მოსახლეობის 19.5% მაინც რჩება სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ, რაც ქვეყანაში არსებულ სიღარიბეზე და აღნიშნული მიმართულების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს.

დიაგრამა 3.2.5. საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2010-2019 წწ. (%)



* სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი.

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/31629/absoluturi-sigaribe.xls>


აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლად ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია და შეადგენს 23.7%-ს, ეს უკანასკნელი კი უფრო ეფექტიანი რეგიონალური პოლიტიკის გატარების საჭიროებაზე მიგვითითებს. მოცემული დიაგრამიდან ნათლად ვხედავთ, რომ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი ამოცანაა.

რეგიონალური პოლიტიკის მნიშვნელობაზე, სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობას შორის არსებულ უთანაბრობაზე მიგვითითებს ასევე მოსახლეობის ერთ სულზე არსებული საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება ქალაქისა და სოფლის ჭრილში. (იხ. დიაგრამა 3.2.6.).

აღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, რომ ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი 2019 წელს 20%-ით აღემატება სოფლად მცხოვრები

მოსახლეობის ანალოგიურ შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის შემდეგ აღნიშნული მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. (2010 წელს ანალოგიური თანაფარდობა 33% იყო).

დიაგრამა 3.2.6. საქართველოში საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილში, 2010-2019 წწ.



შენიშვნა: მოიცავს ფულად და არაფულად სახსრებს

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/31545/sashualo-Tviuri-shemosavlebis-ganawileba-erT-sulze-galaqisa-da-soflis-mixedviT.xls>


მიუხედავად ამისა აქტიური რეგიონალური და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკა, როგორც ვხედავთ, კვლავ ქვეყნის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც ქალაქისთვის ასევე სოფლისთვის, მიუხედავად ზრდის დინამიკისა, მაინც დაბალ ნიშნულზეა და ნამდვილად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსახლეობის მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსახლეობის მხრიდან ეკონომიკურ საქმიანობაში ინვესტირების განხორციელებაზე, რაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

როგორც ზემოთ განხილული ანალიზიდან გამოიკვეთა საქართველოს სტაბილური ეკონომიკური ზრდა აქვს, თუმცა არასახარბიელო ნიშნულზეა ქვეყანაში არსებული უთანასწორობის და სიღარიბის მაჩვენებლები. გამოიკვეთა ასევე რეგიონებს შორის არსებული განსხვავებები სხვადასხვა ჭრილში, ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის არსებული ეკონომიკური ზრდა არ არის ინკლუზიური და თანაბრად არ აისახება ქვეყნის მთლიან მოსახლეობაზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად მნიშვნელოვანია გავანალიზოთ შრომის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში. თუ გადავხედავთ უმუშევრობის დონეს 2010-2019 წწ-ში ვნახავთ, რომ ის შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2019 წლისთვის 11.6%-მდე არის შემცირებული, მაშინ როდესაც 2010 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 17.4%-ს შეადგენდა და 2010 წლის შემდეგ სტაბილურად მცირდებოდა. (დიაგრამა 3.2.7.).

მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, უფრო სიღრმისეულად თუ გავეცნობით მონაცემებს დავინახავთ, რომ უმუშევრობის დონის შემცირების პარალელურად დასაქმებულთა აბსოლუტური რიცხოვნობა 2015 წლის შემდეგ არათუ გაზრდილი, პირიქით შემცირებულია. შედეგად უმუშევრობის დონის შემცირება უმუშევრების დასაქმებულთა კატეგორიაში გადასვლით არ არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევად რჩება, რაც აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვს.

დიაგრამა 3.2.7. საქართველოს შრომის ბაზრის დინამიკა, 2010-2019 წწ.



წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/31265/01-ekonomikuri-aqtivoba.xlsx>


თაობათაშორისი თანასწორობის ანალიზისთვის, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, საჭირო სურათი შეიძლება დავინახოთ სახელმწიფო ვალის თანაფარდობით მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში. დიაგრამაზე 3.2.8 მოცემულია სახელმწიფო ვალის დინამიკა 2013-2019 წლებში.

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ სახელმწიფო ვალი 2013 წლის შემდეგ იზრდება. თუმცა განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ იზრდება ასევე სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში.

გამომდინარე იქედან, რომ ვალი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ეს ნიშნავს, რომ მომავალი თაობებისთვის ერთის მხრივ შეზღუდული იქნება საჭიროების შემთხვევაში ვალის აღება, ხოლო მეორეს მხრივ მათი გადასახდელი იქნება მიმდინარე დაგროვებული დავალიანება. ეს სიტუაცია რათქმაუნდა მომავალ თაობებს ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს და არღვევს თაობათაშორისი თანასწორობის პრინციპს.

მოცემული მაჩვენებლების ანალიზიც ასევე ამყარებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ინკლუზიური არ არის, რადგან არ ზრდის დასაქმებულთა რიცხოვნობას და საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს თაობათაშორისი თანასწორობისთვისაც.

დიაგრამა 3.2.8. საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა, 2013-2019 წწ.



შენიშვნა: „სახელმწიფო საშინაო ვალის მოცულობა არ მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ვინაიდან ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების მოცულობა დაუზუსტებელია“.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,

https://www.mof.ge/images/File/2019%E2%80%93biuletenebi/N13_GE.pdf

საქსტატი, <https://geostat.ge/media/34748/mSp-mimdinare-fasebSi.xlsx>

როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება თუ პირველ თავში მოცემული რეკომენდაციები გვიჩვენებს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური

ზრდისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება. თუ გადავხედავთ საქართველოს საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშს, დავინახავთ რომ ის წლების განმავლობაში გაუმჯობესების მიუხედავად მაინც უარყოფითია. გაუმჯობესების განმაპირობებელი ძირითადად მომსახურების და მეორადი შემოსავლების ანგარიშია, მაშინ როდესაც საქონლის ანგარიშში წლების განმავლობაში უარყოფითია და მკვეთრი ცვლილებით არ გამოირჩევა, რაც განაპირობებს ჯამში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. (ცხრილი 3.2.2.).

ცხრილი 3.2.2. საქართველოს საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიში, 2015-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019
მიმდინარე ანგარიში	-1,767.0	-1,885.9	-1,306.0	-1,191.7	-960.4
კრედიტი	8,174.4	8,324.7	10,087.2	11,681.2	12,456.4
დებეტი	9,941.4	10,210.6	11,393.1	12,872.9	13,416.8
საქონელი და მომსახურება	-2,547.8	-2,305.5	-1,784.9	-1,872.0	-1,560.6
კრედიტი	6,108.2	6,177.7	7,560.0	8,896.6	9,544.8
დებეტი	8,656.0	8,483.3	9,344.9	10,768.6	11,105.4
საქონელი	-3,951.9	-3,882.5	-3,809.2	-4,115.8	-3,736.4
კრედიტი	3,021.0	2,864.7	3,569.9	4,406.5	4,944.3
დებეტი	6,973.0	6,747.2	7,379.1	8,522.3	8,680.7
მომსახურება	1,404.1	1,577.0	2,024.3	2,243.8	2,175.8
კრედიტი	3,087.1	3,313.0	3,990.1	4,490.1	4,600.5
დებეტი	1,683.0	1,736.0	1,965.8	2,246.3	2,424.7
პირველადი შემოსავალი	-338.8	-701.4	-794.2	-683.5	-774.8
კრედიტი	844.5	914.0	1,129.8	1,281.8	1,372.6
დებეტი	1,183.3	1,615.4	1,924.0	1,965.3	2,147.5
მეორადი შემოსავალი	1,119.6	1,121.1	1,273.1	1,363.8	1,375.0
კრედიტი	1,221.7	1,233.0	1,397.3	1,502.7	1,539.0
დებეტი	102.1	111.9	124.3	139.0	164.0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://nbq.gov.ge/publications/balance-of-payments>

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკა ძირითადად მომსახურების ექსპორტზეა დამოკიდებული და რეალური სექტორი საჭირო ტემპებით ვერ ვითარდება. ქვეყანა ასევე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმპორტზე, რაც ქვეყნის შიგნით მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნას ვერ უზრუნველყოფს. მსგავსი სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყანა არამდგრადი შეიძლება იყო ისეთი კრიზისების მიმართ, როგორცაა კორონავირუსისგან გამოწვეული კრიზისი. პროფესორი ვლადიმერ პაპავა თავის

პუბლიკაციაში „საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“ აღნიშნავდა, რომ „საქართველო წლებია დამოკიდებულია ტურისტულ სექტორზე, ის იზრდება თუმცა არ ვითარდება, რისთვისაც აუცილებელია სამთავრობო ხედვაში აქცენტი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე გაკეთდეს“. (პაპავა, ვ., 2018).

დეტალური ანალიზისთვის განვიხილოთ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები. როგორც ცხრილიდან 3.2.3. ვხედავთ ქვეყნის სავაჭრო ბალანსი 2015 წლის შემდეგ ყოველწლიურად უარესდებოდა 2019 წლამდე. მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება 2019 წელს. სამწუხაროდ დღეს ქვეყანას არ შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნის შიდა წარმოებით დაკმაყოფილება, რასაც რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. პირველი და ყველაზე მთავარი უცხოური იმპორტული პროდუქციის სიიაფეა. იმპორტულ დაბალ ფასს ადგილობრივი წარმოება კონკურენციას ვერ უწევს, რაც საბოლოო ჯამში ამ უკანასკნელის კიდევ უფრო შემცირებისკენ მივყავართ იმპორტის გაზრდის სასარგებლოდ. ქვეყანას უჭირს ასევე კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს და განავითაროს ექსპორტი. აქედან გამომდინარე სახელმწიფოს მხარდამჭერ პოლიტიკას აღნიშნული მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ცხრილი 3.2.3. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2015-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019
საქონლის ექსპორტი	2,204.2	2,117.1	2,745.7	3,379.7	3,798.4
საქონლის იმპორტი	7,304.2	7,341.9	8,056.6	9,361.6	9,516.9
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9,508.4	9,459.0	10,802.4	12,741.3	13,315.4
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5,100.0	-5,224.7	-5,310.9	-5,981.8	-5,718.5

ადგილობრივი ექსპორტი	1,602.5	1,620.4	2,007.8	2,226.2	2,324.5
----------------------	---------	---------	---------	---------	---------

წყარო: საქსტატი, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წელს ექსპორტის 39% რეექსპორტზე მოდიოდა. ხოლო ადგილობრივი ექსპორტის წილი 61%-ს შეადგენდა. შედარებისათვის 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 27% და 73% იყო. როგორც ვხედავთ, ექსპორტში ადგილობრივი ექსპორტის წილი შემცირებულია, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის სტაბილური

განვითარებისთვის ადგილობრივი წარმოების და ადგილობრივი ექსპორტის განვითარება საკვანძოდ მნიშვნელოვანია.

თუ გადავხედავთ საქართველოდან ექსპორტის მონაცემებს ქვეყნების მიხედვით, ვნახავთ რომ 2019 წლის მონაცემებით პირველა ადგილს იკავებს აზერბაიჯანი, მეორეს - რუსეთი, ხოლო მესამეს - სომხეთი. (ცხრილი 3.2.4.). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ აზერბაიჯანთან და სომხეთთან ექსპორტი 2010 წელთან შედარებით შესაბამისად 2-ჯერ და 2.6-ჯერ არის გაზრდილი, რუსეთთან ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი 14.3-ჯერ გაიზარდა. 2019 წლის მონაცემებით რუსეთზე მოდის საქართველოდან ექსპორტის 13.1%, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წელს 7.4%, ხოლო 2010-ში - 2.1% იყო. რუსეთთან არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ვაჭრობის მხრივ მსგავსი დამოკიდებული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს. მითუმეტეს, რომ არაერთხელ გვახსოვს საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე რუსეთის მხრიდან იმპორტი სხვადასხვა ამკრძალავი ღონისძიებების გატარება, რაც ყოველთვის პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან პირობად მიგვაჩნია, რათა მოულოდნელმა გარე არაეკონომიკურმა ფაქტორმა ეკონომიკის განვითარება არ შეაფერხოს, ანდა მსგავსი შეფერხების ეფექტი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

ცხრილი 3.2.4. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აზერბაიჯანი	256.2	425.9	626.9	709.9	544.4	240.9	152.7	274.2	507.6	508.7
რუსეთი	34.7	36.6	46.8	190.7	274.8	162.9	206.7	397.9	437.7	497.0
სომხეთი	166.8	222.8	258.4	315.5	288.1	180.2	152.7	213.6	286.3	432.6
ბულგარეთი	66.8	93.7	69.7	150.8	167.1	214.2	160.8	186.9	259.2	284.1
უკრაინა	110.3	141.2	167.0	192.8	140.0	59.9	73.9	127.4	179.5	250.9
ჩინეთი	27.1	29.0	25.7	34.0	90.4	125.8	174.3	201.7	199.1	223.1
თურქეთი	216.8	226.4	140.1	184.0	239.3	186.8	173.5	216.7	241.4	202.3
რუმინეთი	29.7	19.8	3.5	5.0	4.3	27.0	36.7	75.3	57.8	178.2
აშშ	187.2	143.5	226.2	137.6	207.4	104.2	68.3	121.8	159.9	132.3
უზბეკეთი	8.2	12.8	16.2	22.7	54.8	98.0	71.3	64.2	80.5	89.2
სხვა	573.6	834.9	796.1	967.4	850.5	804.4	846.2	866.3	970.6	1,000.1
სულ	1,677.3	2,186.4	2,376.6	2,910.3	2,861.0	2,204.2	2,117.1	2,745.7	3,379.7	3,798.4

წყარო: საქსტატი, https://geostat.ge/media/35524/eqsporti_qveynebi_1995-2020.xlsx

იმპორტის მხრივაც რუსეთი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია თურქეთის შემდეგ. 2010 წელთან შედარებით ასევე ზრდის საკმაოდ მაღალი 237%-იანი მაჩვენებელი გვაქვს რუსეთთან მიმართებაში, რაც აღნიშნულ ქვეყანაზე საგრძნობ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. დადებითი აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აშშ-თან ვაჭრობა (2010 წელთან შედარებით 275%). (ცხრილი 3.2.5.). გამომდინარე იქედან, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მთავარი მოკავშირეა, ვაჭრობის გაღრმავება ქვეყნის დასავლური კურსის განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის მნიშვნელოვანად მიგვაჩნია აქცენტის გაკეთება დასავლელ პარტნიორებთან ვაჭრობის გაღრმავების კუთხით და რუსეთზე არსებული მაღალი დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება, რათა ამ უკანასკნელთან სიტუაციის შესაძლო გართულებამ ქვეყნის ეკონომიკაზე მძიმე უარყოფითი ზემოქმედება ვერ მოახდინოს.

ცხრილი 3.2.5. საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
თურქეთი	885.9	1,278.7	1,470.2	1,410.2	1,728.8	1,327.5	1,354.0	1,373.9	1,474.3	1,616.9
რუსეთი	289.7	388.0	476.8	583.9	573.3	625.5	680.6	789.6	934.7	977.0
ჩინეთი	335.2	527.7	614.4	612.2	733.5	587.3	547.5	732.6	833.9	858.6
აშშ	181.0	245.9	213.5	254.3	287.2	254.1	230.7	331.0	501.0	678.7
აზერბაიჯანი	484.8	636.3	703.8	655.9	640.3	538.6	492.6	567.1	592.8	558.7
გერმანია	334.7	481.4	540.6	449.4	466.1	432.4	432.1	454.6	467.4	501.7
უკრაინა	551.3	691.9	587.9	601.5	548.6	455.6	418.0	447.2	514.9	415.6
სომხეთი	45.8	58.4	70.8	182.3	210.1	175.1	216.8	281.3	335.4	267.7
იაპონია	170.4	174.1	312.1	319.9	368.2	212.2	200.3	158.6	243.6	257.3
იტალია	136.7	184.8	271.7	220.7	221.9	197.7	262.8	218.2	232.1	228.3
სხვა	1,820.4	2,405.4	2,794.6	2,732.2	2,823.8	2,498.3	2,506.5	2,702.5	3,231.5	3,156.3
სულ	5,236.0	7,072.3	8,056.4	8,022.5	8,601.8	7,304.2	7,341.9	8,056.6	9,361.6	9,516.9

წყარო: საქსტატი, https://geostat.ge/media/35546/importi_qveynebi-1995-2020.xlsx

იმისათვის, რომ ვნახოთ 2019 წლისთვის საქართველოს TOP 5 სავაჭრო პარტნიორი, გავაერთიანოთ ზემოთ წარმოდგენილი, საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 3.2.6.

ცხრილი 3.2.6. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ქვეყნების მიხედვით, 2010-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
თურქეთი	1,102.7	1,505.1	1,610.4	1,594.2	1,968.1	1,514.3	1,527.4	1,590.5	1,715.7	1,819.3
რუსეთი	324.4	424.6	523.6	774.6	848.1	788.4	887.3	1,187.4	1,372.5	1,474.0
ჩინეთი	362.2	556.7	640.1	646.2	823.9	713.1	721.8	934.3	1,033.0	1,081.7
აზერბაიჯანი	741.1	1,062.2	1,330.7	1,365.8	1,184.8	779.5	645.3	841.3	1,100.4	1,067.4
აშშ	368.2	389.3	439.7	391.8	494.5	358.3	299.0	452.8	660.9	811.0
სხვა	4,014.7	5,320.9	5,888.5	6,160.2	6,143.5	5,354.8	5,378.2	5,796.0	6,858.8	7,062.0
სულ	6,913.3	9,258.7	10,433.0	10,932.9	11,462.9	9,508.4	9,459.0	10,802.4	12,741.3	13,315.4

როგორც ცხრილიდან ვხედავთ პირველ ორ სავაჭრო პარტნიორზე, თურქეთზე და რუსეთზე, მოდის ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 25%, რაც საქართველოს აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ თუ არაეკონომიკურ პროცესებზე საგრძნობად მგრძნობიარეს და დამოკიდებულ ხდის, რაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს და სახელმწიფოს მხრიდან საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად მიგვაჩნია.

ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და მდგრადობის მოსაპოვებლად საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება რაც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლებას და ასევე მოახდენს ბაზრების დივერსიფიკაციას იმგვარად, რომ ქვეყანა გარე შოკებს ადვილად გაუმკლავდეს.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პრობლემაზე არაერთი ქართველი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას. „ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ერთის მხრივ ექსპორტის წახალისება, ხოლო მეორეს მხრივ იმპორტჩანაცვლების სტრატეგიების ფორმირება. ქვეყნისთვის კარგი შედეგის მომტანი იქნება ექსპორტის წახალისებისა და იმპორტჩანაცვლების სტრატეგიების ერთობლივად შემუშავება, რაც საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ერთიანი საგარეო ვაჭრობის სტრატეგია“. (ღაღანიძე, გ., რამიშვილი, ბ., 2018).

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდისა არ შეინიშნება ინკლუზიურობა, რადგან

სახეზე არ გვაქვს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო სხვა დადებითი მაჩვენებლები. სტატისტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ როგორ აფასებს საქართველოს მოსახლეობა იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. შედეგად ჩვენ შევძლებთ დავინახოთ თუ რამდენად ინკლუზიურია საქართველოს ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის აღქმით. მიღებული კვლების შედეგები წარმოადგენს მხოლოდ რესპონდენტთა აღქმას და ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალობისგან. მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის მიერ რეალობის არასწორი აღქმა ასევე საფრთხის შემცველი არის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. ეკონომიკური სუბიექტი გარკვეული აქტივობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მისი დამოკიდებულების შესაბამისად თუ რამდენად სამართლიანად და ხელსაყრელად აღიქვამს ის მისი აქტივობისთვის გარემოს, შედეგად რეალობის სწორ აღმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

კვლევაში წარმოდგენილი შეკითხვები ეფუძნება პირველ თავში მოცემულ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ ინდიკატორებს. შემოთავაზებული ინდიკატორებიდან ჩვენ კითხვარისთვის ავარჩიეთ ის მაჩვენებლები, რომლებიც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტურ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას. წარმოდგენილი კითხვარი შედგება 5 ნაწილისგან და აფასებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს სხვადასხვა მიმართულებით. I ნაწილი მიმართულია რესპონდენტთა შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად. II ნაწილი აფასებს რესპონდენტთა შემოსავლების და ხარჯების მდგომარეობას. III ნაწილი ეთმობა ცხოვრების დონის შეფასებას. IV ნაწილში მოცემულია კმაყოფილების დონის კვლევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის თანმხვედრ ფაქტორებთან მიმართებაში, ხოლო V ნაწილი შეეხება ქვეყანაში არსებული საცხოვრებელი გარემოს შეფასებას. (დეტალური კითხვარი მოცემულია დანართში 4).

იმისათვის, რომ მოვახდინოთ მიღებული შედეგების სისტემატიზაცია, თითოეულ კითხვაზე მიღებულ პასუხებს შევაფასებთ 5 ბალიანი სისტემით, სადაც 5 აღნიშნავს მაღალ ინკლუზიურ ზრდას, ხოლო 1 დაბალ ინკლუზიურ ზრდას.

შეფასება შეეხება II-V ნაწილებში მოცემულ შეკითხვებს (V ნაწილის მე-8 შეკითხვის გამოკლებით). პასუხები, რომლებზეც გამოკითხულთა 70%-ზე მეტი პასუხობს დადებითად შეფასდება 5 ქულით. 50-70%-ის ფარგლებში დადებითი პასუხი შეფასდება 4 ქულით. თუ რესპოდენტთა უმრავლესობა ნეიტრალურად არის განწყობილი პასუხი შეფასდება 3 ქულით. თუ 50%-70% პასუხობს უარყოფითად პასუხი შეფასდება 2 ქულით, ხოლო თუ 70%-ზე მეტი პასუხობს უარყოფითად პასუხი შეფასდება 1 ქულით.

ზემოთ მიღებული პრინციპით მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელს გამოვიყენებთ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად. ვნახავთ ასევე აღნიშნული მაჩვენებლებს კითხვების ჯგუფების მიხედვით, რათა უფრო ნათელი სურათი შევქმნათ მიღებულ შედეგებზე.

ზემოთ განხილული პრინციპით მიღებული შეფასება გარკვეულწილად სუბიექტურია და მასში გათვალისწინებული არ არის სხვადასხვა მაჩვენებლების წონები, რომლებიც შეიძლება უფრო ღირებული იყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. მიუხედავად ამისა ვთვლით, რომ მსგავსი შეფასება დაგვეხმარება მიღებული შედეგების სისტემატიზაციისთვის და რესპოდენტთა მიერ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასების ზოგადი სურათის დასანახად.

აღნიშნული კვლევა მიმდინარეობდა ოთხი კვირის განმავლობაში, 2022 წლის 21 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით. გამოკითხვა მიმდინარეობდა სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. კვლევის კითხვარი გაეგზავნა 1000 ზე მეტ რესპოდენტს, ხოლო ანკეტა შეავსო 385-მა ადამიანმა, რაც შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის (3,688.6 ათასი კაცი)¹¹ 0.01%-ს. შედარებისათვის ევრობარომეტრის მიერ 2022 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული გამოკითხვა საერთაშორისო პარტნიორობისა და ჰუმანიტარული დახმარებების შესახებ მოიცავდა 26,511 რესპოდენტს¹², რაც ევროკავშირის 27 ქვეყნის 447 მილიონი მოქალაქის 0.006%-ს შეადგენს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს

¹¹ საქსტატი, მოსახლეობის რიცხოვნობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.10.2022)


¹² Eurobarometer, <https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2673> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.10.2022)

რელევანტურად დისერტაციის წინაშე დასახული მიზნებისთვის. მიღებული შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით IBM SPSS Statistics. (Kraveishvili, G., Gogorishvili, I., 2022).

გამოკითხულთა 69% იყო ქალბატონი, ხოლო 31% მამაკაცი. გამოკითხულთა უმრავლესობის (54.5%) ასაკი მერყეობდა 25-34 წწ შუალედში, გამოკითხულთა 34.3% იყო 18-დან 24 წლამდე, 7.5% - 35-დან 44 წლამდე, ხოლო 45 წლის და ზემოთ იყო გამოკითხულთა მხოლოდ 3.7%, შედეგად კვლევის შედეგები ძირითადად მიღებულია მოსახლეობის შედარებით ახალგაზრდა ნაწილისგან, რომელიც უფრო მაღალი აქტივობით გამოირჩევა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში.

გამოკითხულ რესპონდენტთა 7%-ს ჰქონდა პროფესიული ან სრული/არასრული ზოგადი განათლება. გამოკითხულთა 46.8%-ს დასრულებული ჰქონდა უმაღლესი განათლების მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხური, 39.2%-ს დასრულებული ჰქონდა მაგისტრატურის საფეხური, 7%-ს დაცული ჰქონდა დოქტორის ხარისხი. (დიაგრამა 3.2.9.).

დიაგრამა 3.2.9. რესპონდენტთა მიერ დასრულებული განათლების საფეხური



რესპონდენტთა 88.3%-ის ფაქტობრივ საცხოვრებელი ადგილი იყო თბილისი, აქედან გამომდინარე მიღებული შედეგები პრაქტიკულად თბილისში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს და რეგიონებში მცხოვრებთა შეხედულებები შესაძლებელია განსხვავდებოდეს აღნიშნული კვლევის შედეგებისგან. გამომდინარე იქედან, რომ თბილისში, როგორც დედაქალაქში ცხოვრების დონე ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან შედარებით მაღალია, შეგვიძლია


ვივარაუდოთ რომ აღნიშნული კვლევის შედეგები მთლიანი ქვეყნის შემთხვევაში უფრო ნეგატიურისკენ შეიცვლება. შედეგად მოცემულ მომენტში ჩვენ სახეზე გვაქვს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უფრო ოპტიმისტური შეფასება (ცხრილი 3.2.7.).

ცხრილი 3.2.7. რესპონდენტთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

თბილისი	88.3%
იმერეთი	3.4%
ქვემო ქართლი	3.1%
კახეთი	1.3%
აჭარის ა.რ.	1.0%
შიდა ქართლი	1.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.0%
მცხეთა-მთიანეთი	0.5%
სამცხე-ჯავახეთი	0.3%


გამოკითხულ რესპონდენტთა 67.5% არასდროს ყოფილა დაოჯახებული, 26.5% იყო დაოჯახებული, ხოლო 6% იყო განქორწინებული, ქვრივი ან უარი განაცხადა პასუხზე. (დიაგრამა 3.2.10).

დიაგრამა 3.2.10. რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა



გამოკითხულ რესპონდენტთა 46.8% მხოლოდ მუშაობდა, ხოლო 45.7% მუშაობდა და სწავლობდა. შედეგად გამოკითხულთა 92.5% იყვნენ დასაქმებული მოქალაქეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობაში, გამომდინარე აქედან მათი მიერ გამოთქმული შეხედულებები შეგვიძლია მივიჩნიოთ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის რეალისტურ შეფასებად. (დიაგრამა 3.2.11).


დიაგრამა 3.2.11. რესპონდენტთა სამუშაო და სასწავლო მდგომარეობა



ზემოთ განხილული მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევა მოიცავდა სხვადასხვა განათლების საფეხურზე მყოფი სხვადასხვა ასაკის და სქესის რესპონდენტებს. გამოიკითხა როგორც დასაქმებულები, ასევე სტუდენტები და განსხვავებული ოჯახური მდგომარეობის ადამიანები. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ, აღნიშნული კვლევა რელევანტური ინფორმაციის მომცემია.

გამოკითხული რესპონდენტები შემოსავლების მიხედვით დიდი ვარიაციით ხასიათდებიან. გამოკითხულია, როგორც მაღალშემოსავლიანი, ასევე საშუალო და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან მიღებული შედეგები კი შეგვიძლია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასებისთვის ხელსაყრელ გარემოებად მივიჩნიოთ. (დიაგრამა 3.2.12.).

დიაგრამა 3.2.12. რესპონდენტთა ყოველთვიური შემოსავალი




გამოკითხულ რესპონდენტთა 54.5% უთითებს, რომ მათი შემოსავალი 1,500 ლარზე მეტია. გამომდინარე იქედან, რომ შემოსავლები უფრო მაღალი ჯგუფისკენ არის გადახრილი ის შეგვიძლია 4 ქულით შევაფასოთ.

გამოკითხულ რესპონდენტთა 41.0%-მა უპასუხა, რომ ძირითადი შემოსავლის გარდა აქვს დამატებითი შემოსავლის წყაროც. ეს შედეგი ორმხრივად შეგვიძლია შევაფასოთ. ერთის მხრივ შემოსავლის დამატებითი წყაროს არსებობა მიუთითებს რომ ქვეყანაში ფართო ეკონომიკური შესაძლებლობებია, თუმცა მეორეს მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს არსებობა შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ძირითადი წყარო საკმარისი არ არის და მოქალაქეებს უწევთ ზედმეტი დატვირთვის და თავისუფალი დროის შემცირების ხარჯზე დამატებითი სამუშაოს მოძებნა. (დიაგრამა 3.2.13.).

რადგან მოცემულ შეკითხვაზე მიღებული შედეგი ორმხრივად შეგვიძლია შევაფასოთ და გამომდინარე იქედან, რომ შედეგები რადიკალურად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მას 3 ქულით შევაფასებთ.


დიაგრამა 3.2.13. გამოკითხული რესპონდენტები შემოსავლის დამატებითი წყაროს მიხედვით



გამოკითხულ რესპონდენტთა 40.8%-ს კორონავირუსის პანდემიის ფონზე შემოსავალი გაეზარდათ. 38.4%-ის შემოსავალი არ შეცვლილა, 19.7%-ის შემოსავალი შემცირდა და მხოლოდ გამოკითხულთა 1% დარჩა შემოსავლის გარეშე. აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს რომ საქართველოს ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიას კარგად გაუმკლავდა და დასაქმებულთა შემოსავლებზე ის უარყოფითად არ


ასახულა. (დიაგრამა 3.2.14.). საერთო ჯამში 79.2%-ისთვის შემოსავლის დონე არ გაუარესებულა, ამიტომ მოცემულ შეკითხვას 5 ქულით შევაფასებთ.

დიაგრამა 3.2.14. რესპონდენტთა შემოსავლის ცვლილება კორონავირუსის პანდემიის ფონზე



აუცილებელი ხარჯების წილი მთლიან შემოსავლებში გამოკითხულ რესპონდენტთათვის ნორმალურად არის განაწილებული. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ჯგუფი 31.7% მათი შემოსავლების 40-60%-ს აუცილებელ ხარჯებზე ხარჯავს. (დიაგრამა 3.2.15). მიღებული შედეგი საშუალო 3 ქულით შეგვიძლია შევაფასოთ.


დიაგრამა 3.2.15. აუცილებელი ხარჯების (ქირა, საკვები, კომუნალურები, მედიკამენტები, ტრანსპორტი) წილი რესპონდენტთა შემოსავლებში



რესპონდენტთა 41.6% მიღებული შემოსავლიდან დანაზოგის გაკეთებას ვერ ახერხებს. მოქალაქეთა ეს ნაწილი დამოკიდებულია ყოველთვიურ შემოსავალზე და გარკვეული მიზეზით სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლება


ყოველდღიური საარსებოს გარეშე დარჩეს. მიუხედავად ამისა გამოკითხულთა უმრავლესობა გარკვეული ოდენობით დანაზოგს მაინც აკეთებს. მიღებული შედეგი საერთო საშუალოზე ოდნავ მაღალ მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ და 4 ქულით შევაფასოთ. (დიაგრამა 3.2.16.).

დიაგრამა 3.2.16. დანაზოგის წილი რესპონდენტთა შემოსავლებში




გამოკითხული მოსახლეობის 44.4% ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია. 19.5%-ს აქვს მოკლევადიანი, 27.5%-ს საშუალოვადიანი და მხოლოდ 8.6%-ს გრძელვადიანი ვალდებულებები. ასევე კორონავირუსის პანდემიის ფონზე გამოკითხულთა უმრავლესობისთვის (55.6%), ფინანსური ვალდებულებები არ გაზრდილა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა პანდემიას ეფექტიანად გაუმკლავდა და მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეს მკვეთრად უარყოფითად არ ასახულა. (დიაგრამა 3.2.17; დიაგრამა 3.2.18). ორივე მაჩვენებელი საშუალო 3-3 ქულით შეგვიძლია შევაფასოთ.

დიაგრამა 3.2.17. რესპონდენტთა ფინანსური ვალდებულებები



დიაგრამა 3.2.18. რესპონდენტთა ფინანსური ვალდებულებების ცვლილება კორონავირუსის პანდემიის შემდეგ



ცხრილში 3.2.8. მოცემულია რესპონდენტების მიერ საკუთარი და ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონის შეფასება. გამომდინარე იქედან, რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირდაპირი მიზანია, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებელ მთავარ კრიტერიუმად.

ცხრილი 3.2.8. რესპონდენტთა მიერ ცხოვრების დონის შეფასება

	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად
როგორ შეაფასებდით თქვენს ცხოვრების დონეს?	1.6%	20.5%	70.1%	7.3%	0.5%
როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ ცხოვრების დონეს?	0.3%	0.8%	58.7%	19.2%	21.0%


როგორც ცხრილში ვხედავთ გამოკითხულთა უმრავლესობა საკუთარ ცხოვრების დონეს საშუალოდ აფასებს (70.1%), ხოლო 20.5 % კარგად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია და მას 4 ქულით შევაფასებთ.

რაც შეეხება ცხოვრების დონის შეფასებას საქართველოში, გამოკითხულთა უმრავლესობა (58.7%) თვლის, რომ საქართველოში საშუალო ცხოვრების დონეა, 19.2% აფასებს მას როგორც ცუდს, ხოლო 21.0% თვლის, რომ ის ძალიან ცუდია. გამოკითხულთა მხოლოდ 0.8% თვლის, რომ საქართველოში ცხოვრების დონე კარგია, ხოლო ძალიან კარგის პასუხების შედეგები პრაქტიკულად მიზერულია.

(ცხრილი 3.2.4.). რადგან აღნიშნული შეფასება ცუდისკენ არის გადახრილი, მას 2 ქულით შევაფასებთ.


არც თუ ისე კარგი მაჩვენებელი არის პირად საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფლობის კუთხითაც. გამოკითხულთა 57.1%-ს პირად საკუთრებაში არანაირი უძრავი ქონება არ გააჩნია, 34.0%-ს კი მხოლოდ საცხოვრებელი სახლი აქვს. მსგავსი მაჩვენებელი შეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც არასახარბიელო, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეუძლია საკუთარი უძრავი ქონების შექმნა. რადგან მოცემული შედეგები უფრო უარყოფითისკენაა გადახრილი მას 2 ქულით შევაფასებთ. (დიაგრამა 3.2.19.).

დიაგრამა 3.2.19. რესპონდენტთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება



რესპონდენტთა ცხოვრების დონის ზეგავლენა ჯამრთელობაზე მოცემულია დიაგრამაზე 3.2.20.

დიაგრამა 3.2.20. რესპონდენტთა ცხოვრების დონის ზეგავლენა ჯანმრთელობაზე



როგორც მოცემული დიაგრამიდან ვხედავთ გამოკითხულთა 44.7% თვლის, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა და ცხოვრების დონე უარყოფითად აისახება მათ ჯამრთელობაზე, ხოლო 20.0%-ისთვის დადებითად მოქმედებს, 19.7%-ისთვის კი არ ახდენს ზეგავლენას. მიღებული შედეგი შეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც საშუალო და შევავასოთ 3 ქულით. (დიაგრამა 3.2.20).

ცხრილში 3.2.9. მოცემულია რესპონდენტთა კმაყოფილების კვლევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა, ეკოლოგიური მდგომარეობა, სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი. ეს ის მაჩვენებლებია, რომლებიც პირდაპირ განაპირობებს თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

ცხრილი 3.2.9. რესპონდენტთა კმაყოფილების დონის კვლევა

ხართ თუ არა კმაყოფილი:	კმაყოფილი ვარ	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	არ ვარ კმაყოფილი	არ ვიცი / არ მაქვს პასუხი
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობით?	11.4%	34.8%	51.9%	1.8%
საქართველოში არსებული განათლების სისტემით?	1.8%	13.0%	83.4%	1.8%
საქართველოში არსებული ჯანდაცვის სისტემით?	5.7%	66.5%	25.7%	2.1%
საქართველოში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობით?	3.4%	41.3%	53.0%	2.3%
სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხით?	7.3%	40.8%	51.9%	0.0%

ამ მიმართულებით ზოგადი კმაყოფილების დონე უარყოფითისკენ არის გადახრილი. ძალიან დაბალია კმაყოფილების დონე ჩამოთვლილ ყველა საკითხთან მიმართებაში. შედარებით ნეიტრალური, თუმცა უარყოფითისკენ გადახრილი განწყობა არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობასთან, ჯანდაცვის სისტემასთან, ეკოლოგიური მდგომარეობით და სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხთან მიმართებაში. (მათ 2 ქულით შევავასებთ), ხოლო მაღალია უკმაყოფილება განათლების სისტემის მუშაობით (მას 1 ქულით შევავასებთ).

ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა მნიშვნელოვანი რეფორმები როგორც სფეროებში, ასევე მეტი კომუნიკაცია მოსახლეობასთან სათანადო ინფორმირებისთვის. ეს უკანასკნელი აუცილებელია, ვინაიდან უკმაყოფილება შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მოსახლეობას არ აქვს სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კეთდება ამა თუ იმ მიმართულებით.

ცხრილში 3.2.10. ვხედავთ რესპონდენტთა დამოკიდებულებას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

ცხრილი 3.2.10. რესპონდენტთა მიერ საცხოვრებელი გარემოს შეფასება


რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებას:	სრულიად ვეთანხმები	ძირითადად ვეთანხმები	ძირითადად არ ვეთანხმები	საერთოდ არ ვეთანხმები	არ მაქვს პასუხი
„მიმაჩნია, რომ სამართლიან გარემოში ვცხოვრობ“	2.1%	46.5%	37.9%	13.0%	0.5%
„მიმაჩნია, რომ თანასწორ საზოგადოებაში ვცხოვრობ“	1.8%	48.1%	40.5%	8.1%	1.6%
„ქვეყანაში თავს დაცულად ვგრძნობ“	2.6%	29.6%	37.1%	26.5%	4.2%
„მიმაჩნია, რომ სრულად ვახდენ საკუთარი თავის თვითრეალიზაციას“	2.6%	34.8%	44.4%	15.1%	3.1%
„საკუთარ თავს ბედნიერად ვთვლი“	10.1%	56.9%	20.8%	3.9%	8.3%
„მიმაჩნია, რომ ყოველდღიური საქმიანობის ფონზე სრულყოფილად ვახერხებთ დასვენებას და განტვირთვას“	4.4%	44.2%	21.0%	28.1%	2.3%

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანასწორი გარემო არის პირველი წინაპირობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. გამოკითხულთა 48.6% ეთანხმება, ხოლო 50.9% არ ეთანხმება დებულებას, რომ ისინი ცხოვრობენ სამართლიან გარემოში. თანასწორ საზოგადოებასთან მიმართებაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 49.9% და 48.6%-ია. რადგან ორივე შემთხვევაში თითქმის თანაბრადაა პასუხები გაყოფილი მათ 3 ქულით შევაფასებთ. გამოკითხულთა 32.2% გრძნობს თავს დაცულად, ხოლო 37.1% და 26.5% შესაბამისად ძირითადად ან საერთოდ არ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. რადგან აღნიშნული შედეგი გადახრილია უარყოფითისკენ, მას 2 ქულით შევაფასებთ. გამოკითხულთა დიდი ნაწილი

მიუთითებს, რომ სრულად ვერ ახდენს საკუთარი თავის თვითრეალიზაციას (59.5%), ამიტომ მას 2 ქულით შევაფასებთ. გამოკითხულთა უმრავლესობა თავს ბედნიერად თვლის ამიტომ მას 4 ქულით შევაფასებთ. რესპონდენტთა 48.6% უთითებს რომ ახერხებს სრულყოფილ დასვენებას, ხოლო 49.1% ვერ ახერხებს. რადგან შედეგი დაახლოებით თანაბარია მას 3 ქულით შევაფასებთ. (ცხრილი 3.2.10.).

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი არის შეკითხვაც თუ როგორ აფასებს მოსახლეობა საქართველოში არსებულ კორუფციის დონეს. გამოკითხულთა 44.9% თვლის, რომ კორუფცია საშუალო დონეზეა, 30.9%-ს მიაჩნია, რომ კორუფცია მაღალ დონეზეა, ხოლო 14.3% კორუფციას ძალიან მაღალ დონეზე აფასებს. გამოკითხულთა მხოლოდ 9.9% თვლის, რომ კორუფცია არის დაბალი ან ძალიან დაბალი. კორუფცია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორია და მოსახლეობის მიერ კორუფციის მაღალ დონეზე აღქმა მიუთითებს, რომ ქვეყნის მოქალაქეებს ნაკლები სტიმული და შესაძლებლობა ექნებათ მათი ეკონომიკური საქმიანობის სფეროები გააფართოვონ, რაც ასევე ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება. (დიაგრამა 3.2.21.). რადგან მოცემული შეფასება უფრო უარყოფითისკენ არის გადახრილი მას 2 ქულით შევაფასებთ.


დიაგრამა 3.2.21. რესპონდენტთა მიერ კორუფციის დონის შეფასება



გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა - 56.6% ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად განათლებას მიიჩნევს. მეორე ადგილზეა ტერიტორიული მთლიანობა, მესამეზე - სიღარიბე, მეოთხეზე - ფასების ზრდა/ინფლაცია, ხოლო მეხუთეზე - სამუშაო ადგილები. როგორც უკვე აღვნიშნეთ განათლების სისტემას

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის გზაზე, ხოლო ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად განათლების სისტემას მიიჩნევს ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს, რაც შეიძლება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის შემაფერხებელი იყოს. ხუთეულში შემავალი ისეთი საკითხები, როგორცაა სიღარიბე, ინფლაცია და სამუშაო ადგილები, პირდაპირ ეკონომიკის დარგის გამოწვევებია და ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა ქვეყნის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოსახლეობის აღქმით. (დიაგრამა 3.2.22.).

დიაგრამა 3.2.22. ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები რესპონდენტთა შეფასებით



რომ შევაჯამოთ ქულათა სისტემით შეფასებული კითხვარი, საერთო საშუალო ქულა 2.8 გამოდის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა რესპონდენტთა მიერ საშუალოზე ოდნავ დაბალ დონეზეა შეფასებული. საგრძნობლად დაბალი არის კმაყოფილების დონის მაჩვენებელი და საშუალოდ ის 1.8 არის. საცხოვრებელი გარემო საშუალოდ 2.7 ქულით არის შეფასებული, რაც ასევე საშუალოზე ოდნავ დაბალი მაჩვენებელია. ცხოვრების დონეც ასევე საშუალოზე

ოდნავ დაბალ დონეზე არის შეფასებული (2.8 ქულა), ხოლო შედარებით პოზიტიურია ფინანსური მდგომარეობის შეფასება (3.6 ქულა). (ცხრილი 3.2.11.).

ცხრილი 3.2.11. კვლევის კითხვარის შეფასება

ჯგუფი	N	შეკითხვა	შეფასება	ჯგუფის საშუალო
II	2.1.	შემოსავალი	4.0	3.6
	2.2.	დამატებითი შემოსავალი	3.0	
	2.3.	შემოსავლის ცვლილება კოვიდის ფონზე	5.0	
	2.4.	აუცილებელი ხარჯები შემოსავლებში	3.0	
	2.5.	დანაზოგები შემოსავლებიდან	4.0	
	2.6.	ფინანსური ვალდებულებები	3.0	
	2.7.	ფინანსური ვალდებულებების ცვლილება კოვიდის ფონზე	3.0	
III	3.1.	პირადი ცხოვრების დონე	4.0	2.8
	3.2.	საქართველოში არსებული ცხოვრების დონე	2.0	
	3.3.	უძრავი ქონებს ფლობა	2.0	
	3.4.	ცხოვრების დონის ზეგავლენა ჯანმრთელობაზე	3.0	
IV	4.1.	კმაყოფილება სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებით	2.0	1.8
	4.2.	კმაყოფილება განათლების სისტემით	1.0	
	4.3.	კმაყოფილება ჯანდაცვის სისტემით	2.0	
	4.4.	კმაყოფილება ეკოლოგიურ მდგომარეობით	2.0	
	4.5.	კმაყოფილება სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობით	2.0	
V	6.1.	სამართლიანი გარემო	3.0	2.7
	6.2.	თანასწორი საზოგადოება	3.0	
	6.3.	დაცულობის შეგრძნება	2.0	
	6.4.	თვითრეალიზაციის შესაძლებლობა	2.0	
	6.5.	ბედნიერება	4.0	
	6.6.	დასვენება	3.0	
	6.7.	კორუფციის დონის შეფასება	2.0	
საშუალო მაჩვენებელი			2.8	

კვლევამ აჩვენა, რომ გარკვეული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, რესპონდენტები აფასებენ საშუალო დონეზე. გამოვლინდა სფეროები, რომლებიც უფრო უარყოფითად არის შეფასებული. ჩვენი აზრით, ეს ის სფეროებია, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

კვლევისას გამოვლენილი დადებითი ინდიკატორები არის ის, რომ რესპონდენტთა უმეტესობა დასაქმებულია და მათი შემოსავლები კორონავირუსის პანდემიის ფონზე აღმავალი ტენდენციით ხასიათდება. საშუალო დონეზე ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ ისეთი ინდიკატორები, როგორცაა დანაზოგების და ფინანსური ვალდებულებების დონე, პირადი ცხოვრების დონე, თანასწორი და სამართლიანი გარემო.

საშუალოზე დაბალ დონეზეა შეფასებული ჯანდაცვის სისტემა, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობის ხარისხი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების მდგომარეობა, გარემოსდაცვითი მდგომარეობა და ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე, რაც ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

კვლევამ აჩვენა, რომ საგრძნობლად დაბალია კმაყოფილების დონე განათლების სისტემის მიმართ.

მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დღეს ქვეყნის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მოსახლეობის აღქმით ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არ იწვევს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების საგრძნობ გაუმჯობესებას, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ცხოვრების დონისა და საერთო კეთილდღეობის ამაღლებასთან.

როგორც სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზიდან ვნახეთ ქვეყანას წლიური ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპები აქვს, თუმცა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია შედარებით დაბალია. მიგვაჩნია, აღნიშნულ შედეგებთან თანხვედრაში მოდის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები და რესპოდენტთა მიერ გარკვეული მიმართულებების უარყოფითად შეფასება წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ლოგიკური გაგრძელებაა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობის მოსაზრებას.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე ვნახოთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და მის შემფასებელ ფაქტორებს შორის არსებული კავშირის დონე. ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად გამოვიყენებთ ისეთ ფაქტორებს, როგორც არის რესპოდენტთა ცხოვრების დონე, საქართველოში არსებული ცხოვრების დონე, სამართლიანი და თანასწორი გარემო.

იმისათვის, რომ ქვეყანაში მსგავსი გარემო შეიქმნას აუცილებელია, რომ სხვადასხვა ინსტიტუტები და მიმართულებები მუშაობდნენ ეფექტიანად. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ხელშემწყობ ძირითად მიმართულებებად ჩვენ განვიხილავთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ მდგომარეობას, განათლების სისტემას, ჯანდაცვის სისტემას, ეკოლოგიურ

მდგომარეობას, სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხს და კორუფციის დონე.

იმისათვის, რომ გვეჩვენებოდეს, თუ რამდენად არიან აღნიშნული ცვლადები ერთმანეთზე დამოკიდებული, ჩავატარეთ ხი-კვადრატ ტესტი. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 3.2.12.

ცხრილი 3.2.12. კვლევის ხი-კვადრატ ტესტის შედეგები

განმსაზღვრელი ცვლადი	შედეგობრივი ცვლადი	შეფასება	df	ასიმპტომური მნიშვნელობა (ორმხრივი)	სტატუსი
განათლების სისტემა	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	12.858 ^a	12	0.3794435	კავშირი არ არის
	ცხოვრების დონე საქართველოში	41.317 ^a	12	0.0000434	ძალიან ძლიერი
	სამართლიანი გარემო	70.936 ^a	12	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	14.616 ^a	12	0.2630874	კავშირი არ არის
კორუფციის დონე	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	25.644 ^a	16	0.0592525	ძლიერი
	ცხოვრების დონე საქართველოში	88.559 ^a	16	0.0000000	ძალიან ძლიერი
	სამართლიანი გარემო	67.993 ^a	16	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	70.958 ^a	16	0.0000000	ძალიან ძლიერი
ჯანდაცვის სისტემა	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	40.865 ^a	12	0.0000516	ძალიან ძლიერი
	ცხოვრების დონე საქართველოში	32.645 ^a	12	0.0010993	ძლიერი
	სამართლიანი გარემო	69.154 ^a	12	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	29.772 ^a	12	0.0030218	ძლიერი
ეკოლოგიური მდგომარეობა	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	10.927 ^a	12	0.5351811	კავშირი არ არის
	ცხოვრების დონე საქართველოში	54.444 ^a	12	0.0000002	ძალიან ძლიერი
	სამართლიანი გარემო	73.176 ^a	12	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	50.918 ^a	12	0.0000010	ძალიან ძლიერი
სოციალურ-ეკონომიკურ განვითარება	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	3.852 ^a	12	0.9859654	კავშირი არ არის
	ცხოვრების დონე საქართველოში	33.546 ^a	12	0.0007951	ძალიან ძლიერი
	სამართლიანი გარემო	71.532 ^a	12	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	49.079 ^a	12	0.0000020	ძალიან ძლიერი
სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი	რესპონდენტთა ცხოვრების დონე	8.777 ^a	8	0.3614407	კავშირი არ არის
	ცხოვრების დონე საქართველოში	11.551 ^a	8	0.1724034	კავშირი არ არის
	სამართლიანი გარემო	104.439 ^a	8	0.0000000	ძალიან ძლიერი
	თანასწორი საზოგადოება	43.371 ^a	8	0.0000007	ძალიან ძლიერი

როგორც მოცემულია ცხრილიდან ვხედავთ წარმოდგენილი 24 კავშირიდან, 15 შემთხვევაში ცვლადებს შორის კავშირი არის ძალიან მაღალი, 3 შემთხვევაში კავშირი არის მაღალი, ხოლო 6 შემთხვევაში ცვლადებს შორის კავშირი არ არის.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და თანასწორ და სამართლიან გარემოს ქვეყანაში. განსაკუთრებით მაღალია კავშირი კორუფციის დონესთან მიმართებაში, რაც შინაარსობრივადაც პირდაპირი განმსაზღვრელია

თანასწორი და სამართლიანი გარემოს. ძლიერი კავშირი ფიქსირდება განათლების სისტემასა და ქვეყანაში არსებულ ცხოვრების დონესა და სამართლიან გარემოსთან. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობას ასევე აქვს ძალიან მაღალი კავშირი ყველა ცვლადთან, თაც თავისთავად ლოგიკურიცაა, რადგან ეკონომიკური განვითარება ყველა სხვა მიმართულების განვითარების წინაპირობაა. თანასწორი და სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი.

მოცემულ ქვეთავში განხილული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა მიმართულებები, რაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია და რაც ასევე შეესაბამება პირველი და მეორე თავიდან ჩვენს მიერ გაკეთებულ დასკვნებს:

- განათლების სისტემის აქტიური მხარდაჭერა და განვითარება;
- სამართლიანი და თანასწორი გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;
- აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გატარება, რეგიონებში მცხოვრებთათვის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი აქტიური ღონისძიებების გატარება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერა, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის სტიმულირება;
- ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- ქვეყნის საექსპორტო და მაღალი დამატებითი ღირებულების შემქმნელი დარგების და სექტორების მხარდაჭერა;
- იმპორტმეცვლელი წარმოების განვითარება;
- მჭიდრო კომუნიკაცია მოსახლეობასთან სათანადო ინფორმირებულობისთვის.

ქვემოთ ჩვენ უფრო კონკრეტულად განვიხილავთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის იმ საკვანძო მიმართულებებს, რომელთა მხარდაჭერა მნიშვნელოვანია

როგორც ზოგადად ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის, ასევე ქვეყანაში არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მყარი საფუძველის შესაქმნელად.

3.3. საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობათა განხილვა

დისერტაციის წინა თავებში გაკეთებული დასკვნების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევა ქვეყანაში არსებული უთანასწორობა და სიღარიბეა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე უარყოფითად არის შეფასებული განათლების სისტემის ფუნქციონირებაც, მოსახლეობა ვერ აღიქვამს ქვეყანაში შექმნილ გარემოს, როგორც თანასწორს და სამართლიანს. ქვეყანისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიღარიბე და უარყოფითი მიმდინარე ბალანსი, რაც ქვეყანას კიდევ უფრო მეტად ხდის დამოკიდებულს დანარჩენ მსოფლიოზე და ამით ასევე უფრო მეტად მგრძობიარეს ისეთი გარე შოკების მიმართ როგორც მაგალითად კორონავირუსით გამოწვეული კრიზისია. შეინიშნება ასევე თბილისსა და რეგიონებს, ქალაქსა და სოფლებს შორის არსებული უთანასწორობა, რასაც უფრო აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გატარება სჭირდება. აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსასვლელად მიგვაჩნია, რომ ცალსახად მნიშვნელოვანი ადგილობრივი წარმოების და ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, რაც ერთის მხრივ შეამცირებს საქართველოს იმპორტდამოკიდებული ქვეყნის სტატუსს, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს იმას, რომ განვითარდეს რაც შეიძლება მეტი დარგი და რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც თავის მხრივ სწორედ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი ამოცანაა.

წინა პარაგრაფებში გაკეთებული დასკვნების საფუძველზე და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად გვინდა გამოვყოთ 4 სტრატეგიული მიმართულება, რომელიც აერთიანებს ზემოთ განხილულ

რეკომენდირებულ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს და რაც აუცილებელია წინაპირობაა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მყარი ფუნდამენტის ჩასაყრელად. აღნიშნული მიმართულებებია:

- განათლების სისტემის რეფორმირება და პრიორიტეტულობა;
- სოფლის მეურნეობის განვითარება;
- ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ეფექტიანი მმართველობა და ყველასათვის თანასწორი და სამართლიანი გარემო პირობების გაუმჯობესება.

პირველი და მეორე თავიდან გაკეთებული კიდევ ერთ დასკვნა იყო, რომ განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში. თუ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ექნება შესაბამისი განათლება სხვადასხვა მიმართულებით, რათქმაუნდა შეუძლებელი იქნება, რომ ქვეყნის ეკონომიკაში წარმოდგენილი იყოს დარგების რაც შეიძლება დიდი რაოდენობა და მასში ჩართული იყოს მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი. არასათანადო განათლების მქონე მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ დაბალანაზღაურებადი სამუშაოები და მათ პრაქტიკულად არ აქვთ შესაძლებლობა რაიმე ახლის შექმნის და განვითარების. მასიურად არასათანადო განათლების მქონე მოსახლეობის ქვეყანას ასევე გაუჭირდება მეცნიერებატევადი დარგების განვითარება, რაც კიდევ უფრო შეაფერხებს ქვეყნის წინსვლას. ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა მაღალი უკმაყოფილების დონე განათლების სისტემის მიმართ და რესპონდენტებმა ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად სწორედ განათლების სისტემა დაასახელეს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემის სრულყოფა და მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილისთვის ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული განათლების მიცემა დღეს საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს, რადგან მხოლოდ სათანადო განათლების მქონე მოქალაქეებს შეუძლიათ ქვეყნის სწრაფი, ეფექტიანი და ინკლუზიური ზრდის მიღწევა.

საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის განათლების სისტემის მნიშვნელობას და სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით აქტიური პოლიტიკის

გატარებას ემხრობა არაერთი ქართველი მეცნიერი: „თუ მართლაც გვსურს ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდა ანუ საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობა, ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ ადამიანურ კაპიტალში, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში“. (სამადაშვილი, უ., 2014, გვ.17); „განათლების სისტემის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მისი განვითარების მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი მინდობა დაუშვებელია და აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო ორგანიზაცია“. (აბესაძე, რ., 2014, გვ.69).

მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება გავამახვილოთ სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზეც. როგორც წინა თავებში განხილვისას უკვე აღვნიშნეთ ქვეყანაში არსებული უთანასწორობა გამოხატულია ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. რეგიონების არასათანადო განვითარების გამო, მაღალტექნოლოგიური სფეროების ხელშეწყობა რატომღაც საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია, რასაც ადამიანისეული რესურსის გადამზადებაც სჭირდება, ამიტომ უფრო ეფექტიანი და შედეგის მომტან პოლიტიკად სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მხარდაჭერის გაძლიერება მიგვაჩნია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობის დარგადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

არაერთი ქართველი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობაზე. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი თავის პუბლიკაციაში „ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები“ აღნიშნავდა, რომ “საქართველოს სოფლის მეურნეობას გარკვეული კონკურენტული უპირატესობაც გააჩნია, როგორცაა: ა) აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება; ბ) გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აბორიგენული ჯიშები, რომლებიც ორიგინალური ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან; გ) ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მიკროზონების არსებობა და სხვა”. (ხარაიშვილი, ე., 2013).

რატემაუნდა სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე აუცილებელია, რომ ქვეყანამ ფეხი აუწყოს თანამედროვე გამოწვევებს ტექნოლოგიური სრულყოფისა და ინოვაციების დანერგვის კუთხით. კორონავირუსის კრიზისის ფონზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო არის ქვეყნის მამოძრავებელი მთავარი ძალა, რაზეც არის დამოკიდებული თითქმის ყველა სხვა დარგი. მაშინ როდესაც მასობრივი კარანტინის და თვითიზოლაციის ფონზე სკოლები, უნივერსიტეტები, სამსახურები დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ, გამოჩნდა რომ ამ მიმართულებით საქართველო არც თუ ისე მომზადებული აღმოჩნდა. 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა. აღნიშნული მიმართულების განვითარება ხელისშემწეობი ფაქტორი იქნება სხვა ყველა დარგის განვითარებისთვის, რადგან დღეისათვის არ არსებობს სფერო, რომელიც მცირე დოზით მაინც არ არის დამოკიდებული ტექნოლოგიებზე. მეორე თავში განხილული ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაც სწორედ იმის დასტური იყო, რომ აღნიშნული ქვეყნები თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ სფეროს განვითარებას და ხელშეწყობას და მათი შედეგიც თვალნათლივ დავინახეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შედარების დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული დარგის განვითარებას არ სჭირდება რაიმე ბუნებრივი რესურსის არსებობა, რაც შეიძლება შემაფერხებელი იყოს ამა თუ იმ ქვეყნისთვის. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულების პრიორიტეტად გამოცხადებით საქართველოს აქვს შესაძლებლობა ფეხი აუწყოს მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებს და ღირსეული ადგილი დაიკავოს ტექნოლოგიურ ბაზარზე.

ბოლო და ყველაზე აუცილებელი კომპონენტი არის ეფექტიანი მმართველობა და ქვეყანაში თანასწორი და სამართლიანი გარემოს არსებობა. როგორც წინა პარაგრაფში წარმოდგენილი კვლევებიდან ჩანს მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის რომ თანასწორ და სამართლიან გარემოში ცხოვრობს, რაც ჯანსაღი გარემოს ფორმირებაზე ნეგატიურად აისახება. ასევე მაღალია უკმაყოფილება სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხითაც.

განვიხილოთ შემოთავაზებული ოთხივე მიმართულებით არსებული მდგომარეობა სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

განათლების მიმართულება: საგანმანათლებლო სისტემას სამი - სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით განვიხილავთ.

სასკოლო განათლების სისტემის შესაფასებლად გამოვიყენებთ რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებულ კვლევის შედეგებს. ერთ-ერთი ასეთი კვლევა არის „მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა“ (TIMSS), რომელსაც „საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია“ (IEA) 1995 წლიდან ყოველ 4 წელიწადში ატარებს. კვლევა ტარდება მე-4 და მე-8 კლასებისათვის მათემატიკაში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ქვეყნების მიერ მიღებული ქულები შემდეგნაირად განიმარტება: 400 ქულა - დაბალი შეფასება, 475 - საშუალო შეფასება, 550 - მაღალი შეფასება, 625 - ძალიან მაღალი შეფასება. საქართველოს მიერ 2019 წლის კვლევაში მიღებული შედეგები, ასევე შედარება ჩვენთვის საუკეთესო გამოცდილების მქონეს აღიარებულ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მოცემულია ცხრილში 3.3.1., საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მათემატიკის მე-4 კლასის გარდა საშუალოზე დაბალი შეფასებები აქვს. მათემატიკის მე-4 კლასიც ოდნავ აღემატება საშუალო შეფასებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე კომპონენტის შემთხვევაში მე-8 კლასელთა მიღებული შედეგები ჩამორჩება მე-4 კლასელთა შედეგებს, რაც ვფიქრობთ რომ საბაზო განათლების საფეხურზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილების საჭიროებაზე მიუთითებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ლატვიას და ლიეტუვას შედეგები მაღალი შეფასების ნიშნულის გარშემოა. ეს შედეგი გარკვეულწილად კიდევ ერთხელ ამყარებს იმ აზრს, რომ განათლების მაღალ დონესა და მაღალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა.

ცხრილი 3.3.1. TIMSS 2019-ის კვლევის შედეგები

	მათემატიკა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	
	მე-4 კლასი	მე-8 კლასი	მე-4 კლასი	მე-8 კლასი
საქართველო	482	461	454	447
ლატვია	546	N/A	542	N/A
ლიეტუვა	542	520	538	534

წყარო: IEA, „TIMSS 2019 International Results in Mathematics and Science“, 2019 -

<https://timssandpirls.bc.edu/timss2019/international-results/wp-content/themes/timssandpirls/download-center/TIMSS-2019-Highlights.pdf>

მნიშვნელოვანია ასევე ვახსენოთ PISA-ს მიერ ჩატარებული 2018 წლის კვლევა. აღნიშნული კვლევა ამოწმებს 15 წლის მოზარდების შესაძლებლობებს, თუ რამდენად არიან ისინი მზად საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებაში ეფექტიანი რეალიზება მოახდინონ.

აღნიშნული ტესტი შედგება 3 კომპონენტისგან: წაკითხულის გააზრება, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. 2018 წლის კვლევაში სამწუხაროდ საქართველო საკმაოდ დაბალი შედეგი აჩვენა, რაც ქვეყანაში აქტიური განხილვის თემადაც კი იქცა. საქართველოს მიღებული შედეგები, ასევე მისი შედარება წინა 2015 წლის ჩვენი ქვეყნის შედეგებთან მოცემულია ცხრილში 3.3.2.

როგორც მოცემული ცხრილიდან ვხედავთ საქართველოს შედეგები 2015 წლის შედეგებთან მიმართებაში გაუარესებულია. ასევე ის საგრძნობლად ჩამორჩება ტესტის საშუალო მაჩვენებელს და ამით რეიტინგის ბოლო ათეულში იკავებს ადგილს. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე თავში პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყანა ესტონეთი, აღნიშნულ რეიტინგში მოწინავე პოზიციებზეა. ეს ფაქტიც მიანიშნებს იმის, რომ განათლების დონეს ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის.

ცხრილი 3.3.2. PISA 2018-ის კვლევის შედეგები

	წაკითხული ს გააზრება	მათემატიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
საქართველო PISA 2018	380	398	383
საქართველოს ცვლილება PISA 2015>PISA 2018	-22	-6	-28
PISA 2018 საშუალო	487	489	489
ესტონეთი PISA 2018	523	523	530

წყარო: OECD, PISA 2018 Results, 2019 - https://www.oecd.org/pisa/Combined_Executive_Summaries_PISA_2018.pdf

მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ თუ კონკრეტულად რა რაოდენობის მოსწავლე იღებს საშუალო განათლებას და რა რაოდენობის სტუდენტი აბარებს თუ ასრულებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურს. აღნიშნული მონაცემები მოცემულია ცხრილში 3.3.3.

როგორც მოცემული ცხრილიდან ვხედავთ 2011-2019 წწ-ში საშუალოდ სკოლა დაამთავრა 40,703 მოსწავლემ, ხოლო ანალოგიურ პერიოდში ბაკალავრიატის

საფეხურზე ჩააბარა საშუალოდ 29,372-მა სტუდენტმა, რაც 72%-ია საშუალო სკოლა დამთავრებულების. დარჩენილი 28% უმაღლესი განათლების მიღმა რჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება მიღებულთა რაოდენობას და საშუალოდ 54% ასრულებს ბაკალავრიატს.

მაგისტრატურის საფეხურზე სწავლას აგრძელებს საშუალოდ ბაკალავრის ხარისხის მქონეთა 52%, ხოლო მაგისტრატურის საფეხურს საშუალოდ ჩაბარებულთა 58% ასრულებს. როგორც მოცემული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს ახალგაზრდების დიდი ნაწილი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს სათანადო განათლების მიღებას, რაც რათქმაუნდა შემაფერხებელი ფაქტორი იქნება როგორც მათი დასაქმებისთვის, ასევე ქვეყნის გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის.

ცხრილი 3.3.3. საქართველოში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, მიღებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე, 2011-2019 წწ. (ერთეული)

წელი	საშუალო განათლების მიღება (დაასრულა 12 კლასი)	ბაკალავრიატი		მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, რეზიდენტურა	
		სტუდენტთა მიღება	კურსდამთავ რებულთა რაოდენობა	სტუდენტთა მიღება	კურსდამთავ რებულთა რაოდენობა
2011	50,072	25,317	13,284	5,404	3,383
2012	39,776	28,264	12,254	4,913	3,481
2013	42,894	32,452	15,516	5,485	3,317
2014	37,165	30,207	17,141	6,629	3,892
2015	40,109	29,384	16,094	8,741	4,233
2016	40,925	29,152	15,578	9,195	5,623
2017	38,165	29,331	17,553	12,072	5,983
2018	38,618	29,493	16,959	10,638	6,002
2019	38,605	30,750	17,304	10,640	6,771
საშუალო	40,703	29,372	15,743	8,191	4,743
წინა საფეხურის % წილი		72%	54%	52%	58%

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/35078/skolis-damtavreba.xlsx>;
<https://geostat.ge/media/29818/studentTa-miReba-saxelmwifo-saganmanaTleblo-dawesebulebebSi-programebis-mixedviT.xls>;
<https://geostat.ge/media/29819/studentTa-miReba-kerZo-umaRles-saganmanaTleblo-dawesebulebebSi-programebis-mixedviT.xls>

მნიშვნელოვანია ასევე ვნახოთ, თუ რა რაოდენობის სტუდენტი აგრძელებს სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ცხრილში 3.3.4. მოცემულია სტუდენტთა მიღება და გამოშვება საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-2020 წწ-ში. როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს ყოველწლიურად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საშუალოდ 14,752 სტუდენტი აბარებს, ხოლო დასრულებით საშუალოდ 9,919 სტუდენტი ასრულებს რაც ჩაბარებულთა 67%-ია. ეს მაჩვენებელი ვერ აბალანსებს სტუდენტთა იმ მოცულობას რომელიც უმაღლესი განათლების მიღებას ვერ ახერხებს და რათქმაუნდა ამას ემატება მოსწავლეთა ის ოდენობა რომელიც საშუალო განათლების მიღებას ვერ ახერხებს. შედეგად ვიღებთ ახალგაზრდა დიდ ნაწილს ყოველგვარი განათლებისა და პროფესიის გარეშე.

ცხრილი 3.3.4. საქართველოში სტუდენტთა მიღება და გამოშვება საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2013-2020 წწ. (ერთეული)

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	საშუალო
ჩარიცხული სტუდენტები	21,045	16,182	16,773	15,639	15,632	11,820	11,529	9,399	14,752
კურსდამთავრებულები	10,790	10,810	11,728	9,943	9,774	11,955	10,928	3,424	9,919

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/36816/studentebis-ricxovnoba-saganmanasTleblo-dawesebulebebis-profesiul-saganmanaTleblo-programebze.xlsx>

ბოლოს გვინდა გავაანალიზოთ თუ რა მდგომარეობაა დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტთა მიღებისა და დასრულების მხრივ. ცხრილში 3.3.5 მოცემულია სტუდენტთა მიღება და გამოშვება დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე 2011-2020 წწ-ში. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე საშუალოდ ყოველწლიურად დოქტორანტურაში 1,156 სტუდენტი აბარებთ, ხოლო ხარისხის დაცვას საშუალოდ მხოლოდ 406 დოქტორანტი ახერხებს, რაც ჩაბარებულების 35%-ია. გამომდინარე იქედან, რომ დოქტორანტურის საფეხურმა უნდა მოამზადოს მომავალი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც თავის მხრივ უნდა ასწავლონ მომავალ თაობებს, აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის და საშუალოდ დოქტორანტურის საფეხურის დამთავრების მოცემული მაჩვენებელი შემდგომ დეტალურ შესწავლას საჭიროებს, მიზეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით.

ცხრილი 3.3.5. საქართველოში სტუდენტთა მიღება და გამოშვება დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე, 2011-2020 წწ. (ერთეული)

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	საშ.
სტუდენტთა მიღება	1,045	838	1,095	1,203	1,215	1,305	1,376	1,106	1,322	1,050	1,156
კურსდამთავრებულთა რაოდენობა	270	406	450	349	369	469	427	485	487	347	406
დამთავრების % წილი	26%	48%	41%	29%	30%	36%	31%	44%	37%	33%	35%

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/43633/doqtorantebis-miReba-sadoqtoro-programebis-mixedviT.XLS>
<https://geostat.ge/media/43634/doqtoranturis-kursdamTavrebulebis-ricxovnoba-programebis-mixedviT.XLS>

ზემოთ გაკეთებული ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ:

- აუცილებელია იმის გამოკვლევა თუ რატომ ვერ ამთავრებენ ახალგაზრდები განათლების სხვადასხვა საფეხურს რაც კვლევების შემდგომ მიმართულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ;
- პროფესიული სასწავლებლების ქსელის გაფართოვება და ახალგაზრდებში მათი პოზიციონირება არის ასევე მნიშვნელოვანი მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვისაც, რომლებიც საშუალო განათლებას იღებენ, თუმცა სწავლას ვერ ან არ აგრძელებენ უმაღლეს სასწავლებლებში, ანდა ვერ ახერხებენ უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებას.
- საჭიროა სასკოლო განათლების საფეხურზე გამოვლენილი უარყოფითი შედეგების დეტალური ანალიზი, ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მასწავლებელთა მასიური გადამზადების პროგრამების გატარება, რათა ამით მოხდეს სასკოლო განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება.
- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, რათა კურსდამთავრებულებს თეორიულ ცოდნასთან ერთად სათანადო პრაქტიკული გამოცდილებაც ჰქონდეს.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სადოქტორო სწავლებას. სწორედ დოქტორანტურის საფეხური იძლევა იმის საშუალებას, რომ მომზადდეს მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც შემდგომ იქნებიან როგორც მომავალი სკოლის მასწავლებლებისთვის, ასევე ზოგადად მომავალი თაობისთვის, ცოდნის გადაცემის და კვალიფიციური კადრების აღზრდის წყარო.

ვფიქრობთ, ეს არის ის მიმართულებები რომლებზე ყურადღების გამახვილებაც და რომელთა დახვეწაც აუცილებელია, რათა გავზარდოთ განათლების დონე საქართველოში და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნისთვის მცოდნე და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას, რაც თავის მხრივ ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საწინდარი არის.

სოფლის მეურნეობის მიმართულება: სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში შესაძლოა აღვნიშნოთ როგორც ის ეკონომიკური ეფექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას შესაძლოა ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისთვის ჰქონდეს, ასევე ის ისტორიულ-კულტურული ფაქტორი, რომელიც საქართველოს როგორც მიწადმოქმედ ქვეყანას აქვს. მოცემულ მომენტში ჩვენ გვინდა გამოვყოთ ხორბლის და სიმინდის ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა, რადგან ის არის პირველადი მოხმარების საარსებო პროდუქტი. დღეს მევენახეობა და მეღვინეობის დარგი საკმაოდ განვითარებულია, მევენახეობის შემდეგ სწორედ ეს ორი მარცვლელი კულტურა მიგვაჩნია როგორც ქვეყნის კულტურის ნაწილად, ასევე სახელმწიფოსთვის სტრატეგიული დანიშნულების მქონე ნედლეულად. მარცვლოვანი კულტურების ეროვნული წარმოების მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, როდესაც მსოფლიო ხორბლის კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, ამიტომ აღნიშნული მიმართულების დეტალური ანალიზი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

პირველ რიგში ვნახოთ თუ რა ღირებულების ხორბლისა და სიმინდის იმპორტი ხდება საქართველოში. ცხრილში 3.3.6. მოცემულია სასაქონლო პოზიციების „ხორბალი და მესლინი“ (სასაქონლო კოდი HS-4: 1001) და „სიმინდის“ (სასაქონლო კოდი HS-4: 1005) იმპორტი საქართველოში 2015-2019 წწ.

ცხრილი 3.3.6. ხორბალი და მესლინის და სიმინდის იმპორტი საქართველოში, 2015-2019 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

კოდი	პოზიციის დასახელება	2015	2016	2017	2018	2019
1001	ხორბალი და მესლინი	119,352.4	86,061.5	98,175.0	114,931.1	108,974.4
1005	სიმინდი	14,880.2	13,869.5	15,980.9	17,726.3	18,449.8

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/36681/Importi-sasaqonlo-poziciebis-mixedvit-2000-2020-%284-nishna%29.xlsx>

როგორც ცხრილიდან ვხედავთ საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 100 მლნ დოლარის ღირებულების ხორბლის და მესლინის იმპორტი ხდება. რაც შეეხება სიმინდის იმპორტს აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით უფრო მცირეა და მაგალითად 2019 წლისთვის 18.5 მლნ დოლარი შეადგინა.

საინტერესოა რა მდგომარეობაა ასევე აღნიშნული პოზიციების ექსპორტის კუთხითაც. ცხრილში 3.3.7. მოცემულია ანალოგიურ პერიოდში მოცემული სასაქონლო პოზიციების საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებლები. ხორბლისა და მესლინის ექსპორტის მაჩვენებელი იმპორტთან მიმართებაში პრაქტიკულად მიზერულია და 2019 წლისთვის 882.5 ათარი აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის შემდეგ ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს დაფიქსირდა, თუმცა ისიც 4.9 მლნ ის ოდენობით, რაც ასევე საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტს. შედარებით უკეთესი მდგომარეობა არის სიმინდის ექსპორტთან მიმართებაში. 2019 წელს სიმინდის სავაჭრო სალდომ -17.4 მლნ დოლარი შეადგინა, რაც საგრძნობლად ჩამორჩება ხორბალი და მესლინის ანალოგიურ მაჩვენებელს -108.1 მლნ დოლარს.

ცხრილი 3.3.7. ხორბალი და მესლინის და სიმინდის ექსპორტი საქართველოდან, 2015-2019 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

კოდი	პოზიციის დასახელება	2015	2016	2017	2018	2019
1001	ხორბალი და მესლინი	248.9	986.2	4,946.9	2,734.0	882.5
1005	სიმინდი	4,391.2	2,348.3	607.9	918.1	1,044.9

წყარო: საესტატი, <https://geostat.ge/media/36657/eqsporti-sasaqonlo-poziciebis-mixedvit-2000-2020-%284-nishna%29.xlsx>

ზემოთ მოცემული ცხრილებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველო ამ ორი ნედლეულის მხრივ ცალსახად არის იმპორტზე დამოკიდებული და საკუთარი თავის ადგილობრივი წარმოებით დაკმაყოფილება არ შეუძლია. განსაკუთრებით ეს დამოკიდებული უფრო მეტად საგრძნობია ხორბალი და მესლინის შემთხვევაში. გამომდინარე იქედან, რომ ეს უკანასკნელი პირველადი მოხმარების პროდუქციისთვის საჭირო ნედლეულია, მნიშვნელოვანია რომ ქვეყანა ამ ნედლეულის მხრივ მყარ მდგომარეობაში იყოს.

საინტერესოა ასევე რა მოცულობის იმპორტზე არის საუბარი და რა რაოდენობის ადგილობრივ წარმოების შესაძლებლობაზე უნდა ვისაუბროთ თუ გვინდა იმპორტის

ჩანაცვლება. ცხრილში 3.3.8. მოცემულია თუ რამდენი ტონა „ხორბალი და მესლინი“ და „სიმინდის“ პოზიციის იმპორტი ხდება საქართველოში. თუ ავიღებთ 2015 წლიდან მოყოლებული იმპორტის მოცულობის საშუალო მაჩვენებელს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუბარია ყოველწლიურად დაახლოებით 500,000 ტონა ხორბალი და მესლინის და 100,000 ტონა სიმინდის იმპორტზე.

ცხრილი 3.3.8. ხორბალი და მესლინის და სიმინდის იმპორტი საქართველოში, 2015-2019 წწ. (ტონა)

კოდი	პოზიციის დასახელება	2015	2016	2017	2018	2019
1001	ხორბალი და მესლინი	538,941.7	456,269.3	514,874.2	576,747.4	513,725.8
1005	სიმინდი	70,582.8	69,908.0	80,244.8	78,306.2	88,193.2

წყარო: საქსტატი, <http://ex-trade.geostat.ge/ka>

მას შემდეგ რაც განვიხილეთ საკვლევი სასაქონლო პოზიციები სავაჭრო ბალანსის კუთხით, ვნახოთ თუ როგორი მდგომარეობა არის აღნიშნული ნედლეულის ადგილობრივი წარმოების მხრივ. საქსტატის მონაცემების მიხედვით ხორბლის და სიმინდის ადგილობრივი წარმოება გამოიყურება შემდეგნაირად (ცხრილი 3.3.9.).

ცხრილი 3.3.9. ხორბლის და სიმინდის წარმოება საქართველოში, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)

	2016	2017	2018	2019
ხორბალი	126.6	97.9	107.1	100.6
სიმინდი	243.7	142.5	194.2	207.1

წყარო: საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019, გვ.31
(https://www.geostat.ge/media/31931/soflis_meurneoba_2019.pdf)

როგორც ვხედავთ საქართველოში სიმინდი 2 ჯერ მეტი რაოდენობით იწარმოება ვიდრე ხორბალი. თუ გავაერთიანებთ ცხრილი 3.3.8.-ის და ცხრილი 3.3.9.-ის მონაცემებს, შეგვიძლია ვნახოთ თუ რა მოცულობის თითოეულ ამ ნედლეულზე არის საერთო ჯამში ქვეყანაში მოთხოვნა. რადგან მოცემული პოზიციების ექსპორტი შედარებით მცირე მოცულობის არის, მოცემულ მომენტში დავუშვებთ, რომ საექსპორტო ნედლეულის მოცულობაც ქვეყნისთვის საჭირო არის და ქვეყნის მოთხოვნას ავიღებთ, როგორც ადგილობრივ წარმოებას დამატებული იმპორტირებული რაოდენობა. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 3.3.10. და ცხრილში 3.3.11.

ცხრილი 3.3.10. საქართველოში ხორბალზე მოთხოვნა, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)

	2016	2017	2018	2019
ადგილობრივი წარმოება	126.6	97.9	107.1	100.6
იმპორტი	456.3	514.9	576.7	513.7
სულ მოთხოვნა	582.9	612.8	683.8	614.3
თვითუზრუნველყოფა (%)	22%	16%	16%	16%

ცხრილი 3.3.11. საქართველოში სიმინდზე მოთხოვნა, 2016-2019 წწ. (ათასი ტონა)

	2016	2017	2018	2019
ადგილობრივი წარმოება	243.7	142.5	194.2	207.1
იმპორტი	69.9	80.2	78.3	88.2
სულ მოთხოვნა	313.6	222.7	272.5	295.3
თვითუზრუნველყოფა (%)	78%	64%	71%	70%

როგორც მოცემული ცხრილებიდან ჩანს ხორბლის შემთხვევაში საქართველო ადგილობრივი წარმოებით არსებული მოთხოვნის მხოლოდ 16%-ს აკმაყოფილებს, ხოლო სიმინდის შემთხვევაში თვითუზრუნველყოფა 70%-ია. (2019 წლის მონაცემებით). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტულ ერთ-ერთ მიმართულებად ხორბლის წარმოების განვითარება შეგვიძლია მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ მომენტში ჩვენ ხორბალი ავარჩიეთ მისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე და არ ჩავგვიტარებია სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის ანალიზი და იმის გამოკვლევა თუ რა მიმართულებით შეიძლება ჰქონდეს საქართველოს კონკურენტული უპირატესობა. აღნიშნული საკითხი სცდება მოცემულ მომენტში ჩვენი კვლევის თემას და კვლევების შემდგომ მიმართულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე გვინდა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე საჭიროა დარგის განვითარების პერსპექტივების შემდგომი სიღრმისეული გამოკვლევა;
- მნიშვნელოვანია იმ მიმართულებების გამოვლენა, რომლებიც ერთის მხრივ სტრატეგიულად პრიორიტეტულია ქვეყნისთვის, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს შესაძლებლობა აქვს კონკურენტულ უპირატესობას მიაღწიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში;

- გამოვლენილი მიმართულებების განსავითარებლად სათანადო სტრატეგიული გეგმების შემუშავება;
- შემუშავებული სტრატეგიების პრაქტიკაში რეალიზებისთვის სათანადო მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება.

ტექნოლოგიების და ინოვაციების მიმართულება: XXI საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა. ძნელია მოიძებნოს ისეთი სფერო რომელიც ტექნოლოგიებზე არ არის დამოკიდებული და აღნიშნული დამოკიდებულება ყოველდღიურად სულ უფრო მეტად იზრდება. თანამედროვე მსოფლიო მიღწევები და პროგრესი დიდწილად არის დამოკიდებული თანამედროვე ტექნოლოგიებზე, შესაბამისად მსოფლიო განვითარების ტენდენციებზე ფეხის აწყობა შეუძლებელია ქვეყანაში ტექნოლოგიური განვითარების გარეშე.

პროფესორი სიმონ გელაშვილი თავის 2018 წლის სტატიაში, „ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი“, აღნიშნავდა, რომ „უახლოეს 30 წელიწადში დაიწყება მე-5 გლობალური ტექნოლოგიური რევოლუცია, რა დროსაც ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებისთვის კაპიტალზე მეტად ღირებული და მნიშვნელოვანი ადამიანის ნიჭი და უნარები გახდება“. (გელაშვილი, ს., 2018). იმისათვის, რომ საქართველო აღნიშნული მე-5 ტექნოლოგიურ რევოლუციას მომზადებული დახვდეს აუცილებელია დღესვე დაიწყოს სათანადო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აღნიშნული მიმართულებით.

მეორე თავში განხილული ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითიდანაც ცალსახად ჩანს, რომ აღნიშნული ქვეყნები აქტიურად იყენებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგს ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად. ესტონეთის მიერ შემოთავაზებული ფიცრული მოქალაქეობა და პორტალი „ციფრული ესტონეთი“ იმის ყველაზე ნათელი მაგალითია, თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია წარმატებული ქვეყნების პოლიტიკაში ციფრიზაციას და ზოგადად საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებებს.

ესტონეთის ეკონომიკური პოლიტიკის განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ესტონეთმა თავისი კონკურენტული უპირატესობის მიღწევა გადაწყვიტა სწორედ საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც შეგვიძლია ქვეყნის მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მივიჩნიოთ. თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით და საქართველოში ბუნებრივი რესურსების სიმწირიდან გამომდინარე, აღნიშნული პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისთვისაც მართებულად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ ის ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად შეიძლება იქცეს.

თუ გადავავლებთ თვალს საქართველოს ბიზნეს სექტორის მაჩვენებლებს, დავინახავთ რომ ეკონომიკური საქმიანობის სახე „ინფორმაცია და კომუნიკაცია“ ხასიათდება როგორც პროდუქციის გამოშვებასთან მიმართებაში შექმნილი დამატებითი ღირებულების მაღალი მაჩვენებლით (63.4%), ასევე გამოირჩევა 1 დასაქმებულზე მაღალი შრომის ანაზღაურებით (იხ. ცხრილი 3.3.12.). ამ ორი მაჩვენებლის კომბინაციით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ჩამორჩება მხოლოდ „პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“-ს, რაც ასევე ჩვენს მიერ შემოთავაზებული განათლების მიმართულების ფარგლებში მოიაზრება.

მიუხედავად მაღალი დამატებითი ღირებულებისა და შრომის ანაზღაურებისა, ბიზნეს სექტორის მთლიან გამოშვებაში ინფორმაცია და კომუნიკაციის სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 3.9% უკავია, რაც დაბალი მაჩვენებელია და მიუთითებს რომ აღნიშნული მიმართულებით მეტი ყურადღების გამახვილება არის საჭირო.

იმისათვის, რომ ქვეყანა არ ჩამორჩეს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ტენდენციებს, აუცილებელია გაიზარდოს ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ამ მიმართულებით და მათ სათანადო ცოდნის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამისთვის კი აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს სათანადო ღონისძიებები, როგორც ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის, ასევე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ცხრილი 3.3.12. საქართველოს ბიზნეს სექტორის მონაცემები (პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, დასაქმება, შრომითი დანახარჯები), 2019 წ.

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	დამატებითი ღირებულება % წილი	პროდუქციის გამოშვებაში	დასაქმება (ცაცი)	შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	შრომითი დანახარჯი 1 დასაქმებულზე (ლარი)
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	616.9	230.6	37.4%	12,753.0	100.6	7,888	
მრეწველობა	13,195.3	4,554.0	34.5%	129,970.0	1,734.4	13,345	
მშენებლობა	8,910.4	3,560.6	40.0%	69,956.0	1,352.1	19,328	
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	7,945.3	5,117.9	64.4%	209,953.0	2,109.7	10,048	
ტრანსპორტირება და დასაწყობება	4,621.3	2,339.3	50.6%	61,163.0	961.1	15,714	
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2,101.1	1,074.6	51.1%	48,634.0	478.7	9,843	
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1,844.3	1,169.3	63.4%	24,764.0	485.6	19,609	
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1,522.1	1,035.5	68.0%	19,277.0	243.1	12,611	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1,446.2	963.7	66.6%	27,007.0	645.1	23,886	
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	971.9	581.6	59.8%	27,739.0	282.6	10,188	
განათლება	450.9	324.6	72.0%	23,324.0	225.0	9,647	
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1,943.3	1,263.1	65.0%	74,885.0	938.6	12,534	
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1,779.7	1,002.3	56.3%	19,002.0	373.3	19,645	
სხვა სახის მომსახურება	146.0	79.1	54.2%	8,425.0	47.3	5,614	
სულ	47,494.7	23,296.2	49.1%	756,852.0	9,977.2	13,182	

წყარო: საქსტატი, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

ცხრილში 3.3.13. მოცემულია 2019-2020 სასწავლო წელს სტუდენტთა მიღება ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროგრამების მიხედვით. როგორც მოცემული ცხრილიდან ვხედავთ მიღებული 41,390 სტუდენტიდან, კომპიუტერულ საქმეზე მხოლოდ 2,354 ჩაირიცხა, რაც საერთო ჩარიცხული სტუდენტების 5.7%-ია. დაბალია ასევე დაინტერესება ფიზიკური მეცნიერებებით, სადაც სტუდენტთა მხოლოდ 3.0% ჩაირიცხა. მოცემული ცხრილიდან ასევე ჩანს, რომ პრაქტიკულად მინიმალურია დაინტერესება განათლების მიმართულებით, სადაც სტუდენტთა მხოლოდ 1.5%-მა ჩააბარა, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას აღნიშნული მიმართულების პრიორიტეტულობისა და სათანადო პოლიტიკის გატარების აუცილებლობის შესახებ.

მოცემული სტატისტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაინტერესება მეცნიერების მიმართულებით დაბალია და საჭიროებს უფრო მეტ სტიმულირებას და შესაბამისი მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას, რათა

ახალგაზრდებში გაიზარდოს სურვილი აირჩიონ ის პროფესიები, რომლებიც თანამედროვეობის საკვანძო კომპონენტებია. მნიშვნელოვანია ასევე იმის ანალიზი თუ რამდენად შეესაბამება პროფესიის არჩევას ახალგაზრდების არჩევანი ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნას, რაც საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის კვლევის შემდგომ მიმართულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ცხრილი 3.3.13. საქართველოში სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით 2019-2020 სასწავლო წელს (ერთეული)

პროგრამის დასახელება	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	სულ ბაკალავრიატი და მაგისტრატურა	% წილი
1. განათლება	460	172	632	1.5%
2. ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	3,196	596	3,792	9.2%
3. სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	14,451	3,821	18,272	44.1%
4. მეცნიერება	5,693	891	6,584	15.9%
4.1. მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ	2,347	414	2,761	6.7%
4.2. ფიზიკური მეცნიერებები	1,099	151	1,250	3.0%
4.3. მათემატიკა და სტატისტიკა	185	34	219	0.5%
4.4. კომპიუტერული საქმე	2,062	292	2,354	5.7%
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	2,376	489	2,865	6.9%
სოფლის მეურნეობა	737	160	897	2.2%
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,554	4,433	5,987	14.5%
მომსახურება	2,283	78	2,361	5.7%
მიღებული სტუდენტები, სულ	30,750	10,640	41,390	100.0%

წყარო: საქსტატი, <https://geostat.ge/media/43620/studentTa-miReba-umaRles-saganmanaTleblo-dawesebulebebSi-qveprogramebi-geo.xlsx>

იმისათვის, რომ ქვეყანამ მსოფლიო ტექნოლოგიურ გამოწვევებს აუწყოს ფეხი მნიშვნელოვანია სათანადოდ იყოს წახალისებული ინოვაციური საქმიანობა. ვნახოთ, თუ როგორია საქართველოს პოზიცია ინოვაციურობის კუთხით მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

ინოვაციის გლობალურ ინდექსში (GII) 2020 წლის მონაცემებით საქართველო 131 ქვეყანას შორის 63-ე ადგილი იკავებს. შედარებისათვის ესტონეთი 25-ე ადგილზეა, ლატვია - 36-ე, ხოლო ლიეტუვა მე-40. საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებსაც, როგორცაა უკრაინა (45-ე ადგილი), რუსეთი (47-ე ადგილი), სომხეთი (61-ე ადგილი). საქართველოს ინდექსი არის 31.78, რაც მცირედით აღემატება წარმოდგენილი 131

ქვეყნის საშუალო ინდექსს, რომელიც შეადგენს 30.94-ს. (Global Innovation Index 2020, Table 1.1., გვ 16)¹³.

წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებენ, რომ აღნიშნული მიმართულებით ქვეყანას მეტი ძალისხმევის გაწევა სჭირდება, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციების განვითარებას და ამით წაახალისოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენი რეკომენდაციებია:

- სამეცნიერო, საინფორმაციო ტექნოლოგიური და ინოვაციური მიმართულებები უნდა გამოცხადდეს ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად;
- უნდა მოხდეს ახალგაზრდების დაინტერესა აღნიშნული მიმართულებებით სკოლის ასაკიდანვე, რათა მათ შესძლონ შესაბამისი პროფესიების არჩევა უმაღლეს სასწავლებლებში;
- უნდა მოხდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება;

ეფექტიანი მმართველობა: ეფექტიან მმართველობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის გზაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება, კორუფციასთან ბრძოლა სწორედ საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. საჯარო სამსახურში მომუშავე კადრების კვალიფიციურობაზე ჩვენ პირველ თავში უკვე გავამახვილეთ ყურადღება. მოცემულ პარაგრაფში გვინდა წარმოვადგინოთ მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების უახლესი 2021 წლის ანგარიში, რათა უკეთ შევაფასოთ საქართველოს ადგილი ამ მიმართულებით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ეფექტიანი მმართველობა და ინსტიტუტები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, შედეგად საქართველოს პროგრესის ანალიზი ამ მხრივ სათანადო დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება.

ქვემოთ წარმოვადგენთ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებულ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანგარიშს:

¹³ Global Innovation Index 2020 - https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf


„მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები - საქართველო მსოფლიო ბანკის 2021 წლის შეფასებით“. (IDFI, 2021). აღნიშნული ანგარიშის შედეგებს ასევე დავაკავშირებთ წინა პარაგრაფში წარმოდგენილ კვლევის შედეგებთან.

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებში შედის 6 ინდიკატორი, საიდანაც თითოეული ფასდება 0 და 100 მდე მაჩვენებლით. აღნიშნული 6 ინდიკატორია:

1. „**ანგარიშვალდებულება**“ - აფასებს მოქალაქეთა ჩართულობას მმართველობის პროცესში, შეკრების, მედიის, სიტყვის თავისუფლებას.
2. „**პოლიტიკური სტაბილურობა**“ - აფასებს ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილების ალბათობას, ასევე ძალადობის აღმოფხვრის და ტერორიზმის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს;
3. „**მთავრობის ეფექტიანობა**“ - ფასდება საჯარო სამსახურების მუშაობის ხარისხი და სახელმწიფო სერვისების განხორციელების ეფექტიანობა;
4. „**რეგულირების ხარისხი**“ - აფასებს თუ რამდენად შესწევს სახელმწიფოს უნარი გაატაროს ისეთი რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას;
5. „**კანონის უზენაესობა**“ - ფასდება სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, მთავრობის მოქმედებათა შესაბამისობა კანონთან, ქონების დაცვა, დანაშაულის და სამართალდარღვევათა სტატისტიკა;
6. „**კორუფციის კონტროლი**“ - ფასდება კორუფციის დონე, საჯარო მოხელეთა მიერ საკუთარი შესაძლებლობების პირადი ინტერესებისთვის გამოყენების პრეცედენტები.

დიაგრამაზე 3.3.1. მოცემულია საქართველოს მაჩვენებლების დინამიკა 2002-2020 წწ-ში. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საქართველოს 2014 წელს ჰქონდა. ამ დრომზე აღნიშნულ ინდიკატორებს სწრაფი ზრდის ტემპი ახასიათებდათ, რომელიც 2014 წლის შემდეგ შენედა, ხოლო ზოგ შემთხვევაში გაუარესდა კიდევ. წარმოდგენილი 6 ინდექსიდან 2020 წლისთვის 2014 წელთან შედარებით მხოლოდ ორის, რეგულირების ხარისხის და მთავრობის ეფექტიანობის, მაჩვენებლები არის გაუმჯობესებული, დანარჩენ 4 ინდექსთან მიმართებაში კი სახეზეა გაუარესების ტენდენცია.

დიაგრამა 3.3.1. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველოს მაჩვენებლები, 2002-2020 წწ.



წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 4


[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

მნიშვნელოვანია ვნახოთ, თუ როგორი პოზიცია უკავია საქართველოს ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

დიაგრამაზე 3.3.2. მოცემულია საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნების შედარება ანგარიშვალდებულების ინდიკატორის მიხედვით. ამ მიმართულებით როგორც ზემოთ ვნახეთ საქართველოს გაუარესება აქვს 2014 წლის შემდეგ და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებაში ის ბოლო ადგილს იკავებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ანგარიშვალდებულების ინდექსი გამოხატავს რა მოქალაქეთა ჩართულობას მმართველობის პროცესში, შეკრების, მედიის და სიტყვის თავისუფლების დონეს, შეგვიძლია ჩავთვალოთ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შესაფასებელ მნიშვნელოვან მაჩვენებლად. ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში ბოლო ადგილი ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოწვევების არსებობაზე მიუთითებს, რაც შესაძლებელია შემაფერხებელი ფაქტორი იყოს საქართველოს მისწრაფების გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. ეს ასევე არასახარბიელო მაჩვენებელია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის და სათანადო ყურადღების გამახვილებას საჭიროებს.

დიაგრამა 3.3.2. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები ანგარიშვალდებულების მიხედვით, 2020 წ.




წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 5

[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

მიუხედავად იმისა, რომ 2018-2019 წწ-თან შედარებით 2020 წელს პოლიტიკური სტაბილურობის მხრივ გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება, ის მაინც ჩამორჩება ყველაზე მაღალი 2014 წლის მაჩვენებელს და ამ მხრივაც საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებაში ბოლო ადგილს იკავებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ერთი საფეხურით წინ მყოფ საბერძნეთს. (დიაგრამა 3.3.3.).

დიაგრამა 3.3.3. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები პოლიტიკური სტაბილურობის მიხედვით, 2020 წ.




წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 6

[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

განსხვავებული სურათი არის მთავრობის ეფექტიანობის მიმართულებით. 2014 წელთან მიმართებაში აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 8 ქვეყანას (დიაგრამა 3.3.4.).


დიაგრამა 3.3.4. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები მთავრობის ეფექტიანობის მიხედვით, 2020 წ.



წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 7
[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ასევე საქართველოს რეგულირების ხარისხის მიმართულებით. როგორც დიაგრამაზე 3.3.1. ვნახეთ აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი არის დანარჩენ ინდიკატორებთან შედარებით და ამ მხრივ საქართველო ევროკავშირის წევრებს შორის მე-15 ადგილს იკავებს. (დიაგრამა 3.3.5.).


დიაგრამა 3.3.5. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები რეგულირების ხარისხის მიხედვით, 2020 წ.



წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, გვ. 2021, 8
[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

2014 წლიდან მოყოლებული გაუარესების ტენდენციით ხასიათდება კანონის უზენაესობის მაჩვენებელიც. ევროკავშირის წევს ქვეყნებს შორის საქართველო წინ უსწრებს მხოლოდ იტალიასა და ბულგარეთს. (დიაგრამა 3.3.6.).

დიაგრამა 3.3.6. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები კანონის უზენაესობის მიხედვით, 2020 წ.




წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 9

[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

კორუფციის კონტროლის მხრივ საქართველოს მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში ასევე გაუარესების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში ის მე-18 ადგილს იკავებს და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ჩეხეთი, იტალია, სლოვაკეთი, კვიპროსი და სხვა. (დიაგრამა 3.3.7.).

დიაგრამა 3.3.7. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები: საქართველო და ევროკავშირის ქვეყნები კორუფციის კონტროლის მხრივ, 2020 წ.



წყარო: IDFI, „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“, 2021, გვ. 10

[https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20\(1\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/ENG%20Worldwide%20Governance%20Indicators_2021%20(1).pdf)

როგორც მოცემული ანგარიშიდან ვნახეთ საქართველო მაჩვენებლები უმრავლეს შემთხვევაში ბოლო წლების განმავლობაში გაუარესების ტენდენციით ხასიათდება. საქართველო ზოგ შემთხვევაში უსწრებს ევროკავშირის წევს ზოგიერთ ქვეყანას, თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება მოწინავე ქვეყნებს და რამდენიმე ინდიკატორთან მიმართებაში ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ლოგიკურად მივიჩნიოთ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც წინა პარაგრაფში წარმოდგენილ ჩატარებულ კვლევაში დაფიქსირდა რესპონდენტთა მიერ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წარმოდგენილი მაჩვენებლების გაუმჯობესება და მმართველობის ეფექტიანობის ამაღლება, რაც ზოგად სტაბილურობას, უფრო ჯანსაღ, კონკურენტულ, თანასწორ და სამართლიან გარემოს და შესაბამისად უფრო მაღალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს.

წარმოდგენილ მაჩვენებლებზე დაყრდნობით აღნიშნული მიმართულებით ჩვენი რეკომენდაციებია:

- მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ რატომ ხდება წარმოდგენილი მაჩვენებლების გაუარესება;
- საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის შემდგომი კვლევა უარყოფითი დამოკიდებულებების მიზეზების გამოსავლენად და მმართველობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად;
- ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორთან უფრო მჭიდრო კომუნიკაცია მათი შეხედულებების გაანალიზებისთვის;
- საჭირო არის აღნიშნული მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის სათანადო პოლიტიკური ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკაში რეალიზება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომში გაანალიზებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა როგორც მსოფლიოსთვის ასევე საქართველოსთვის. ჩამოყალიბებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები და ის ინდიკატორები, რომლებითაც შესაძლებელია ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასება. განხილულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები.

ნაშრომში შემუშავებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი, რომელზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია ბალტიისპირეთის ქვეყნების მოწინავე პოზიციები პოსტსაბჭოთა სივრცეში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კუთხით. დეტალურად არის განხილული აღნიშნული ქვეყნების განვლილი გზა და განხორციელებული რეფორმები. გაანალიზებულია საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა და შეფასებულია ქვეყანაში არსებული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

- ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის ადამიანი, შედეგად მიუღებელია ისეთი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის უკეთეს საცხოვრებელ გარემოს არ ქმნის, წარმოშობს უთანასწორობასა და უსამართლობის განცდას;
- ქვეყანაში არსებული უთანასწორობა და სიღარიბე საფრთხის შემცველია სოციალური სიმშვიდისთვის. სიღარიბე შესაძლებელია პირდაპირი მასტიმულირებელი ფაქტორი იყოს ქვეყანაში კრიმინალური აქტივობის გაზრდის და გამოიწვიოს ადამიანისეული კაპიტალის არაეფექტიანობა;
- ხანგრძლივი დროით არსებულმა უთანასწორობამ და ცხოვრების პროგრესის არარსებობამ შესაძლებელია გამოხატულება ჰპოვოს რადიკალიზმში და სამოქალაქო არეულობებში, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.

ნაშრომში განხილული სხვადასხვა ანგარიშებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ის სტრატეგიული მიმართულებები, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის და რაზეც ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკა:

- სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა;
- თანასწორი და სამართლიანი გარემო;
- კანონის უზენაესობა და პატივისცემა;
- ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მხარდაჭერა;
- ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;
- აქტიური რეგიონალური პოლიტიკა;
- გარემოს დაცვა;
- ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობა.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების და პროგრამების ანალიზმა გამოკვეთა ის მიმართულებები, რომელიც აღნიშნული ქვეყნებისთვის მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის ხელშემწყობი გამოდგა. აღნიშნული მიმართულებებია:

- ინვესტირება განათლების სისტემაში და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს მიერ საზოგადოებასთან და ბიზნესთან მჭიდრო კომუნიკაცია;
- სტარტაპების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ბარიერების მინიმუმამდე შემცირება;
- სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

რათქმაუნდა ეს არის არასრული ჩამონათვალი ბალტიისპირეთს ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების მიმართულებების, თუმცა როგორც ვხედავთ ეს მიმართულებები პრაქტიკულად სრულად ემთხვევა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი პოლიტიკის რეკომენდაციებს, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია თანასწორი და სამართლიანი გარემო, სადაც მთავარ ეკონომიკურ დოვლათს წარმოდგენს ცოდნა და მაქსიმალურად არის ხელშეწყობილი აღნიშნული ცოდნის რეალიზაციის შესაძლებლობები სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებით თუ ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებით.

საქართველოს ეკონომიკისა და პოლიტიკური რეფორმების შეფასებისას გამოიკვეთა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტენდენციები. მნიშვნელოვანი და პოზიტიურია ის გარემოება, რომ ბიზნესის ხელშეწყობი არაერთი პროგრამა, რომელიც წარმატებული გამოდგა ბალტიისპირეთის ქვეყნებში საქართველოშიც ფუნქციონირებს. სტაბილურად მზარდი არის მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა, რაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა. აქვე აღსანიშნავია ის უთანასწორობა რომელიც თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის გამოიკვეთა. ყურადღების გამახვილებას საჭიროებს ქვეყანაში არსებული მაღალი უთანასწორობა, რომელიც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს. ხაზგასასმელია ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი როგორცაა სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მცხოვრების მოსახლეობის წილი, რაც მიუხედავად გაუმჯობესების დინამიკისა არც თუ ისე სახარბიელო ნიშნულზეა. კვლების დროს გამოიკვეთა პრობლემები განათლების სისტემის მიმართულებით, რაც დასტურდება ნაშრომში წარმოდგენილი სხვადასხვა ინდექსების არასახარბიელო მაჩვენებლებით.

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რესპონდენტთა დამოკიდებულება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებთან მიმართებაში, რომელიც შეფასდა საშუალო დონეზე. მათ შორის გამოიკვეთა უარყოფითი დამოკიდებულება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ცხოვრების დონე, თანასწორობა, სამართლიანობა, განათლების სისტემა და სხვა მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

განათლების მიმართულებების დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების სხვადასხვა საფეხურის დასრულების დაბალი მაჩვენებლები რაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემზღლდავ ფაქტორად მიგვაჩნია და რის მიზეზთა ანალიზიც კვლევის შემდგომ მიმართულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების ანალიზისას გამოიკვეთა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტენდენციები, რაც ასევე შეიძლება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის შემაფერხებელი ფაქტორი იყოს და რაზე ყურადღების გამახვილებაც მნიშვნელოვანია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა ის მიმართულებები, რომლებიც პრიორიტეტულია საქართველოსთვის მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და რომელთა მხარდაჭერასაც რეკომენდაციას ვუწევთ:

- განათლების სისტემის აქტიური მხარდაჭერა და განვითარება;
- სამართლიანი და თანასწორი გარემო პირობების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;
- აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გატარება, რეგიონებში მცხოვრებთათვის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებისა და ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი აქტიური ღონისძიებების გატარება;
- ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების ხელშეწყობა.

ზემოთ განხილული მიმართულებები შეგვიძლია გავაერთიანოთ სამ ძირითად გლობალურ მიმართულებაში, რომელზეც მიგვაჩნია, რომ უნდა იდგეს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

აღნიშნული სამი ზოგადი პოლიტიკური მიმართულების მაქსიმალური მხარდაჭერა და ყურადღების გამახვილება არის ჩვენი რეკომენდაცია, როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები:

1. **ეფექტიანი განათლების სისტემა** - იმისათვის, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გვექონდეს, საჭიროა მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში და აღნიშნულმა ჩართულობამ ხელი შეუწყოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას. მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიური მიმართულებების პროგრესი და მსოფლიო ტექნოლოგიურ ტენდენციებზე ფეხის აწყობა. თუმცა ამ ყველაფრის მიღწევა რთული იქნება თუ ქვეყანის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ იქნება აღჭურვილი შესაბამისი უნარ-ჩვევებით და არ ექნება საჭირო კვალიფიკაცია, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამისათვის კი საჭიროა, სათანადო ყურადღება დაეთმოს განათლების სისტემას, მოხდეს მისი სრულყოფა და მაღალკვალიფიციური, მცოდნე საზოგადოების ჩამოყალიბება იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტი.
2. **სამართლიანი და თანასწორი გარემო** - მოქალაქეთათვის თანასწორი და სამართლიანი გარემოს არსებობის გარეშე ვერ მოხდება ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება. სამართლიანობის განცდისა და კანონის უზენაესობის გარეშე ვერ შეიქმნება ის საზოგადოება, რომელმაც უნდა შექმნას ახალი პროდუქტი თუ მომსახურება და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აღმავლობას.
3. **სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები** - ბიზნეს სექტორის განვითარება სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად უნდა იყოს მხარდაჭერილი სხვადასხვა პროგრამების განხორციელებით. სახელმწიფო სტრუქტურები უნდა იყვნენ უშუალო და მჭიდრო კომუნიკაციაში მოსახლეობასთან და ბიზნეს სექტორთან. აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები მუშაობდნენ ეფექტიანად და ეს სათანადოდ იყოს აღქმული მოსახლეობის მიერ, რათა გამყარდეს ურთიერთნდობა და ერთობლივი ძალებით მოხდეს ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა.

ეს და სხვა ზემოთ წარმოდგენილი მიმართულებები მიგვაჩივს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოსავალ წერტილად, რამაც უნდა უზრუნველყოს თანასწორი, სამართლიანი და სარგებლის მომტანი ეკონომიკური ზრდა ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, რ., (2014). „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“, *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა*, თბილისი.
2. ბერიძე, თ., (2018). „ეკონომიკური ზრდის გაგების საკითხისათვის“, *ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“*, N6, გვ. 54-57.
3. გელაშვილი, ს., (2018). „ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი“, *ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“*, N6, გვ. 67-72.
4. გელაშვილი, ს., მაკალათია, ი., მიქელაძე, გ., (2022). „ცხოვრების დონის სტატისტიკა“, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი.
5. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., (2012). „ეკონომიკური პოლიტიკა“, წიგნი I, *გამომცემლობა „უნივერსალი“*, თბილისი.
6. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., (2012). „ეკონომიკური პოლიტიკა“, წიგნი II, *გამომცემლობა „უნივერსალი“*, თბილისი.
7. კრავეიშვილი, გ., (2021). „ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება როგორც XXI საუკუნის გამოწვევა: არსი და მეთოდოლოგია, პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზი“, *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“*. თბილისი 3-4 ივლისი 2021. გვ. 345-355.
8. კრავეიშვილი, გ., (2022). „საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფონზე“, *ჟურნალი „ეკონომისტი“*, ტომი XVIII, N3, 134-148.
9. პაპავა, ვ., (2018). „რატომ ვერ აღიქვამს დადებითად საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკურ ზრდას“, *რონდელის ბლოგი*. - <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/888> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.07.2022).

10. პაპავა, ვ., (2018). „რატომ სჭირდება საქართველოს ეკონომისტები“, *რონდელის ბლოგი*. - <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/871> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.07.2022).
11. პაპავა, ვ., (2018). „საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“, *რონდელის ბლოგი*. - <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/854> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.07.2022).
12. პაპავა, ვ., სილაგაძე, ა., (2019). „სიახლე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში“, *ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“*, N1, გვ. 180-182.
13. სამადაშვილი, უ., (2014). „ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი“, *ჟურნალი „ეკონომიკა“*, N5-6, გვ. 13-22.
14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2015). „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2022 წწ“ - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/30> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.09.2022).
15. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2019). „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“ - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395> (ბოლო ნახვის თარიღი: 15.09.2022).
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, (2021). „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025“. - http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 15.09.2022).
17. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საგადასახდელი ბალანსი 2019 - <https://nbg.gov.ge/publications/balance-of-payments> (ბოლო ნახვის თარიღი: 20.06.2022).
18. საქართველოს მთავრობა, (2014). „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ - http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 15.07.2020).
19. საქართველოს მთავრობა, (2016). „4 პუნქტიანი გეგმა“ - http://www.economy.ge/uploads/files/2017/news/prezentacia_20_12_2017.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 15.07.2020).

20. საქართველოს მთავრობა, (2020). „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ - https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 15.09.2022).
21. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, (2018). „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021“.
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა. - <https://geostat.ge/media/31265/01-ekonomikuri-aqtivoba.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 22.11.2020).
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები. - <https://geostat.ge/media/35078/skolis-damtavreba.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 26.02.2021).
24. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დოქტორანტების მიღება სადოქტორო პროგრამების მიხედვით. - <https://geostat.ge/media/43633/doqtorantebis-miReba-sadoqtoro-programebis-mixedviT.XLS> (ბოლო ნახვის თარიღი: 21.11.2022).
25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დოქტორანტურის კურსდამთავრებულების რიცხოვნობა პროგრამების მიხედვით. - <https://geostat.ge/media/43634/doqtoranturis-kursdamTavrebulebis-ricxovnoba-programebis-mixedviT.XLS> (ბოლო ნახვის თარიღი: 21.11.2022).
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ექსპორტი ქვეყნების მიხედვით. - https://geostat.ge/media/35524/eqsporti_qveynebi_1995-2020.xlsx (ბოლო ნახვის თარიღი: 22.12.2020).
27. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, იმპორტი ქვეყნების მიხედვით. - https://geostat.ge/media/35546/importi_qveynebi-1995-2020.xlsx (ბოლო ნახვის თარიღი: 22.12.2020).
28. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კურსდამთავრებულთა რაოდენობა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. -

- <https://geostat.ge/media/29822/kursdamTavrebulTa-raodenoba-kerZo-umaghesi-saganmanaTleblo-dawesebulebebidan-programebis-mixedviT.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 26.02.2021).
29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. - <https://geostat.ge/media/29821/kursdamTavrebulTa-raodenoba-saxelmwifo-saganmanaTleblo-dawesebulebebidan-programebis-mixedviT.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 26.02.2021).
30. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი სამამულო პროდუქტი მიმდინარე ფასებში. - <https://geostat.ge/media/34748/mSp-mimdinare-fasebSi.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.11.2020).
31. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი სამამულო პროდუქტი მუდმივ 2015 წლის ფასებში - <https://geostat.ge/media/34764/mSp-mudmiv-fasebSi.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.11.2020).
32. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (მიმდინარე ფასებში) - <https://geostat.ge/media/42452/regionuli-mshp.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 20.06.2022).
33. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი სამამულო პროდუქტის რეალური ზრდები - <https://geostat.ge/media/34750/realuri-zrdebi.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.11.2020).
34. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. - <https://geostat.ge/media/44897/04---saSualo-wliuri-mosaxleoba-TviTmarTvelierTeulebi.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 20.06.2022).
35. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო ვაჭრობა. - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba> (ბოლო ნახვის თარიღი: 22.12.2020).
36. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო სავაჭრო პორტალი. - <http://ex-trade.geostat.ge/ka> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.02.2021).

37. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. - <https://geostat.ge/media/36657/eqsporti-sasaqonlo-poziciebis-mixedvit-2000-2020-%284-nishna%29.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.02.2021).
38. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. - <https://geostat.ge/media/36681/Importi-sasaqonlo-poziciebis-mixedvit-2000-2020-%284-nishna%29.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 19.02.2021).
39. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019“ - https://www.geostat.ge/media/31931/soflis_meurneoba_2019.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 23.02.2021).
40. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილში. - <https://geostat.ge/media/31545/sashualo-Tviuri-shemosavlebis-ganawileba-erT-sulze-galaqisa-da-soflis-mixedviT.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 21.11.2020).
41. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა. - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva> (ბოლო ნახვის თარიღი: 21.06.2022).
42. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%). - <https://geostat.ge/media/31629/absoluturi-sigaribe.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 21.11.2020).
43. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტთა მიღება და გამოშვება საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. - <https://geostat.ge/media/36816/studentebis-ricxovnoba-saganmanasTleblo-dawesebulebebis-profesiul-saganmanaTleblo-programebze.xlsx> (ბოლო ნახვის თარიღი: 02.03.2021).
44. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტთა მიღება კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. -

- <https://geostat.ge/media/29819/studentTa-miReba-kerZo-umaRles-saganmanaTleblo-dawesebulebebSi-programebis-mixedviT.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 26.02.2021).
45. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტთა მიღება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. -
<https://geostat.ge/media/29818/studentTa-miReba-saxelmwifo-saganmanaTleblo-dawesebulebebSi-programebis-mixedviT.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 26.02.2021).
46. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით. -
https://geostat.ge/media/43620/studentTa-miReba-umaRles-saganmanaTleblo-dawesebulebebSi_qveprogramebi_geo.xlsx (ბოლო ნახვის თარიღი: 22.06.2022).
47. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯინის კოეფიციენტები. -
<https://geostat.ge/media/31631/ginis-koeficienti.xls> (ბოლო ნახვის თარიღი: 20.11.2020).
48. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი N13. -
https://www.mof.ge/images/File/2019%E2%80%93biuletenebi/N13_GE.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 26.11.2020).
49. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ვალი. -
https://mof.ge/saxelmwifo_vali (ბოლო ნახვის თარიღი: 26.12.2021).
50. სსიპ „აწარმოე საქართველოში“, 2019 წლის წლიური ანგარიში. -
<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf> (ბოლო ნახვის თარიღი: 06.01.2021).
